

თუზგოზ (რმტმ) ძბოძო

თუძოთ ჭოზოთ

ქ.გოთო
2012 წოტო

წიგნი ეძღვნება სამშობლოს ტერიტორიული
მთლიანობისათვის მკებროძოლ თავდადებულ რაინდებს.

ავტორი მადლობას უხდის თანადგომისათვის შპს „ ირიდას“
თანამშრომლებსა და თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლი-
ოთეკო გაერთიანების დირექტორს ქალბატონ ნუნუ ჭყელიძეს,
ავრეთვე ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომელს, ოქსანა როზინას.

რედაქტორი: ალექო დოღბაია

დაკაბადონება: ქეთევან ჩხარტიშვილი

დიზაინი: ჯანო დანელია

გარეკანის მეორე გვერდზე:

ავტორის ზორტრეტი მხატვარი აბელ კალანდია

გარეკანის ბოლო გვერდზე:

ავტორის ზორტრეტი მხატვარი რევაზ გიორგაძე

წიგნში ჩართულია მხატვარ ჯანო დანელიასა და

მურმან დემურიას ნახატები

ISBN 978-9941-0-4297-3

„სისხლით დავფერა ყოველი პეპარი“

თენგიზ (ჩოქო) მხეიძე ძნელბედობის უამს გავიცანი. მრავალ უბედურება გადატანილ ჩვენს სამშობლოს კიდევ ერთი ავებდითი დღე ედგა. ქვეყნად განუკითხაობა ბატონობდა... ცოცხზე გადაძვადარი სატანა დაქროდა აქეთ-იქით და ირგვლივ ბოროტებას თესავდა. ყველაზე შეშინარავი მანც ის იყო, რომ ქართველმა ქართველზე ხელი აღმართა: გაიქართველები თემურ ლენგის დაუნდობლობით აონრებდნენ საქართველოს უღამაზეს კუთხეს-სამეგრელოს. განმკითხავი კი არსაით ჩანდა... ამ უგნურ სისასტიკეს. ბუნებრივია. პასუხი მოჰყვებოდა: მეგრელმა კაცმა ღირსების დასაცავად იარაღი აისხა. თუცა ძალმომრეობის ქარბუქი მთელ საქართველოში ბობოქრობდა. განსაკუთრებით უტყვედნენ ეროვნულ ფასეულობებს და ბატონოტიზმს. ეს უკანასკნელი პროვინციულ ფაშისმად მონათლეს. თავდადებულ მამულიშვილებს, სიძარტლისათვის მებრძოლო, მოღალატეებად, მტრებად აცხადებდნენ, სდეგინდნენ, აპატიმრებდნენ, ხოცავდნენ...

აი, ასეთ გაუსაძლის ვითარებაში მომიწია ჩასვლა და ერთ ხანს ცნოვრება სამეგრელოში, რომელიც მაშინ თავისუფლების ერთგვარ კუნძულს წარმოადგენდა და იმავდროულად კანონიერი ხელისუფლების ერთგულ მომხრეთა ნავსაყუდელი იყო.

ამხანად ქალაქი ზუგდიდი იმედისა და უსაფრთხოების სიმბოლოდ იქცა ყველა უსამართლოდ დევნილისათვის. იქ ერთგული განწყობა, სამშობლოს უანგარო სიყვარული, სამართლიანობის მძაფრი გრძინაბა დულდა და ამ მჩქეფარებაში შეუძლებელი იყო, არ შეგვემჩნიათ ერთი ხმელი, ფიცხელი და მარდი ყმაწვილი. კალაშნიკოვის ავტომატს რომ მუდამ თან ატარებდა და ავაზასავით შემართული სულ მზად იყო საბრძოლველად. იგი ცბერუტივით ტრიალედა და მოვლენების ეპიცენტრში იყო: ჩოქო-აქ, ჩოქო-იქ... ჩოქომ ეს გააკეთა, ჩოქომ ის ჩაიდინა, ჩოქომ ამას ხელი გაუმართა, ჩოქო იმას დაეხმარა... მოკლედ, დღე ერთი იყო და ათასგნის ჩოქოს ხსენება... მაგრამ ერთი კია, რომ არ მახსენდება, ეს სახელი უარყოფით კონტექსტში გაჟღერებულიყოს. მოგვიანებით გავიცანი, დავახლოვდით. გაცნობის პირველივე დღიდან ერთი, რაც შავამჩნიე, უტყენი, უდრეკი სული ბინადრობდა ამ ახალგაზრდა კაცში. უსაზღვროდ უყვარდა მეგობრები, საერთოდ, ადამიანი. ეთაყვანებოდა თავის ოდაბადეს, სამშობლოს; ნიბლავდა პოეზია... ამაცობდა ღირსეული წინაპრებით. მაგრამ განსაკუთრებულ მოკრძალებასა და პატივისცემას ამჟღავნებდა ორი ღირსეული მამულიშვილისადმი: როცა მერაბსა და ზვიადზე საუბრობდა, რაღაც ჭინკები უთამაშებდა თვალეებში და უჩვეულო ნაპერწკლებს აფრქვევდა.

მერე კარგა ხანს აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. ის იარაღით ებრძოდა ბოროტებასა და უსამართლობას, მე კალმით. ასე მეგონა, რომ ზეცაში აღამიანთათვის დადგენილ პროფესიულ იერარქიაში ამგვარი ბედი გვარგუნა ყოვლის გამრიგემ: მას მხედრობა უბოძა, მე კალმითობა. მაგრამ თურმე მწარედ ვცდებოდი: იარაღი მას უსამართლობამ, გაუსაძლისმა ძალმომრეობამ ააღებინა, თორემ ღმერთს იგი სხვა ნიჭით ჰყოლია დაჯილდოებული; ნატიფი, გამძაფრებული მუსიკალური სმენითა და იშვიათი ხილვის უნარი უბოძებია მისთვის, ოღონდაც ეს ყოველივე მოგვიანებით აღვიქვი, როცა მის ლექსებს გავეცანი...

ახლა კი, ვიდრე მისი პოეზიის ზოგიერთ თავისებურებას მოკლედ შეგე-
ნებოდე, არ შემიძლია, ორიოდ სიტყვით არ გაგისხენო პოეტის ცხოვრების
ზოგიერთი დეტალი, რამაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მისი მსო-
ფლმხედველობრივი მრწამსისა და ფერწერის სპეციფიურობის ჩამოყალი-
ბებაზე.

შუა საუკუნეების ერთმა ჩინებულმა აღმოსავლელმა პოეტმა ბრ-
ძანა, ლექსს დარდი ბადებს, ის სინატიფეს მაშინ იძენს, როცა „დარდი
მრავლადაა, თანამოდარდე კი არ ჩანსო. თენგიზ მხეიძემ სულ მცირე
ხანში გაუსაძლისი და აუტანელი ცხოვრების პერიოდიები განვლო. რო-
გორც ამბობენ, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე: ჯერ
იყო და მომხდურ მხედრობის იკერიებდა, მერე ხელისუფლების მომხრე,
მოძალადე გვარდიელებს: ბოლოს, როცა სახელმწიფოს ტერიტორიული
მთლიანობისათვის გარდაუვალი დადგა ბრძოლა, აფხაზ სეპარატისტებს
და ათასი ჯურის გადამთიელს ერკინებოდა... დაიჭრა, გადარჩა, ფეხზე
დადგა. კვლავ შეუპოვრად გააგრძელა ბრძოლა უკანონობისა და მოძალა-
დეების წინააღმდეგ... დასაჭერად დასდევდნენ, ტყეში გაიჭრა... დაღლილ-
დაქანცული მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა: ტერორისტობა დას-
წამეს, დააბატონეს, გაასამართლეს. კარგა ხნით ციხეში გამოამწყვდიეს.
იქაც არ დაუყრია ფარ-ხმალი. ჭლექი შეეყარა, არ შედრკა, სძლია კიდევ
თითქოს ამ უძლეველ სენს. მართალია, ფიზიკურად დასუსტდა, დაჩიავდა,
მაგრამ უკან მაინც არ დაუხევია. თავის თანამებრძოლებთან და თანამო-
აზრეებთან ერთად პროტესტის ნიშნად სასიკვდილო შიმშილი გამოაცხადა.
ნნ დღე იშიმშილა, ძვალი და ტყავილა დარჩა. სულს დაფავდა, მაინც არ
გატყდა, მხოლოდ პრეზიდენტის ქვრივის დაბეჯითებითი თხოვნით შეწყვი-
ტა შიმშილობა. ჩოქომ საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ სულიერება გაცილე-
ბით მაღლა დგას, ვიდრე ფიზიკური სიჯანსაღე: როგორ არ აწამეს, რა
განსაცდელში არ ჩააგდეს, ვერ დააჩოქეს. სულიერად ვერ დააკნინეს რო
იცოდნენ ბრწყვებმა, რომ მხეიძეების გენეტიკური შთამომავლის ფიზიკუ-
რი სიკვდილი შესაძლებელია, მაგრამ სულიერი განჩანაგება არა! ყველამ
უწყოდეს. რომ დროების ჯალათებს სულით უდრეკი ადამიანის არც და-
ჩოქება და არც დამონება არ ხელეწიფებათ. აკი, ვერ მოახერხეს კიდევ
მას წამიერად სიკვდილიც კი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ეს-
ტუმრა, მაგრამ სიკვდილისაც სძლია და „სიკვდილგამოვლილი. მისტიური
ნიღვითა და სმენით აღჭურვილი დაუბრუნდა ამა ქვეყანას.

ამიტომაც არის, რომ მის პოეზიაში ყოველდღიური, ყოფითი დეტალებიც
რალაც უჩვეულო, მისტიკურ ელფერსა და ჟრერადობას იძენს. თითქოს
პოეტი კი არ ქმნის ლექსს, არამედ დემონური ხმა კარნახობს, ზეციური
მუსიკა ესმის და ამ ბგერებს მიყურადებული. ეგზალტაციას მიცემული,
მისდა უნებურად ამ ხმებს ახმანებს. ვფიქრობ, ამ მიზეზით მისი ლექსის
სტრუქტურაში პირველ პლანზე გამოდის ეგფონიური დონე და არა მე-
ტაფორა, სიმბოლო, შედარება, ეპითეტი და ა.შ. აბა, ყური მიუგდოთ:

„ღვთაებრივი ქორწილია
ტრფობის ნიაჯქარია,
სინარული ორწილია,
სიყვარულის ბრალია.

დიონისე თამადაა.
 მერიქიფე ეროსი,
 დედუფალი თავადაა
 თვალი საქართველოსი,
 ნეფეს მკერდში ჩაეკონა
 ცეცხლი ასდის ძოწვეულს,
 ცის გუმბათი დაემსგავსა
 გადახლეჩილ ბროწვეულს...
 რიმტი-ტარი, რამტი-ტარი,
 რიმტი-ტარი, რეროვდა,
 ტაბარუკი და მდიდარი,
 შეწყობილად მღეროდა...
 რამტი, რიმტი, რიმტი-ტიტო,
 რამტი, რიმტი, რეროვდა,
 აიწყვიტა დიპლიმატომ
 ვარდის პირი ზეობდა,
 ჭარა მარე თე ქიანას,
 რე ღორონთიმ ჭყლოლოფა,
 ასკვამანსი თე დიარას,
 ართმანგეფიმ ყლოლოფა,
 რამტი-ტარი, რიმტი-ტარი,
 რიმტი-ტარი, რეროვდა,
 მთვრალი ქარი პირტიტველი,
 შარა-შარა მღეროდა...

ეს ვრცელი ამონარიდი იმიტომ მოვიხმეთ, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ფონემური დონე და რიტმული კონსტრუქცია თენგიზ მნეიძის პოეზიაში. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ცდილობს გარკვეული შინაარსის მატარებელი სახელებით (დიონისე, ეროსი) არცთუ ურიგო შედარებებით და მეტაფორებით (ცეცხლი ასდის ძოწვეულს, ცის გუმბათი დაემსგავსა გადახლეჩილ ბროწვეულს) და მუსიკალურად ერთობ უჩვეულოდ მეგრული სტროფის ჩართვით, გააღრმავოს და ტეგადი გახადოს ლექსის სემანტიკური კონტექსტი. მაინც ლექსის თემატური რეკალის, უფრო მარტივად, მთავარი სათქმელის გასაღებად გვევლინება ბგერათა მწყობრი პარმონია და კარგად ორგანიზებული რიტმული სქემა. პოეტი სწორედ ფონემურ-რიტმულ ურთიერთ მიმართებათა არა ხელოვნური ორგანიზებით. არამედ ბუნებრივად, თანდაყოლილი სმენის წყალობით ახერხებს ქართული ლხინის ამაღლებული განწყობის, ერთგვარი მისტიკური ალტკინების და, რაც მთავარია, მექორწილე წყვილის ურთიერთლოცვისა და ჯერაც დაუმცხრალი ვნებათა ღელვის გადმოცემას და ყოველივე ამას ახვევს არაამქვეყნიურ საბურველში. რათა მიწიერების სიმდაბლეთ არ გასვაროს ეს ამაღლებული და ღვთიური გრძნობა.

საერთოდ, თენგიზ მნეიძის პოეზიაში ალიტერაცია უდავოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. შეიძლება ითქვას, რომ იგი ქვაკუთხედი, რაზედაც აღმართულია ლექსის მთლიანი არქიტექტონიკა. ვგონებ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვი, რომ ჭეშმარიტი პოეზიის ნიშანდობლიობა სწორედ ეს განლაგო. მაგრამ ე.წ. მრავალ პოეტს, სამწუხაროდ, ვერ ხელეწიფება პოეზიის ამ თითქოსდა უჩინარი შრის სრულქმნა, რადგანაც მუსიკალური სმენა არ გააჩნია. არადა, ჭეშმარიტი პოეტისათვის ნატიფი

სმენა და მუსიკალურობა ისევე საჭიროა, როგორც კომპოზიტორისთვის, ანდა მხატვრისათვის ფერთა ალქმის უნარი. ჩოქო მხეიძე ამ თვალთა-ნედვით ბედს არ უნდა ემდუროდეს. სმენა მას საკმარისზე მეტი აქვს, რაც იგროძობა მის ნაძერწ თითქმის ყველა პწკარში.

ამ კუთხით ჩოქოს პოეზია სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. მაგრამ ამჯერად ჩვენ ამ პრობლემაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ოღონდაც ერთ მცირე ლექსს უნდა შევუერთოთ გაკვრიო. აი, ეს ლექსიც, რომლის სათაურია:

„უეშულის შაგბედი თაობა“

„ფშავში ირეში ხაოდა
შავხალით გაძოლადრული,
მთაში შაბთარი ხართბდა,
იყო შამბნაროც ღვარული.
შორს ხარ-ირეში ბლაოდა,
მუნხარი შაქზე შემდგარა,
შავშეთში ნუკრი დაობლდა,
შაშვეთში შიში ჩამდგარა,
შავლევი შაპთან დაობდა,
მთებოც შაქზეა შემდგარი,
შემშლის შავბედი თაობა,
თვალეში შიში ჩამდგარი .

ამ ლექსის ემოციურ ესთეტიკურ და, გნებავთ. სემანტიკურ ველს მთლიანად ქმნის ბგერათა კომპლექსის, სწავაგვარად, იდენტურ მარცვალ-თა გამეორება; ხა-ხარ-არ (ხა-ოდა, შავ-ნა-ლით, ხარ-ობდა. ხარ-ირეში, შაბთ-არ-ი, შამბნ-არ-იც, ღვ-არ-ული, მუნხ-არ-ი, შემდგ-არ-ა, ჩამდგ-არა), რაც, გარდა იმისა, რომ აგვის მომასწავებელი მოლოდინის ერთგვარ განწყობას ქმნის, ასევე გვეგვლისება ლექსის კომპოზიციური მთლიანობის მათრგანიზებელ ელემენტებად. მაგრამ ამ პოეტურ ქმნილებაში ყველა-ზე მარკირებული ფონემა მაინც არისშ ფონემა და ში-შე-შა ბგერათა კომპლექსები სათაურთან მიყოლებული ბოლო პწკარამდე რომ გასდევს ამ ლექსს და ნაწარმოების დედაზრის გასაღების გასაღებს წარმოადგენს (შე-გ-შ-ლის, შა-გბედი, ფ-შა-გ-ში, შა-გხალით, მთა-ში, შა-ბთარი, შა-მბნარი, შ-ორს, შა-ქზე, შე-მდგარი, შა-გ-შეთ-ში, შა-შვეთ-ში, ში-ში, შა-ვლევი, შა-პთან, შა-ქზე, შე-მდგარი, შე-მ-შ-ლის, შა-გბედი, თვა-ლებ-ში, ში-ში). აი, ამ (ში) ფონემის შიშინი ისმის მთელ ლექსში და ში-შისმომგვრელ ერთ გამად აღიქმება და მკითხველსაც შიშის ზარს სცემს... სიტყვა შიში წარმოადგენს ამ პოეტური ქმნილების სემანტიკური ველის ღერძს, რომელზედაც ასნშულია მარკირებულ ფონემათა ურთიერთმიმარ-თება, რაც საბოლოოდ ახორციელებს შემოქმედის ჩანაფიქრის ვადმოცემას. დიან, ფონემა შ-ს მწოყბრი განმეორება ქმნის ესთეტიურ-ფგფონიურ ველს, რომლითაც შემოქმედი გამოხატავს თავის დიდ წუხილსა და შიშს იმის გამო, რომ ერთ-დროს შაპთან მეზობლ შავლევის შთამომავლობას შიში ჩასდგომია თვალებში, რაც ერთბ აუვი მომავლის მაწწებელია:

„შემშლის შავბედი თაობა,
თვალეში შიში ჩამდგარი .

და ეს გულისწუნილი, განგაშის ზარივით რომ გვესმის. მილიანად გადაეცემა მკითხველს, აღონებს მას და სულის შემკვრელ ხმაღ ეკლინება. ყოველივე ამას კი, როგორც უკვე ავღნიშნეთ, პოეტი ახერხებს არა რიტორიკული ფიგურებითა და პათეტიკური მაღალფარდოვნებით, არამედ ფონემათა, ბგერათა, ურთიერთმიმართებათა მაღალნიჭიერი განსხეულებით, პოეტის ნატაფი სმენა რომ აპირობებს. საერთოდ, თენგიზ მხეიძის პოეზიაში ბგერათა ფერწერულ შრეს, როგორც ზემოთვე ეთქვათ, წამყვანი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ლექსები: „ქაშუეთს შური მართობდა, „აჭარული ესკიზები და სსგა. მაგრამ ამჯერად მათზე ვეღარ შევჩანერებთ ყურადღებას.

ზემოთთქმული ისე არ უნდა გავივით, თითქოს პოეტს ვერ ხელეწიფება გამომსახველობის პლანში პოეტური ნატების განსხეულება. მაგრამ პოეტური პალიტრის ეს ერთგვარი ფერთა სიმცირე, ჩემი აზრით, განპირობებულია იმით, რომ თენგიზ მხეიძის პოეზიის ერთი არსებითი ნიშანდობლიობა განლაგეთ უბრალოება და სისადავე, რაც მისი ესთეტიკური მრწამსის საფუძველს ქმნის. ასე რომ, ნატისმეტყველების დონეზეც იგი ინარჩუნებს ბუნებრივ უშუალოებას, უბრალოებას და სრულიად დაცლილია ნელოფურობისაგან, ამ სიტყვის უარყოფითი გაგებით... ეს განლაგეთ კიდევ ერთი თავისებურება პოეტის პოეტური ხედვისა და ბუნებისა.

თენგიზ მხეიძის ეს საოცარი უბრალოება იგრძნობა თითქმის ყოველ ლექსში, რომლებიც მართლაც მისი გულის სისხლით არის ნაწერი და არა ჩვეულებრივი მელნით. აბა, მოვუსმინოთ:

„სისხლით დავწერე ყოველი პეკარი,
მელნით დავწერილს არ ვცნობ... სხვისია,
მობრძანდით ნახეთ, ღიაა კარი,
მზის სამელნეში ჩემი სისხლია.

კითხულობ ამ სტროფს და ეჭვი არ გეპარება პოეტის გულწრფელობაში. ეს არ განლაგეთ თვითდაჯერებული შემოქმედის ამბიცია და პოზა, არამედ ეს არის გულწრფელი ადამიანის, ურყევი რწმენით ნათქვამი აღსარება, რომელიც ყოველგვარ პოზირობასა და სიყალბეს ძირშივე გამორიცხავს. მართალია, ის გამონატვის პლანში წინ წამოწევს მეტაფორას მზის სამელნეს, რომელსაც მისი პოეზიის სისადავეს ყურმიწვეული მკითხველი უჩვეულო პოეტურ ხერხად აღიქვამს, მაგრამ სტროფის მნატგრულ ქსოვილში ის უცნო, არაბუნებრივ ფერად არ წარმოინდება. მზის სამელნე- პოეტის ხედვით, შემოქმედის გულია, სიცოცხლის ენერგია მზე რომ ამოძრავებს და იმ სისხლის წყაროა, საიდანაც წვეთ-წვეთად იღვრება და იწერება ლექსი. სწორედ ამას გვაუწყებს მომდევნო სტროფებიც:

გულიდან იშვა ყოველი სიტყვა
ბუდიდან სხარტი აფრენა მერცხლის...
და მერე:

რწმენით შევქმენი ყოველი სვეტი.
და ეს ძარღვები სისხლის ღარია.

**ლექსად იღვრება ყოველი წვეთი
სისხლის და ლექსის ნაღვარი.**

პოეტი ზემომოხმობილ სტროფებში ერთგვარ კონტრასტულ სუ-
რათს ქმნის: იგი პოეტურ სიტყვას ბუდიდან აფრენილ მერცხლად გვი-
ნატავს, რაც, ერთი მხრივ, პოეტური შთაგონების და აღმაფრენის ზეციურ
წარმომავლობაზე მიგვანიშნებს, მაგრამ, მეორე მხრივ, პოეტის ნაძერ-
წი ყოველი სიტყვა, მისივე მოაზრებით, გულიდან გადმოსული სისხლის
წვეთია, თავად ლექსი კი სისხლად დაღვრილი ნიაღვარია, რაც უკვე
გვამცნობს ლექსის თხზვის ამქვეყნიურ სარწმუნოებას და მის დანიშნულებას.
ამ ერთგვარი კონტრასტული შექმნილობის ფონზე იკვეთება პოეტის
თვალთახედვა პოეზიაზე, რომელიც სულისა და სხეულის გარდაჯვარი
ურთიერთმიმართების, მიწიერი და ზეციური მარადიული დაპირისპირების
და იმაგდროულად ჰარმონიული შერწყმის შედეგად იბადება. სხაგვარად,
ლექსი, პოეტის ხედვით, ღვთით შთაგონებული სულისა და საკუთარი სისხ-
ლის ვალების ფასად იწერება. და ეს ზოგადად სარწმუნო თვალსაზრისი
კიდევ უფრო სარწმუნო ხდება მკითხველისათვის, როცა იგი ჩოქოს წა-
კებით აღსავსე ცხოვრების გზას გაისწავებს და მის მართლაც საკუთარი
სისხლით ნაძერწ ლექსებს გაეცნობა. ამიტომაც, საკვებით ბუნებრივად და
დამაჯერებლად ჟრერს პოეტის, ერთი შეხედვით, პრეტენზიული მოწოდე-
ბა:

ყოველი სიტყვა... ყოველი სვეტი
მამულზე ფიქრით იყოს გამთბარი,
თუნდაც ერთი ვთქვათ, არ გვინდა მეტი,
მაგრამ იმ ერთში ვიყოს მართალი.

თუმცა რა პრეტენზიულობაზეა საუბარი, როცა სამშობლოსათვის
თავდადებული პოეტი მითითებს კალმოსანი კოლეგებისაგან ორად ორ
რამეს: ღვთით მონიჭებული მამულის სიყვარულს და მართლისმოქმე-
ლობას. აპრიორულად შეიძლება ითქვას, რომ თეგვი მსხვილის პოეზიაში
ეს ორივე პრინციპი სრულად არის დაცული: ჩოქოს სიმართლისათვის
ბრძოლაში თავი რომ არ დაუზოგავს ამაზე ნათლად მეტყველებს მისი
ბიოგრაფია. რომელიც იშვიათი ნიმუშია მამულისათვის თავდადებული მე-
ბრძოლის ცხოვრებისა. ხოლო მისი პოეზია საქართველოს წარსულზე,
აწმყოსა და მომავალზე დაფიქრებული შემოქმედის ერთგვარი საგალო-
ბელია, სხვადასხვა ტონალობით გაჟღერებული... მოკლედ, ჩოქოს პოეზია.
სამშობლოს გამორული წარსულით ამაყი, აწმყოთი გულშეწონებული და
მომავლის რწმენით შემართული კაცის გულის გულწრფელი ღალატისა.
თუმცა შემოქმედის პოეტურსამყაროში უფრო ძლიერად რეკს მწუნრის
ზარი, არსებული რეალობისა და ვითარების განცდის გამო ასე სულის
შემძვრელად რომ ჟღერს:

ჟამი ზორვას, არ კმარობს,
ურვა, ოჰ, რა დიდია,
ჰოი, მამა-პაპანო,
კაი ყმები მიდიან.
მიდიან და ბინდია
გარეშემო საზარი,
ცას ცრემლები ჰკიდაი
სულს სამების ნანძარი.

ისმის მწუნის მუსიკა
სერაფიმთა გოდება,
მდუმარეთი უსიტყვო...
ღვას გრანიტის ლოდებად.

მართლაცდა, კარგმა ყმებმა დატოვეს საქართველო, გლოვა დასადგუ-
რებულა ცასა თუ დედამიწაზე, სულს კი ცეცხლი მოსდებია. სამგლოვი-
ართო რეკვიემი იღვრება და სამგლოვიართო განწყობას აძლიერებს შვიდ-
მარცვლიანი ლექსის რიტმული კონსტრუქცია, (4+3 // 3+4) მარცვალთა
მონაცვლეობით განსხეულებული. გაუსაძლისია პოეტის სულიერი და ფი-
ზიკური ყოფაც, მას ერთობ უჭირს სიძნელეთა ხერვილის გადალახვა და
მაინც აცხადებს მისთვის ჩვეული შეუვალლობით: „და თუ სული გამძვრება,
ისიც სამშობლოსთვის... ასე ესმის პოეტს თავისი ბრძოლისა და მოღვაწე-
ობის უმთავრესი მიზანი. სულის გაწირვა მხოლოდ მაშინ არის ფასეული,
როცა მას სამშობლოსათვის გაიღებ. ამგვარი ზნეობრივი პოზიცია კი მას
უადვილებს სიკვდილის ცნების დაძლევის:

მელოდებიან ქუჯის ნაშიერს
გადარეული რანსი რაშები!
სიკვდილი, აბა, რას შემაშინებს,
გაჩენის დღიდან ვეთაშაშები.

და ეს არ გახლავთ ლიტონი სიტყვები, ოდენ ლექსის ემოციური
განწყობის შესაქმნელად, არამედ ეს არის მორწმუნეს ურყევი რწმენა,
საქმით და სიტყვით გაცხადებული და დამტკიცებული. სამართლიანობა
მოითხოვს ითქვას, რომ მამულისთვის ბრძოლაში და უსამართლობის წი-
ნაამდდეუ გაშართულ შერკინებაში ის არც როდის გაურბოდა სიკვდილს,
იგი მღერად და თამაშად მიაჩნდა. მეტიც, შეიძლება ითქვას, მან სძლია
კიდევ ადამიანთა მოღვმის ამ დამთრგუნველ გრძნობას. მაგრამ პოეტმა
ვერა ვერ დაძლია ქვეყნის საგალალო და საბედისწერო მდგომარეობით
გამოწვეული დარდი და ფარამი, რაც მუდამ თან სდევს მას და მოუშუ-
შებელ იარად დაშინევია მის გულს:

ვეფხვთან მორკინე მოყმე
ტკივილს ვერ იტევს გულში,
დედასამშობლო მოკლეს
შადიმანებმა გუშინ...

სწორედ მოლაღატეების მეშვეობით დამარცხებული საქართველო, გა-
დამთიელთა მიერ ნაჯიჯენი და გათელილი, უცხო გენით და ჯიშით
შერყვნილი არის პოეტის უპირველესი და დაუაშებელი სატკივარი:

მისმობს გარძიის ბჭენი
თამარის მადლყ აშკობს
იწამე რჯული ჩემი
ვიღაც ველური აშბობს.

ვაშაღეს უცხო სუფრა,
შე მასწავლიან კახონს,
ო, როგორ მიჭირს სუნთქვა,

ხოტბას ასხამენ ქარონს...

შემოქმედი კვლავ კონტრასტული კონტექსტის შექმნით, აწმყოსა და წარსულის შეპირისპირებით აღწევს აგბედითი დღევანდულობის აღქმა გააძმაფროს და გააძლიეროს: მაშინ, როცა აძმალებული ვარძია გვაზსენებს თაძმარის დროინდელ საქართველოს სიდიადეს, ჩვენს რწმენის მაძრადულობას. ვიღაც მითრეული ველური ცდილობს საკუთარი რჯული მოგვანვიოს თავს და არა მარტო რჯული, არამედ უცხო ტრადიციები და კანონებიც. და აი, ამ დროს ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი ადიდებს ქარონს. სხვათა შორის, აძმა თუ იმ ლეგენდარულ, მითიურ თუ ისტორიულ სახელებს, რომლებიც ვარკვეული შინაარსით არიან ღატვირთული, ხშირად მიმართავს პოეტი და ამ ხერხით აძმიდრებს პოეტური კონტექსტის სემანტიკას და კიდევ უფრო ტეკვადს ხდის მას. სულების გაძმაძყვანი მენავე ქარონის ხსენებასაც სწორედ ამ მიზნით მიმართავს თენგიზ შხეიძე, რაც კიდევ უფრო აღრმავეებს სამშობლოს აგბედით ვითარებას და ქართველი ხალხის უსასო მდგომარეობის გაცნობიერებას. ეს სტროფები ადრეა დაწერილი. მაგრამ დღევანდულობას ისე ძლიერად ეზძმაიანება, რომ მკითხველს ჰგონია, დღეს მიმდინარე პროცესების აღქმით და განცდით არიან შექმნილი. პოეზის დირსება სწორედ ის არის, რომ ინფორმაციული კოდი „დიდი დროის ძანძილზე უნდა ინარჩუნებდეს ეძოციურ მუხტს და აზრის აქტიურობას.

გულმთკლულ პოეტს სწორედ ის აწუნებს და ზარავს, რომ დაობლდა ქართული სისხლი და გენი, ყოველდღიურად იცხრილება „ღამაზი საქართველო ... კლაგენ დირსეულ ძამშულიშვილებს... მთკლეს მერაბი, მთკლეს ქართველთა მიერ მესიად აღიარებული ზეიად გამსახურდია, რომლებიც ჩოქოსათვის ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან უძმალესი ზნეობრიობის ნატები, ძამშულისათვის თავდადებული მებრძოლი რაინდების სიმბოლოები:

აღერტის ტყეში მთკლეს მესია...
ვერ გავუმკლავდით უბირ წარმართებს,
ფრესკებს ბილწავენ, ნატებს ესგრიან,
წმინდა ტაძარზე სელი აღმართეს.

ეროგნული ცნობიერების და, რაც მთავარია, სულიერების, რწმენის შერყვნა, ფრესკების შებილწვა, ნატების დაცხრილვა და წმინდა ტაძრების დანგრევა არის ის ბარბაროსობა, რომელიც, პოეტისმთაზრებით, საბოლოოდ გააჩანაგებს და მოსპობს საქართველოს. ვინ ხნადის ამას უცხო, ურჯული გადამთიელი თუ ურწმუნო ქართველი, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგანაც საბოლოო შედეგი ერთია საქართველოს მოსპობა-გადაგვარება!...

სწორედ ამ ვარდაუვალი კატასტროფის მთახლოების საშიშროება, ქართველი ერის ყიფნა-არყოფნის ზღვარზე ღაღაღასი, ბეწვის ხიღზე სიარული, რაც მიზეზთა გამო ვერ შეუცვანია მთველქმარე ქართულ საზოგადოებას, ადიღვებს და სულს უფორიაქებს პოეტს. ის ხან ბავშვური გულუბრყვილობით და გულწრფელობით ცდილობს გადმოგვცეს საკუთარი შემფოთება და რისხვა:

ეს არის ჩვენი სამშობლო?
სევედით იტყვიან იუბი.
თქვი, თახსირების ნაშობო,
ვის წყალობს გადამთიელი...

და კვლავ ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებების
ხასიათებით იკვეთება ტრაგიზმის სიმძიმე და მასშტაბურობა:

შენედეთ! ჩვილი კანკალებს,
სერაფიმები ტირიან.
არ გავსმით? ეშმა ხარხარებს,
აქ წმინდა მამულს ჰყიდაიან.

სან აღტყინებით გადმოგვცემს ერთ დროს უძლეველი მხედრის
აღშფოთებას, რაც განპირობებულია ქვეყნის დღევანდელი ავბედითობით
და მხედრის უსუსურობით აღძრული განცდით, რომ ვერას შველის თავის
მამულს:

ვძლიე ურდონი არაბთა
და ბასიანიც ვაკურთხე,
ანლა კი მტერი გალაღდა,
ხიზანიც სულში მათურთხებს.

და ამ ნათელისა და ბნელის, წარსულისა და აწმყოს კონტრასტული
შეჯერების ფონზე უიმედოდ შთენილ პოეტს ისლა დარჩენია, მართმადიდე-
ბელი მორწმუნის სასოებით მოთვონის წინაპართა სულელები და წარსულის
ნანგრევებთან მდგომი ღმერთის ეგვიდრება სამშობლოს ხსნასა და გადარ-
ჩენას:

ცხიეო ქნისა,
წინაპართ ხსნისა,
ჩვეულთ ამბორს
მთვარის და მზისა.
ვდგაგარ შენს ფერხითი
ტარიგი ერთი
და კრძალვით ვამბობ
გწყალობდეს ღმერთი.

და ამ სასოებით ნათქვამ ლოცვაში ნათლად წარმოჩინდება ის უდიდესი
გრძნობა, პოეტის სულს რომ ძალუშად ასაზრდოებს და რომელსაც, არც
მეტი, არც ნაკლები, სამშობლოს სიყვარული ჰქვია.

მოკლედ, პოეტის წუხილის თუ სიხარულის, სულიერი აღელვების თუ
დაამების, ბრძოლის თუ ლოცვის მიზეზთა მიზეზი სამშობლოა. გლოვობს
თუ ხართბს, იბრძვის თუ იღვინის ის ფარგანასავით მუდამ სამშობლოს სიყ-
ვარულით ანთებულ სახთელის დასტრიალებს, დაჰკანკალებს, შიშობს, არ
ჩაქრეს და არ გაუჩინარდეს.

ამ მართლაც უშიშარ კაცს, სიკვდილის თვალეპში ჩახედვამაც რომ ვერ
შეაკრთო, ასდევნებია უსიამოვნო ფიქრი მამულზე და თავს ვერ აღწევს
მას. განსაკუთრებით აფრთხობს ქართველი ხალხისა და საზოგადოების
დღევანდელი სავალალო ყოფა და ინერტულობა. აშინებს ის, რომ „ღმერ-
თის მუმობელი გვეზრდება თვალწინ“, „ჯვარცმულ ერს კი სიფხილე
დაუკარგავს. ამ უბედურებას ვერ აღიქვამს და „სატანურ საფარველს
ეფერება. მას დავიწყებია „წინაპართა ღვაწლი“, დაშრეტია „ძალი და
სიმხნე“. დაუკარგავს ღირსება და სჯერდება „ვიღაცის მათხოვრულ ლუკ-
მა-პურს. საკუთარი „წესი და რიგი, ტრადიციები უარუყვია და ხსენისას

ეთაყვანება. ეს ყოველივე კი თავზარდამცემია პოეტისათვის. ის ელ-
დანაკრავივით წამოიძახებს: „აფაჰმე! ჩემი მამული იწვის!... და „აზავერ
ხარის ბლავილით ქვეყნიერებას ამცნობს მოახლოებულ უბედურებას:

ეს ბლავილია აზავერ ხარის,
ადიდებოვრება წინაპართ სისხლის,
ეს სომ დრტვინვაა მთისა და ბარის,
შენარე მაცნე სოდომურ რისხვის.
აფაჰმე! ჩვენი მამული იწვის!...
გული არ გტკივა, ჯგარცმულთ ერო?!
ნუთუ არა გდის ცრემლები სიმწრის?!
ღმერთო, არ ძაღმდის, რომ დავიჯერო!...

გესმის შემოქმედის ეს გულისძახილი, ერთ დროს მისი დაავადებული
ფილტვებიდან ამოსეთქილი და, თუ ოდნავ მაინც გიღირს შენი ქვეყანა,
შენი ერი, არ შეიძლება არ შეგძრას ამ „ბლავილით. არ დაგაფიქროს შენი
სამშობლოს აწმყომ და მერმისმა, ბედმა თუ უბედობამ...

და მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც დაუწოდებულ ჩოქოს ხედავდა
არგუნა, რაც მის სალოცავ ნიშას სამშობლოს უბედურება მიუხდოდა;
და მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს თავსდამტყდარი ტრაგედია მას
კარგად აქვს გაცნობიერებული და გათავისებული, მისი მებრძოლი სული
იმედით არის გაცისკროვებული. იგი კვლავ იმ რწმენით არის ზეშთავო-
ნებული, რომ ლაზარე აღსდგება და საქართველო გაბრწყინდება. ეს არის
განწირული ადამიანის უკანასკნელი იმედი და სულისკვეთება, რომელიც
ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის სიკვდილის შემდგომაც არ კვდება და
შთამომავლობის რწმენის ნაპერწკლად გვეკვლინება:

და მაინც გამწირეთ,
რა გნებავთ, რას მერჩით?!
ნუ ებრძვით არწივებს
ამაოდ დაშვრებით.
მზე თქროს საწმისი,
დააშრობს ბაზალეთს...
ეს არის საწყისი
აღსდგება ლაზარე!

დიან, ასეთია სულით უტენი პოეტის რწმენა, მომავლის იმედით გა-
ბრწყინებული. ეს იმედი ასულდგმულებს მის სიცოცხლეს და პოეზიასაც,
სწავაგვარად მისი ცხოვრებაც და პოეზიაც აზრს დაკარგავდა. მას მტკიცედ
სწამს, რომ ლაზარე აღსდგება და საქართველოც გაბრწყინდება. ღმერთმა
ამ იმედის გარეშე ერთი წამითაც არ აცოცხლოს ქართველობა!...

ბუნებრივია, თენგიზ მსემიის პოეზიის თამბატური რკალი მხოლოდ ბა-
ტრიოტული მოტივით არ შემოიფარგლება, მაგრამ ჩვენ ამ თემაზე იმი-
ტომ შევჩერდით, რომ, ჯერ ერთი, იგი პოეტის მსოფლგანცდის ქვაკუთხედს
წარმოადგენს და, მეორეც, ეს პრობლემა დღეს ყველზე უფრო აქტუალუ-
რი და გულთან მისატანია ქართველი მკითხველისათვის.

პოეტის შემოქმედებაში ასევე დიდი ადგილი ეთმობა სამიჯნურო ლი-
რიკას, თავისი უშუალოდობითა და ბუნებრივი განცდით რომ ნებლავს მკითხ-
ველს. პოეტს იზიდავს ქართველი ქალი და, როგორც საპირისპირო სქესი,
იწვევს მის ბუნებრივ ეროტიულ ლტოლვას. ოღონდაც საკუთარი გრძნო

ბების გადმოცემისას, ხანდახან ირონიატ რომ ფონაგს, იგი ახერხებს ბუნებრივობა შეინარჩუნოს და უკუაგდოს როგორც მოჭარბებული ბიწიერი, ასევე ამაღლებული, გაიდევალებული განცდანი. თუმცა ერთი უდავოა, ის არასოდეს გადადის იმ ზნეობრივ ზღვარს, ჭეშმარიტ კოლნ მაძრს რომ ეგების.

შემოქმედის პოეტურ სამყაროში ასევე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რელიგიურ პრობლემათა წარმოჩენას. თავად ღრმად მორწმუნე, იღვწის, ჩვენი რელიგიური ფასეულობანი, გრძნობები და ქრისტიანული მცნებები გააფრცვლოს და დაამკვიდროს ქართველთა ცნობიერებაში; დაარწმუნოს ქართველი კაცია, რომ რწმენის გარეშე შეუძლებელია ადამიანი თავისუფალი და სიკვდილის შიშისგან თავდაღწეული იყოს. და რადგანაც ქართველი ერის ფუნდამენტად ქართველი ხალხი გვევლინება. ამიტომაც საქართველოს, ქართული ეროვნების საყრდენი, სწორედაც რომ, რწმენის კედელი გახლავთ.

ამჯერად, სამწუხაროდ, ჩვენ ამ თემატურ რკალს ვერ შევვებით, ალბათ, მერმისში ის სპეციალური კვლევის ობიექტი გახდება. საერთოდ, ჩემი აზრით, თენგიზ მხეიძის პოეტური სამყარო იმხანურებს ლიტერატურათმცოდნეთა და კრიტიკოსთა უფრო მეტ ყურადღებას. მისი ლექსის სტრუქტურა ყველა დონეზე დაწყებული ფონემითა და მეტაფორულ-სიმბოლური პლანით დამთავრებული საჭიროების გამოწვევლივით შესწავლას, რაც, ალბათ, მომავლის გადაუდებელი საქმეა. პირადად მე კი, ამ მცირე შესავლის დასასრულს, მსურს კვლავაც გავიმეორო, თენგიზ (ჩოქო) მხეიძემ თავისი მოწამეობრივი ცხოვრებით, პოეტის უჩვეულო შემართებითა და ურყევი რწმენით დაგვაარწმუნა, რომ უდრეკი სულის ადამიანის დაჩოქება და ფერხთქვეშ გადაება შეუძლებელია. როგორც შეუძლებელია სულის მოკვდინება, ასევე ვერ ძალუძთ მტკიცე სულის ადამიანის ფიზიკური განადგურება. და როგორც არ უნდა ეცადონ დროების ჯალათებმა მისი სიცოცხლის ხელყოფა, რაც არ უნდა აგნონ მის ფიზიკურ სხეულს, სულად დაღვრილი და გარდასახული მისი ლექსი მარადიულად იცოცხლებს...

ადამიანის ჭეშმარიტი უკვდავებაც სწორედ ეს არის!

ამონარიდი წიგნიდან
„მართალმა რაი ჰყოს“ ?!

ელიზბარ ჯაველიძე
28. 01. 2008 წ

ორი მზე

კოლხეთი და იბერია

ქარიშხალს ჩამოჰყვა თოვლი და
ღვთაებრივ ვენახებს თოვლიდა,
წინაპართ სულელების თრთოლვიდან
გაბრწყინდა ორი მზე, ორი და.

რამხელა ღვთიური მადლია,
იღვრება სითბო და ნუგეში,
ორთაფეს სერაფიმს ადრიან
ღვთიური მტრედებით უბეში.

დარდიან ხილვებში დადიან,
ამზეგებთ ღვთიური ნათელი.
ამ ზეცას, ამ მიწას მადლიანს,
აბა ვინ დაუნთოს სანთელი.


აბა ვინ აუწყოს ღვთისმშობელს,
თუ ჟამი განკითხვის მოვიდა.
ამ ქალაქს, ზეციურ იმ სოფელს,
ლოცვებით აუწყებს ორი და.

ქარიშხალს ჩამოჰყვა თოვლი და,
მთოვლიდა, რა უღვთოდ მთოვლიდა,
და მაინც მათბობდა შობიდან
ორი მზე, ორი მწე, ორი და.



თეთნულდის მონოლოგი

განაგდეთ ძილი... ქართველებო, რა დაგაძინებთ!
ქორთინკონზე იწერება სსჯა ისტორია.
ფუფუნებასთან ობლის კვერცი დაინაწილეს,
უნიათობაგ... თოფიც ველარ გაგისროლია.
გესმით? სჯაგები ყაშყაშებენ... კრაგენ ირაოს,
ჩვენი საგანე, არწიგეთი თითქოს შძორია,
იქნებ ყიფჩაღთა მხედრიონი დაგვიქირავოთ...
არ მითხრათ ახლა გვიანია, რა დროს ოძია.
და თუ ესე გწამთ, ეს ცხოვრება მარქვით რა არის,
თუ არა მკაცრი ისტორიის განმეორება,
მზე-საქართველო წმინდანთ სისხლით საგსე ვრავალი
მისტერიული კვარცხლბეკიდან დასცეს მსტოვრებმა.
თერგის ტალღებში მოგელაობს შამილის სისხლი,
წმინდანთა სისხლით მადლცხებულა კალთა რიონის...
ამიტომ გვიმწერს ვით მშობელი აღვსილი რისხვით,
ეს ნათელშუბლა ბერიკაცი კავკასიონი.
მწუხრის ცრემლები სერაფიმთა, შაგ ზღვას ერთვიან,
მზის სატახტო და უფლის კვართი დარჩათ ნაძირლებს...
ნუგეშინი კი ამ ქაოსში მხოლოდ ღმერთია,
უღმერთობებთან ერთ ლაგრაში რა დაგაძინებთ.
წუთისოფელში ვასაყოფი რა გვაქვს მე და შენ,
როს ტრამალებზე უწავდება ველურს-ველური
თუ შეგვჩენია სისხლძარღვებში სისხლი ზედაში
უნდა ვაკურთხოთ მტრის მხარბეჭზე დავითფერული
შევუნდოთ აწმყოს, დაგუკოცნოთ ცდომილთ თგალები,
გუთხრათ: მერმისი აღარა აქვს ჰიდრას სისხლიანს.
დაე, გვიხილონ ჩვენს დიდგორზე ბობო-ქარები
დაე, აღსრულდეს კავკასიის წმინდა მისია.



მოქვარს

უფალმა თუ ჩაგაბარათ
ანგელოზთა კრებული,
გწამდეთ, რწმენის ანაბარა
ხართ მტერს შერკინებული.

ღვთაებრივი ტვირთი დაგაქვთ
სულითა და სხეულით,
სხვისი მოსარიდი რა გაქვთ,
დაგმეთ ღვთისგან წყეულნი.

ანდა თქვენვე შეულოცეთ,
სვლა ტაძრისკენ ურჩიეთ,
აკვნის წლები დაუკოცნეთ
სული გადაურჩინეთ.

იქნებ თქვენს ხმას ის ელოდა
მხსნელად ღვთიურ მიწაზე,
წახურჩულეთ ქრისტე მოვა,
ისიც ქრისტეს იწამებს.

გზა-საგალი დაულოცეთ,
ბარძიშს შემოატარეთ.
გზა ღვთისაკენ დაუმოდგურეთ
დიდებსა და პატარებს.

გაბრწყინდება ეკლესია,
დიდი შადლი გადმოვა,
საქართველო ქრისტესია,
აქ, სხვა ღმერთი არ მოვა.



დილის სახარება

თენდება!..

ელავს ბუხარში ღადარი,
ნატვრა არ დაგვიბერდება,
ბულისწორს უნძობს ყამარი,
იცოცხლე!..
ზღვაც შენი იყოს, მთა-ბარიც,

მსოლოდ იმედი მიცოცხლე.
ხმალი... მოშურნეს დაჰკარი.
ეძიე!..

იყავ საუნჯის მფლობელი,
ძელს მიჯაჭვულებს ეწვიე,
მსვენ მეოხი ყოველი.

ეტრფოდე...

ნიშნავს ვერაფერს ეტყოდე,
გიტევდნენ...
ზღვა სათნობას იტევდე,
იბრძოდე...
გული ფათერაკს მიგრძნობდეს.
იღვწოდე...
ერის სატკივარს იწოდე.
რაც დაგვიკარგავს ეძიე!..
ღვთიურ შარავანდს
ეწიე.



სატყუბონ

მე აღსარება მინდა,
სიმსნეს სურვილი მშატებს,
თაფლის სანთლები წმინდა
ეწირებიან სატებს.
ცრემლები დამდის როცა.
სევდას თვალეში გატყობთ,
დაგ სატოთ მინდა, თუმცა,
სატი მორწმუნემ სატოს.
მე კი დვთისშვილი ერთი
დრომ მომისროლა გზიდან,
ოდეს უარპყვეს ღმერთი,
უამი სიმსნეში მცდიდა
და მეც ვიწამე იგი,
სატი რჯული და რწმენა,
როგორც წესი და რიგი
რომ შემბლებოდა ფრენა.
მალვით ვანთებდი სანთლებს,
ვგრძნობდი გუმანით სავალს,
დასარბებული ნათელს,
სიზმრად ვხედავდი გრაალს.
სიზმრის ახდენა მინდა,
დარდს უმწეობა ბადებს...
ჩემთან სულ წვიმდა, წვიმდა
და წვიმის ფერი მადევს.



უკვდავეზაში დაგელოდებით

მოგონებები უცებ განაზდნენ...
გონება წერას უსწრებს სულეთში,
თითქოს არც ვიყო ამ ქვეყანაზე
მივექანები უსასრულეთში.

ძლივს დავაღწიე თავი სატანეთს...
ტყვიის ღრუბლებმა გადამიარეს,
გზად გაუსაძლის ტკივილს მატანენ,
ასე ჩვევიათ ადამიანებს.

მირონცხებული ანგელოსებით,
მნათობთა კრთომით ვირჩენ იარებს,
უკვდავებაში დაგელოდებით,
შემომიარეთ, შემომიარეთ.

ქართული მართლნი

ბნელი ძალების საუფლო
გათოკა სიბრძნემ და ნიჭმა,
შემოგვინახა საწუთრო,
თვითონ ზეცაში აიჭრა.
ებრძოდა ჟამთა სიავეს,
წვაგდნენ და როდი დაიწვა.
ქარში ირჩინდა იარებს,
დაფნის გვირგვინი დაიწნა.
კლდეში ქალაქი გამოსჭრეს,
რწმენის აკვანი დაირწა.
ათიათასჯერ გაკოჭეს,
სუნდი გაკვნიტა ტაიჭმა.
არ დაშვრა სული ნათელი,
ისევ საომრად გაიჭრა...
საოცრებაა! ქართველი
რა რწმენამ შეჰქმნა, რა ნიჭმა.

ნეტავ თუ მოვლენ

*ვევდრე ღმერთსა ჩვენთვის,
წმინდაო სათნომყოფელო ღვთისაო...
ზვიად გამსახსურდიას*

ნეტავ თუ მოვლენ ზღვიდან ნიშნები,
ღვთიურ მკლავებზე ძილი ვინატრე.
აღვევლინება ცამდე ფიქრები...
მეც უსათუოდ მომკლავს პილატე.

ვერ დამიფარავს ჩემი უფალი,
და დიონისეს სიბლიც გაქრება,
ვერ დამიტირებს ჭირისუფალი,
გუშინ მომიკლეს გულქვა ჩაფრებმა.

დარდის კოლხეთში ზეცა ზანზარებს
და თუთარჩელა ჯგაფრით მიკვდება,
„გამოვედ გარედ, წმინდა ლაზარე!“
სანამ ოცნება გამიცვივდება.



ნაღვლიანი აკორდეზი

მოგონება მართობს,
იქ ჩაუეშვი ღუზა...
ვით ერთგული სატრფო
მეფერება მუზა.



ჩამოვასხით ღვინო,
ვადღეგრძელებთ ვაზი...
ვინძლო გავაწბილოთ
დამღუპველი ბრაზი.

ვლოცულობდით ერთად,
აგაცრემლეთ მდელო,
შევავედრეთ ერთხმად
უფალს საქართველო.

თრთოდა თეთრი თუთა,
ჩიტი ერთი ციდა,
ფანტელივით სუფთა
ცრემლი გადმოსცვივდა.

მოიწყინა ლექსმა,
დაემსგავსა პატრონს.
სინუშეში გვესმა -
მარტი როგორ მარტობს.

მარტობობით მარტო,
ჩემს სარკმელთან მკვდარი,
როგორ განგიმარტოთ,
ასვენია ქარი.

პარადოქსი

საჭივარას ვაწვები,
ჩამომისმა ღაწვები...
არის ჩემი საწყისი
აიეტის საწმისი.

აშლილია საწოლი...
უფლისწულის ნაწოლი,
ჩარჭობია ბოძალი
გასროლილი ბოძალდით.

ბრუნავს ბედის ბორბალი,
უკრავს ჩემი ბობლანი...
ორმოს ფარავს ბადიმი,
ვერ გავმართე ნადიმი.

მძიმე შემსვდა კომბალი,
მცირე შემრჩა სორბალი,
სსვა მოსავალს ვსახავდი,
ფიქრებს ცაში ავყავდი.




ძაბუეის შური ზაროზღა

შამქორში შაშვი გალობდა,
ქაშუეტს შური შარობდა,
შორს ქარი შარიშურობდა.
ეშმაკი როდი სუშრობდა.

ქალი სამშობლოს შველოდა,
შვილი შავლეგოს მშვენობდა,
შმაგი შამქორში შმაგობდა,
ლაჩარი შაშვეტს ამსობდა.

ლაშარის ჯვარი ჯვარობდა,
შაპი შფოთაფდა ჯაფრობდა,
ლაშქარი შასით ლაშქრობდა,
გურჯთა გუჯაბი მძლავრობდა.

ქორბუდას რქები შვენოდა,
ლაძე ლაძურას შველოდა.
ქაშუეტს შური შარობდა,
შაშვეტში შარიშურობდა.




აჭარული ესკიზები

ვითარც აფთარი...
მოდის თათარი,
თრთის ნათატრალი
თავთუნ-თავთავი.

კმარა! თათრული
თათის თათუნი...
ამბობს ქართული
სულის ბათუმი.

თათა! თათარო...
თაღნო თავთავო,
თარსო თამთამო,
სიძვის თაღამო.

სულოს ავედი,
ბათუმს ჩავედი...
ფეთქავს თაველი
და რუსთაველი.



შეგზლის შავზელი თაობა

ფშავში ირემი საოდა
შავსალით გამოლადრული,
მთაში შაბთარი სარობდა,
იყო შამხნარიც ღვარული.

შორს ხარირემი ბლაოდა,
მუხნარი შაქზე შემდგარა,
შავშეთში ნუკრი დაობლდა,
შაშვეთში შიში ჩამდგარა.

შავლეგო შაჰთან დაობდა,
მთებიც შაქზეა შემდგარი,
შემშლის შავბედი თაობა,
თვალეებში შიში ჩამდგარი.



ვაშვირთა ძორო

თვლემს ნისლიანი
პონტოს ნაპირი,
ფრენს სისსლიანი
კოლო ვაშვირი.

იკივლე ქარო...
სისსლი მასველებს,
ვაშვირთა ქორო
სიკვდილს მასსენებს.

შურს იძიებენ
რწმენის მსახურზე,
მომიძიებენ
მეცსრე სართულზე.



სისხლის სამელნე

„წერე სისხლით, რათა იგრძნო სული“.
ნიცშე

სისხლით დავეწერე ყოველი ბწკარი,
მელნით დაწერილს არ ვცნობ... სხვისია,
მობრძანდით! ნახეთ, ღიაა კარი,
მზის სამელნეში ჩემი სისხლია.

გულიდან იშვა ყოველი სიტყვა -
ბუდიდან სხარტი აფრენა მერცხლის...
იქნება სიტყვის ქარი და სეტყვა,
ვერას დააკლებს ჟამი და ცეცხლი.

რწმენით შევექმენი ცხოველი სვეტი
და ეს ძარღვები სისხლის ღარია,
ლექსად იღვრება ყოველი წვეთი,
სისხლის და ლექსის ნიაღვარია.


ყოველი სიტყვა... ყოველი სვეტი
მამულზე ფიქრით იყოს გამთბარი,
თუნდაც ერთი ვთქვათ, არ გვინდა მეტი,
მაგრამ, იმ ერთში ვიყოთ მართალი.

სისხლით დავეწეროთ ყოველი ბწკარი...
მელნით ნაწერი უვარგისია,
მოდით და ნახეთ, ღიაა კარი,
ჩემს სამელნეში... მუდამ სისხლია.



ბაზალეთისკენ

მძიმე ტანკებით,
ავტომატებით,
ჯავშან- ტრანსპორტით,
ქართულ პასპორტით
დღევანდელ დროში,
შინდისფერ დროშით,
თან სიმღერებით
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ზ ე . . .
მ თ ი ჩ ქ ა რ ო დ ნ ე ნ
ა რ ს ა ე თ ე ლ ნ ი!
ა ღ ს ა ვ ლ ე თ ი დ ა ნ ! -
დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს კ ე ნ !
ბ ა ზ ა ლ ე თ ი დ ა ნ ! -
ბ ა ზ ა ლ ე თ ი ს კ ე ნ !



ყვავილებით აწერია

1992 წელს, ქ. ზუგდიდის ცენტრში დედის
თვალწინ მოკლეს მსატვარი გოჩა ჯიქია.

უცხოს... არ უსვრია მისთვის,
მოკლეს ვაი-ქართველებმა,
ნეტავ რატომ, ნეტავ რისთვის,
ფიქრობ... ფიქრში მათენდება.

დედა კვის... დამირჩინეთ!
ძე მეტი არ გამაჩნია,
სატანებმა ჩაიცინეს...
მთელი ხიბლიც ამაშია.

და მოუკლეს დედას რწმენა...
სულიწმინდა არ ისვენებს,
ერთი პქონდათ დედა-ენა...
მოკლულს, მკვლელებს, განძის მცველებს.

დგას ქალაქში ხსოვნის ფილა,
ცოდვილთ ტყვია დაწვეია
ქართველებო! ვიყოთ ფრთხილად!..
ყვავილებით აწერია.

უცხოს არ უსვრია მისთვის,
მოკლეს ვაი-ქართველებმა
და ჩამოწვა ირგვლივ ნისლი...
ძმათა ცოდვის ფანტელებად.



ღამყდარი სიყვი

მეობრების - ოთოს, ბადრის და
მურთაზის ნათელ სსოვნას.

ტკბილ მეობარ ოთოს,
ეფერება ქარი,
მიეალ ღვინოს მომთხოვს,
ის როდია მკვდარი.

გადასძანებს ბიჭებს...
მურთაზის და ბადრის,
ზეასწევენ ჭიჭებს
მზე ადის თუ ჩადის.

დალოცავენ სამოს
იმ მშენიერ ქალებს,
სიწმინდე რომ ამკობთ,
ცრემლი უქრობთ თვალებს.

აბლავლდება მთები...
ჩვენ გაგიწვრთნით შვილებს,
დაეწრდებათ ფრთები...
სამერმისო გმირებს.

და წალეკავს ეს სმა
შავგორგალა ღრუბლებს,
ზნე შეუქოს ლექსმა...
ჩვენს საყვარელ უბნებს.

ტკბილ მეობარ ოთოს,
მურთაზის და ბადრის,
მოთოვს თუ არ მოთოვს,
ავუტანოთ... ვარდი.

მონათხროვი ფერიცვალება

დაბა ნობში, მხედრიონელთა მიერ რწმენისათვის
წამებული მსატერის ვახტანგ ნოდის ნათელ სსოვნას

გინილეს დილას უამიანს...
მწოლი სისსლიან გუბეში,
გულ-მკერდზე ქრისტეს ჯვარიანს,
სატი გაბოვეს უბეში.

დაგაჭრეს მკლავი სელოვანს,
რწმენით გამთბარი არ შედრკი,
შენს გოლგოთაზე შედგომას
დედის ნა-ნი-ნით ნაჩვევი.

კოლხეთს სატანა ღრეობდა,
წმინდა ადგილებს არბევდა,
ვიღაც უმსგავსოდ მღეროდა,
ვიღაც უტიფრად გვასმენდა.

ღვარძლი... შურს გადასლართული
ყოველ ნაბიჯზე გვსვდებოდა
და ყოველივე ქართული
უზიარებლად ქრებოდა.

ეწამე ღამეს მთვარიანს,
რწმენის ტაძარში მისვედი,
ვედრიდი დედა მარიამს
მიწა დაეცვა... წილსვედრი.

ხარისთვალას და ხალიანს
ცხრა მზე ჩაგიწვა უბეში,
მშვიდად იძინე ძამია,
მთიები გეტყვის ნუგეშინს.

ხ მ ო ბ ა

იღია, ზვიად, აღზდევით!
ქაქუცა, მურაბ, თქვენც,
გაშაღეთ ბაირაღები
მტერი მოღისო თქვეს.
არ გინდათ ბჭობა ამდენი,
ისევ მიენდეთ გულს.
მუზები ცრემლის დამდენნი,
თქვენი იმედით დუმს.
შეპართეთ ქრისტეს მახვილი,
შეუბა მოაგვარეთ ურს.
თქვენებრი შემოდახილი
სულის შემძურელად ჟღერს.
გელოდეთ წელი რამდენი,
ეფიცავ თქვენს ნათელ სულს,
მტრის სისხლის მკლავზე დამდენი
ლაშქრის შეკრება გვხურს.
ერთი მყავს რაში ფრთამაღლი,
ეთამა შება მზეს.
მწამს გამოიხნდება მრავალი,
გადატორავენ ვ ზებს.
მინდა გაუწყოთ მთავარი,
ერს უთქვენობა მკლავს.
ფარას უხდება სარქალი,
დავითფერული მკლავს,
იღია, ზვიად, მურაბი...
დიდო თავადო თქვენც,
ქველამ ღვთიური მურანი
უნდა შევკაზმოთ დღეს.
თორუმ იქნება გვიანი,
მთები მოუცავს მწუხრს.
არაგვი-არაგვიანი,
კელავ ძველებურად წუხს.

ქმათა სასუფეველი

სულიერ ძმებს, სამშობლოსათვის
თავდადებულ რაინდებს


სამძო საფლავს ჭირისუფლის ქარი...
შეწირულთა სახელებით მოთქვამს,
აგვიკვნესდა სამრეკლოზე ზარი,
დანრილია დაცხრილული დროშა.

ვასშიანებ მოუსვლელთა ბილიკს,
მიმაცილებს ვოი ნა-ნა ქალთა,
განვერიდე გულბოროტთა ქილიკს...
ლოცვად დავდექ მდუმარეთის კართან.

დრო გადის და შარავანდს ვფენთ წლები,
ყველა ღვთიურ ანგელოსებს ჰგავსართ,
ისევ ერთად შეკრებილსართ ძმები...
სად წავიდე როცა ყველა აქ სართ.

სისხლის ფასად უკვდავება ჰპოვეთ,
სიამაყემ აღარ უწყის ზავი...
ეჰ, ბიჭებო! რისთვის მიგვატოვეთ,
ანდა რატომ შეგვაყვარეთ თავი.

თუ ასე სჯობს, მეც გავყვები ბილიკს,
ვივლი მარტო, წარაფებზე მთა-მთა,
თავს დავაღწევ შურს, ღალატს და ქილიკს,
შვებას ვპოვებ ზედ სამარის კართან.



უბრად შეხვდი

მამის ნათელ სსოვნას

საფიქრალი ბევრი გქონდა მამაჩემო,
თვალწინ მიდგას, სახე შენი, დარდიანი...
ჟამთა სრბოლის ავ-კარგობას სარ ნაჩვევი,
სიტყვა გქონდა, მართალი და მადლიანი.

აღიონზე სილის არაყს გადაჰკრავდი,
თან იტყოდი შეგვეწიოს დილის მადლი,
მარსულობდი, ლოცულობდი, არა ჰკლავდი,
გაიყოლე ჩვენი ჭირი, ჩვენი დარდი...

დამესიზმრა დედა როგორ გაჰკიოდა,
ცალუღელას აწი რაღა შემიძლია,
გულმა მიგრძნო უმამობა და მტკიოდა,
ქარმა მამცნო, ჩემთვის ცოდვა შეგინდვია.

უბრად შესვდი აღდგომის დღეს, დუმდა ქნარი,
ცრემლის წვიმა მოჰყოლია დარდის ღრუბელს.
იყო გლოვა და მიმწუხრის რეკდა ზარი,
საბოლოოდ ააკვნესე კარის ზღუდე.

აწი, ვინღა ჩამოგვისსამს წითელ ღვინოს,
აწი, ვინღა დაგვიძასებს, ქრისტე აღსდგა!
გონებაში ვატრიალებ ისევ იმ დროს
და თვალებზე სინანულის ცრემლი მიდგას.



აწვიმდა სიონს, აწვიმდა არმაზს

*ახალგაზრდა ჟურნალისტის
გიორგი სანაიას ნათელ ხსოვნას*



შენ, მზეჭაბუკო, გესროლეს მაშინ, -
ბორითს შავლეგო მოგვიკლეს როცა...
და შენ იყავი იმხანად ბავშვი,
როცა ბავშვების დაიწყეს სოცვა.

შემდეგ სომ ყველას მოგვიკლეს მამა,
და ჩვენს რიგებში ვერ ვპოვეთ გორი,
იწერებოდა სასტიკი დრამა:
მწუსარე სახის რაინდი ორი...

და აგვიცრემლდა სატი და ჯვარი,
ვეთხოვებოდით ოცნებას ლამაზს,
საქართველოზე იყარეს ჯვარი,
აწვიმდა სიონს, აწვიმდა არმაზს.

საფლავს უთხრიდნენ აწმყოფში მერმისს
ეშმაკეულნი აღვსილნი რისხვით,
ღიხს გაღმა ქართლს და გამოღმა ეგრისს
არ შეშრობია ცრემლი და სისხლი.

ჟამში ნასროლმა გიმსხვერპლა ტყვიამ,
შენს დაკრძალვაზე ისიდაც მოვა,
ამ დღეს თუ შენთვის ბოლო დღე ჰქვია,
ჩვენთვის დღეს არის სასტიკი ზორვა.

ვდგავართ სატის წინ ტუჩების კვნეტით,
მაგრამ ვაითუ ეს არის გვიან...
გასვენებაზე ჩამოვა სეტი,
და შეათასედ დაგვანლის ტყვიას.



დავით პაპა

ილორის წმინდა გიორგის
სახელობის ეკლესიის მოძღვარს
დეკანოზ დავით ფიფიას ნათელ სსოვნას

უწმინდესო დავით პაპავ!
მოსთქვამს შენი ილორი,
შავღრუბელი დაიკლაკნა
განყობაა მინორი.
გუმბათი რომ დაიგრაგნა
ფრესკაც გაქრა კედლიდან.
ხატებს ახსოვთ დავით პაპა
უფალს როგორ ვედრიდა.
აქ მოჰყავდათ თეთრი ხარი
წმინდანების ტარიგად
და ჰკურნავდა მირონწყალი
ცხრა ათასებს, ცხრა რიგად.
დღეს აღარ გვყავს დეკანოზი
ვისი ლოცვაც გვფარვიდა
ვით ზღაპრული ეკაროსი
მეცხრე ცაზე გავიდა.
იქაც ჩვენზე ილოცება,
ცას გადმოსდის მირონი,
მისი მადლით იკოცნება
არტანუჯი... ილორი.
აღეველინა! დავით პაპა,-
ბლავის კავკასიონი.
გულმა ელვა გადაყლაპა,
განწყობაა მინორი.

რახსი რაშები

ღმერთო მალალო! ცოტაც მადროვე
მელოდებიან... რახსი რაშები!
თუ სიკვდილია, მტერს შემატოვე!
წმინდა ბრძოლაში როდი დავშვრები.

ჰა, ბრძოლის ველი... უნდა განვგმირო
ცეცხლისმფრქვეველი ავი დრაკონი,
ფაზისს მოადგა, მცხეთას ნადიმობს,
მტკვარზე დაცურავს ნავით ქარონი.

მელოდებიან ქუჯის ნაშიერს
გადარეული რახსი რაშები!
სიკვდილი აბა, რას შემაშინებს,
გაჩენის დღიდან ვეთამაშები.



თქვენებრ ვილოცავ

*ქღვინება არგვეთის დიდ მთავრებს,
ძმებს მოწამეებს, დავითსა და კონსტანტინე მსუიძეებს*




ორთავ იყავით სწორნი მეფეთა,
ტაძრად მიყავართ ძვირფას ნაკვალევს...
აჰა, მოვედი სასუფეველთან,
თაფლის სანთლები აგიკანკალეთ.

თქვენებრ ვილოცებ დაჭრილ ფერსათთან
და ყრუ მურვანიც დაიღრიალებს,
ცა გაბრწყინდება წყალწითელასთან,
რადგან იქ თქვენი სული წრიალებს.



დიდოსტატის საფლავთან

წმინდანთ ეზოში ვდგავარ,
ვიცრემლები, ვმარტოობ...
იქნებ, შეშლილსაც ვგავარ,
კონსტანტინე ბატონო.
დაწვეს კოშკი კოლხური...
ჩვენო ბრძენო პატრონო,
ჩამოირღვა ქონგური...
ტაძარს ვედარ ვპატრონობთ.
დიდოსტატის სიკვდილი
განა კი დავიჯერე,
სული სსოვნას მისტირის,
გული ცრემლით ვიჯერე.
ვგლოვობთ მე და ჭადარი,
ვდგავართ ქარში მარტონი
თუმცა სულიც აქ არის,
დიდოსტატი ბატონის.
ეს კედლები მოგვითხრობს,
მოკლეს ზვიად ბატონი,
ბრძოლისაკენ მოგვიწმობს
მეოხი ქალბატონი.



ნათლის სვეტი

*მზეო ქართველთა, გაივლის ჟამი...
უარყოფელნიც გთხოვენ შენდობას.*

ყოვლად სახიერო! სხვა რა დამრჩენია,
იქნებ შენს ძებნაში ვპოვო ნუგეშინი,
მტერთან გარიგება რა ვქნა არ მჩვევია,
სული ფორიაქობს... შენი დაგეშილი.
სხვას ვის გაგუმზილო გულის სატკივარი,
ოდეს იმედები წლობით დამწურვია.
მტვერში მიკელანობს ბაშვი მათხოვარი
ობოლს, ნაშიმშილარს... მხრები ასწურვია.
ლოცვით შევაჩერე, ცრემლი შევუმშრალე;
გვითხე მომიყევი რა გაქვს სათხოვარი...
და სთქვა ანგელოსმა: ძია, ვერ მიშველი,
მოკლეს ჩემი მზე და ჩემი მაცხოვარი.
ჩემო პრეზიდენტო, აქ რა დამრჩენია,
იქნებ, შურისგება მზაკვარ ავსულებზე,
თვალეებს შეუმშრალი ცრემლი დასჩვევიათ,
სულს კი მოგონება ადრე წასულებზე.
მწყემსო მიწიერთა! მტრებსაც ენატრებით,
წამი, წამს მიჰყვება, წლები არ იცდიაან.
ღვთიურ შარავანდით მთრთოლი კელაპტრები
ნამდვილ ელვარებას ჟამში განიცდიან.
ტაძარს ათინათებს შენი ნათლის სვეტი,
წმინდა მარიამიც ვალში არ დაგვრჩება.
ლოცვით, საღვთო სჯულით, ქრისტეს ათი მცნებით
შენი საქართველო მაინც გადაარჩება.



სერაფიმული

სამშობლოს გადარჩენისათვის მეოხ ქალბატონებს

წმინდა სანთლების წვას...
რა შეგავედრო აწი,
სერაფიმების ღწვას
მაგონებს თქვენი ღვაწლი.

წმინდა გიორგის შუბს,
სისხლის ატყვია კვალი,
ძმათა ქიშპობა-შუღლს
სურს განარიდოს კრაფი...

თქვენიც დიდია აქ...
ლოცვა კურთხევის მადლი,
ვერ ჩააყენებს ქარს
საფლაფი სამი ადლი.

და მეც დავლოცავ შუნს...
დამისხით ღვინო შუმი,
მაფიწყებს შუღლს და შურს
მზებერ ნათელი შუბლი.

ჰერი, ჰერი და ჰე!
ჰერი, ჰერი და ჰერი!
ტაძრად შემოვა მზე
და გადარჩება ერი.



ოდა პირველ ქალბატონს

ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას

ამეობს სული ქართული,
ერის პირველ ქალბატონს,
ღვთისმოსიში მსახური
ჭვრეტს ნაღვლიან კაბადონს.
სათნოება აშორებს
ცოდველ დედამიწასთან
შავღრუბელი აშინებს
ღურჯთვალეება რიწასთან.
ცხრა სართულით ანლოს არს
წმინდანების სულებთან...
სახიერებს დალოცავს
ბარძიმებთან, ჭურებთან...
ცრემლს შეაწვეს ოცნებას
ჯინაშკართან, ბორითთან
და აღაველენს ლოცვებად
მტერთან ვინც არ მორიგდა.
ტაძარს ცეცხლი ედება,
ესმის მწუსრის გალობა,
მაინც ეიმედება
წმინდანთ სულის ალობა.
ჩემი მეცხრე სართული
ფურცლავეს წირვის კაბადონს,
გულმართალი მსახური
ლოცავს პირველ ქალბატონს.



წერილი ოლიკო დეიდას

თბილისი ქალბატონ ოლიკა დემურია-კოსტავას

უსათნოესო ოლიკა დეიდა,
სმა შეწირულთა მესმის.
ფარისეველთა ორდა მდევნიდა,
სატევარს ველარ შევწვდი.

განწირული ვარ მგონი დღეიდან,
ირგვლივ ძალადობს მსეცი...
მაგრამ, იესუს მკვლელთა სელიდან
არ ამიღია ვერცხლი.

ჩემი საყუდრის აივნებიდან
ვფიცავ გახედვაც მზარავს
მწარე ფიქრები აირევიან
და სისხლში ვაწობ კალამს.

მოწამებრივი ზღვარი არ არის,
სულში მეღვრება ლავა...
ჩანს ეს სიცოცხლეც ნაგრიგალარი
როგორც სიზმარი გაეა.




ბორითის ეძო

ფიქრის მთაო, მთაწმინდაო!
სად სიკვდილი, სად მერაბი...
თქვეს მოყვასმა გაწირაო,
ნუთუ, ასე გავევერავდით?!

გთხოვ, ტყუილად არ ვიდავოთ,
დაღვრილია წმინდანთ სისხლი,
ვფიცავ უფალს, არ მინდა რომ,
კვლავ დაგვიდგეს ჟამი რისხვის.

ბევრის მთმენო მთაო წმინდავ,
მოკლეს მოყმე მხნე და ფიცხი...
ტირდა მრევლი, ცა და მიწა,
ტირდა თვით ცაშეტი რიცხვი.


და ჩვენც ვტირით გლოვის მთაო,
დაგვედგომია ჟამი წირვის...
შურით, ღვარძლით, ომითაო
ვკვდებით ძმისგან განაწირნი.



როგორ მინდა მოისელო

რუსუდან ბერიძეს

როგორ მინდა მოისელო მერაბისკენ...
და თუ არა,
სერაფიმებს მიუპყრიათ მწერა მისკენ,
ისიც კმარა.
მებრალეებით, რადგან უღვთოდ იტანჯებით,
გეტყვის ქარი...
ეჰ, რა ფუქად ირწევით და ინარჯებით,
ლერწმის ქალი.
დღეს მერაბი მომესალმა მთაწმინდიდან,
სარობს სული...
და თუ რამე შეიმეცნეთ ამ წიგნიდან,
არ სართ კრული.
თუ შესძელით ცოდვილ სულის იქ ატანა,
დაიფიცეთ...
დაიხოქეთ მის საფლავთან, თქვით: სატანა
დავივიწყე...
და მერაბიც მიგიტევეთ სწორედ მაშინ,
ეს გასსოვდეთ!
უმერაბოდ... ლაჟვარდებში ფრთებს ვერ გაშლით,
ვერასოდეს.



თაშთა

თაშთა კოსტაეას

იწამე თაშთა
სული მერაბის,
გადიფრენს ცხრა მთას
ზეცის მერანი.
მებრძოლი ქართან -
თავისუფალი...
დადგება კართან
მამა-უფალი.
ეჰ, თაშთა, თაშთა -
გეტყვის დაღლილი,
შენით ვარ ახლა
ტყვიადანლილი...
მოჟონავს მთა-მთა
სისხლის მელანი,
გიყვარდეს, თაშთა,
მზე და ჩქერალი.
შეიცან, თაშთა,
მტერი ვერაგი...
გასძახებს მთა მთას,
როგორც მერაბი.



ვერ გავუფრთხილდით

ვერ გავუფრთხილდით... წავიდა ისე,
სამწყვდო ვერ ნახა
თავისუფალი...
და ჩაისუტა მთაწმინდის მიწამ,
საქართველოა
ჭირისუფალი.



გრავალით შთაგონებული

საბერძნეთში ემიგრირებულ და
საქართველოზე მეოხ ქალბატონ ივეტა კობახიძეს

წმინდა მთაზე ათონის
დგას ტაძარი ივერთა,
ბილიკს რწმენით გათელილს
ეფერება ივეტა.

ღვთისმშობელო მარიამ,
ღვთისმოშიშო ივეტა,
გული ჩემი მქრქალია,
როგორც აწმყო ივერთა.

ავი ჟამის საათი
ჯვარცმის დღეებს გვასხენებს.
სიზმრად გვექცა გრავალი,
წმინდანთ სისხლი გვასხელებს.

ძვრა ვერ უყვეს ამ რიგებს,
გეზიც გამოიკვეთა.
გეწყალობს არსთა განმრიგე,
ლოცვად დგება ივეტა.

ვიცით, რასაც გვიპირებს
ჟამი მკვლელი, ჯალათი,
გული მაინც ტიკტიკებს,
როგორც ძველი საათი.



ნაღვლიანი ინტიმაცო

გაფიცულია თბილისში მეტრო...
გაჭირვეულდა ონკანში წყალი,
როგორც ნაცნობი სიმღერა რეტრო,
ამეკვიატა აპრილის ქარი.
და აგვირისტებს აპრილი სევდას
და ატრიალებს შეშზარავ კადრებს,
უშობელ შვილთან დაჩეხილ დედას,
დიდ რუსთაველზე გათელილ ვარდებს...
და იქვე ხელებს გამიწვდის ბავშვი,
აღარ მექნება არც ერთი გროში,
რადგან კენის არ ვზივარ ნავში,
მივდივარ ქარში და ვიწვი დროში.
დარბეულია თბილისის მეტრო,
აღარ ონავრობს ონკანში წყალი,
როგორც განთქმული სიმღერა რეტრო,
თავს შემასხენებს ერთგული ქალი.
დავუბრუნდები პერიფერიას...
ღმერთო, ბრძოლისთვის ძალი მომმადლე,
დუელში ვიწვევ მთელს იმპერიას,
გავიწირები მე ჩემს მონმარტრზე.
პა, ძველი ოდა, ეზო და კარი,
წინაპართ სული ცამდე ასული,
ტირს ჩემი ქალი, ვით მთრთოლი ქარი
და ტანაყრილი მრწემსი ასული.
ნუთუ, ტყუილად დავკარგეთ ეს დრო,-
ფრთხილად მაყვედრის მეუღლე წყნარი...
ოწინარზე კი წრიალებს ვედრო,
მგონი ჭაშიაც დავვიშრა წყალი.
არავის ახსოვს სიმღერა რეტრო
და უზნეობის არა ჩანს ზღვარი.
ღმერთი წყალობდა ამ ქალაქს ერთ დროს,
ახლა მეტყისთან მარტვილობს მტკვარი.

არ გესმით?!

ეს არის ჩვენი სამშობლო?-
სუვედით იტყვიან იები.
თქვი, თახსირების ნამშობო,
ვის წყალობს გადამთიელი.

თავისუფლება წაგვართვეს,
მოგვიკლეს ნაღდი ძიები...
ურიცხვი ჯვარი აღმართეს
მართლებზე შურისძიების.

შესედეთ! ჩვილი კანკალებს,
სერაფიმები ტირიან.
არ გესმით?! ეშმა სარსარებს,
აქ წმინდა მამულს ჰყიდიან.



აპი სიზმარი

ამ თვალებს
ჟამისგან ნამთვრალევს
უქრებათ სანთლები...
აწი მათ ვერ ნახავთ...
ამალამ დავთვრები
და მოვლენ აფთრები...
წუნელის მესიზმრა
სისხლს სვამდნენ ერთნახადს
ჯერ ტაბლა დავუდგი,
თუმცა არ მემართა.
დოქებიც ჩავუდგი,
ვფანტე რაც მებადა.
სახრაფი არ ეყოთ
და მკლავი მივართვი,
ზღვარს გასცდა სიგიჟე
ჩემი და იმათი.
მკლავს მიყვა ბეჭი და
ნეკნები, თირკმლები...
მეტი არ მაცალეს,
გულ-ღვიძლი, ფილტვები
თვით ამომაცალეს.
ძარღვები დაწურეს,
დოქებში ჩაწურეს
სისხლი და დაცალეს.
დამცინეს, დამძრანეს,
რა აღარ დამწამეს.
ეს ხილვა - კოშმარი
თან მსდევს და მაწამებს.

მირონცხეზული იარე

ძმას ქისტესმიერს კოლხ რაინდს
სოსო თორიას

სულით წმინდანი ყოფილხარ
ვით ქერუბიმი ციური.
სალაშქროდ გამოწყობილხარ
მადლი გფენია ღვთიური.

მზიური შუბის ნაკვალევს
შენი ნაბიჯიც ემჩნევა,
ბილიკს წინაპართ გაკვალულს,
შენებრს არ უჭირს შეჩვევა.

ძველი კოლხეთის რაინდებს,
ტოლს არაფერში დაუდებ,
კაცს არ იცნობდი, დაინდე,
დარდი შესხენი საურმე.

მირონცხეზული იარე...
ზეცით უფალი დაგყურებს,
ნახავ მოყვასის იარებს,
სახიერებით განკურნე.

ვერაგ სიკვდილთან წილნაყარს,
უშველეს შენმა ლოცვებმა...
ვინა ხარ ძმაო, ვინა ხარ,
სინამდვილე თუ ოცნება.



წარსულის ნანგრევებთან

ცხეო ქსნისა,
წინაპართ სხნისა,
ჩვეულო ამბორს
მთვარის და მზისა.

ვდგავარ შენს ფერხთით,
ტარიგი ერთი
და კრძალვით ვამბობ,
გწყალობდეს ღმერთი.



რას იზამს ძარი

უამმა მანდილი ასადა უბნებს...
და ლუციფერი აბახებს მორაღს.
ღვთაებრივ სატრფოს საკინძეს ვუბნევ,
რომ არ მინებდეს ცდუნების ქორაღს.

აქ ყველაფერი უარყვეს წმინდა,
ერთურთს შეჰკვირიან მსტოფრები ზავით,
ტირს ღვთისმშობელი და სული წმინდა,
აქ, ბელზებელი მბრძანებლობს ავი...

ენახთ, ამალამ რას იზამს ქარი...
თუ გაისსენებს დიდებულ წარსულს.
მაისის სიბლით ვიყავით მთვრალი,
ორთავ ვყვარობდით მზეთვალა ასულს.

ვაითუ შეკრეს მზაკვრობის ძალით
და ლუციფერი გონებას უბნევს,
ვინ უწყის, იქნებ მართლაა მკვდარი...
რაღაც საექვო სიჩუმე სუფევს.

ნეტავ მოვიდეს, მოვიდეს ქარი...
რომ ვეზიაროთ დიდებას წარსულს,
ქრისტეს მასვილით ნაწრითობი მკლავი,
წმინდა ბრძოლაში მოაშთობს ავსულს.



ოლონდ შენ არა

ვძლიე სიკვდილის ტლანქი ფერები,
თურმე, სამების მადლი მფარვიდა.
მითაჟამიდან განახელები
ლოცვა-კურთხევას ვიწყებ თავიდან.
თქვენთან რა მინდა, თქვენთან რა მინდა!
ნაღალატევი ვბორგავ სიზმრებში,
თქვენგან რომელმა ერთმა დამინდო,
ნუგეშინს ვეძებ ღვთიურ ხილვებში.
რომ შემომწირეს ავ წუთისოფელს
ო, ღმერთო, განა ჩემი ბრალია?!
ჩემი ვაღია მზეს, ცხოველყოფელს,
რომ ვეთაყვანო... ჩემი ვაღია.
და უსაფუძვლოს ვითმენ ყვედრებას,
ვით დედინაცვალს ბავშვი ღვთიური,
ჩაგრული სულის მოთქმა-ვედრებას
შეისმენს თუნდაც მსეცი ტყიური.
ოლონდ შენ არა, მოდგმავ კანის,
შენ არ დაისერ გულს იარებად...
ეს პროცესიაც ისე ჩაივლის,
დამასამარებ უზიარებლად...
და წავა სული ღვთიურ აბელთან,
მისივე ბედის თანაზიარი,
ლოცვად დადგება ციურ სარკმელთან
ერთ დროს ლაღი და ლაზათიანი.
აჭრიალდება სტიქსის ბორანი,
როს მზისფერ სხეულს ზედ შემოსდგამენ,
სადღაც გაისვრის გოლან-გოლანი
და სიყვარულის მეფეს მოკლავენ.
ამ ცისქვეშეთში ჩაკლეს ხალისი...
და გესლით საესე გვასვეს ფიალა,
თუ სახიერი მოვა მერმისი,
ვიტყვი სიკვდილმა გზად ჩამიარა.
რწმენით სიკვდილის ვძლიე ორანი,
თურმე სამების მადლი მფარვიდა,
შემოქმედებას ნაამბორალი...
გზას მოწამებრივს, ვიწყებ თავიდან.

იმ ღამეს ძარიანს

„ისხენი სამკვიდრო შენი - გეორგია“

ზვიად გამსახურდია

ცეცხლში დავდიოდი
იმ ღამეს, ქარიანს...
წმინდაო, გიორგი!
წმინდაო მარიამ!
გაბარებთ ვედრებით
ჩემს წმინდა მონასტერს,
თქვენს სატებს ვემთხვევი,
წყალობას მოგვასწრეთ!
გაკლავს სიშტი რუსული...
დიდების რაინდო,
განგმირე ურჩსული...
არავინ დაინდო.
ასივეს ასიდან
სიკვდილი - ბრალიანს,
გრაალის თასიდან
სისხლი ვინც დაღია!
სიკვდილი მოსულა
და კვერთხით დაიარს,
მივსტირით ფსოუს და
გავცქერით დარიალს.
ჩაგვიქრა სანთელი,
სასტიკი ჟამია...
მოგვმადლე ნათელი
წმინდაო მარიამ.



არბ ღღეს, არბ ხვალ...

მ. ჩუხუას, ა. დოღბაიას

გაუკაფავი გზებით იარეთ,
გაითავისეთ ქარიშხლის ქროღვა,
მზე დაგიოცნით ნახმლევ იარებს,
თუ ბრძოლის ველზე სიკვდილი მოვა.

მთვარეც იმ ღამეს გადაირევა,
როცა ჩაქრება მთიები თქვენი,
მაგრამ მერმისი მოვა ირმებად...
დაიქუნებენ სამრეკლოს ბჭენი.

აელვარდება თქვენი ბიკონი...
და ეოლოსის დაუკრავს ქნარი,
თქვენ უკვდავებას ჟამში იპოვით,
მარადიული იქროლებს ქარი.



გზანი ძლევისანი

ამას ქრისტესმიერს
ნუგზარ ჩუხუას

მოგისმობენ იდუმალი გზები,
სული შენი რწმენის ძალით ბორგავს,
გსურს დაიხსნა განწირული ძმები...
ვინ მოგაწვდის არიადნეს გორგალს.

შეპყრობილი ღვთაებრივი გზებით,
სიო ჰყვება საარაკო ამბავს,
თურმე შენამ დაგილოცა ზვრები
და მთიები გიკოცნიდა აკვანს.

დაგყოლია ანგელოსის ფრთები...
მითაჟამი გასწავლიდა ანბანს...
გაკაჟებდნენ არამსუტუ მთები
ამორძალთა ნაფერებს და ნაბანს.

ჩამავალი მზე გენიშნა ზღვაზე,
მწუსრისფერი შეპარვია ტალღას,
მიდიოდი თვით სიკვდილის ზღვარზე,
არ გჩვევია ჩივილი და დაღლა.

ბევრი გდიეს, არ შეგშლია გეში,
დაირჩინე წინაპართა ქარგა,
მოსყიდულებს ოცდაათი ვერცხლით
ღმერთი განსჯის, შენ იყავი კარგად.

შელოცვა

ასე პატარა რწმენამ გატარა,
იცი გატანა თავის...
მთრთოლი სანთლებით, ბარძიმ-საკეველით
მოგდგამს წირვები ღამის.

შენმა თილისმამ... ძველმა თბილისმა
ააირისა ველი...
ჰკაფა სამგორში, ჟლიტა შამქორში,
ჩენა დიდგორში მტერი.

ჩემო პატარავ, შესძარ სატანა,
სძლიე შური და ჭორი.
მენი დაგვეცა, სვეტი წაგვექცა,
სისხლი დაიქცა ღომის.

ბაზალეთისებრ, ბაზალეთებით,
ღვარძლით, ღალატით, ომით...
ტროა დაეცა, შენ კი ფერზე სარ,
დაეცა დიდი რომი.



„ლამბადა“

ექვსეუბა ლტოლვილ ბავშვებს

პატარა ბაში ცამდე მართალი,
ცეკვავს და მღერის, აგროვებს ლარებს...
არ ჩანს პატრონი, არც სამართალი,
შიშველ ანგელოზს ვინ შეიფარებს.

სახელი ვკითხე, კრძალვით მომიგო,
ქუჩამ შემარქვა ძია „ლამბადა“,
დაუწვავთ სახლი, ჩემი რომ იყო,
ასე მგონია, ქუჩამ დამბადა.

ათრთოლებული კოლხური გენი
„საშოვარზეა“, ცეკვავს ლამბადას,
მტვერში გაგორდა ობოლი ცრემლი,
ეს ცეკვა არცერთ ცეკვას არ ჰგავდა.

დასრულდა იგი ოვაციებით,
„ტრიუმფატორი“ მიითვლის ლარებს...
ატირდნენ თეთრი აკაციები,
ქუჩის „მაესტროს“ ვინ შეიყვარებს.

დაიარება შვიდი წლის კაცი,
ლალი ბაშობა გაქრა, განქარდა,
მან მშობლიურის რა უწყის ფასი,
საქართველოში არჩენს ლამბადა.



ასეთს მინილავთ ავანსცენაზე



ერთბაშად ჩაქრა ცხრა ლამპიონი,
ლექსთ სავანეში დავანდა ღამე,
რიკულებს მოსწყდა გალაკტიონი,
ატირდა მერი... მთაწმინდის მთვარე.

ჩვეულ სისხარტეს კარგავს რიონი
და ეფლირტება ექვსინუს პონტოს,
თვალწინ შებილწეს კაკკასიონი
და სულს სწადია ბლავილი მორთოს.

ასეთს მინილავთ ავანსცენაზე,
ანთეთ რამპა, გამართეთ ფირი,
ერთ ლოცვას ვიტყვი აღმაფრენაზე
და წავალ თქვენგან პოეტი მწირი.



ქარის პოემა

ვაპატიოსნებ სსეულს დატორილს,
სისწლი ზედაშე ჯიქებრ დალიეს,
ვტოვებ მიდამოს ცრემლით დატბორილს...
ბორითს, ჯისაშკარს და ცხრა აპრილებს.

რასსი რაშები გამაცილებენ,
აუფოფრთებათ ქარში ფაფარი
და თუ ცოდვები დამამძიმებენ,
მიწა იქნება თავშესაფარი.



არ დასრულდება ქარის პოემა,
უსასრულობის არს წილნაყარი,
უკვდავებაა მთელი პრობლემა,
ლექსი იქნება ჩემი მაყარი.

ბენვის ხილვა

მივდივარ, უკან არ ვიხედები,
ვითომ, არც მტკივა რამე...
არც ცა ლაჟვარდი, არც ეს ხედები...
არც მერეკელა ღამე...

დავტოვე მთებიც, ბუმბერაზები...
ო, გული როგორ შეწვის,
ძვირფასო მთებო, ნუ მიბრაზდებით,
ჩემს წინ ხიდია ბეწვის.

მივდივარ, უკან არ ვიხედები,
ფლიდთა სიკეთე არ მწამს,
რადგან აროდეს გავისუნუნები,
ეშმა კოცონზე დამწვავს.

ბღავეან მთები, გოლიათები...
მგონი სამყარო იწვის.
აბა, საიდან ბოლი ამდენი,
საიდან ცრემლი სიმწრის.



გამოზრუნება

სამოცდაექვსი დღე,
სამოცდაექვსი ღამე,
უფალი იყო მწე...
ვბჭობდით სიკვდილი და მე.

ძვრას ვერ გიზამენ ძვრას,
კოსის ჩხირი და კომა,
მანუგეშებდნენ ძმას...
თინათინი და რომა.

იქაც მესმოდა ეს
გუნდრუკის მკემევი სმები,
თურმე მჩუქნიან მზეს...
ეკიმები და ძმები.

ჯერაც არა ვარ მზად,
გავყვე საჯისზე ბილიკს,
იქნებ დაგვარდე გზად,
ეშმა დაიწყებს ქილიკს.

ძველი ჭრილობა მკლავს,
გაუტანლობა ჩვენი...
დიდოსტატების მკლავს
ულვთოდ ჩამოსხვებს მტერი.

რა დამრჩენია აქ,
თუ გადაგვარდა ერი,
მე მოწამეთა მაქვს
სული, სისხლი და ნერი.



ვარ მოიხედა

ტარიელ ქანთარიას

მივედი ძმავ, დასიცხული... აწი შენ იცი,
ვინ უწყის, გზა-გზა რამდენია სისხლი დაღვრილი.
ხელი სიკვდილი სადაცაა გულმკერდს შემისხნის
და გადამისვრის მდუმარეთში თხემლის მარხილით.

ამის გამგონე, ცრემლს შემაწვე, ჭიქას წაუქცევე...
იტყვი, ჩვენს თვალწინ იქმნებოდა ქარის პოემა,
რა უცებ გაქრა ეგ საბრალო, მაინც რა უცებ,
მშვენიერების მოტრფიალე, გიჟი ბოჰემა.

მცირე დრო მრჩება დაისამდე... იქნებ შენ მისხნა,
ჰა, ხული ჩემი, წრფელი ლექსი... სანდო სამხილი.
და მეოს მეყავ, იქნებ არ ვარ ღირსი შერისხვის...
ეულ დონკისოტს უფრო ვგავარ ქრისტეს მახვილით.

მე სანჩო პანსაც არ მყოლია... ერთხელ წამომცდა
და თუ გატკინე ძმავ გული, ცოდვა შემინდევე,
ჩემთვის მრავალგზის მოუწყვიათ მკაცრი გამოცდა,
ვერ შევიმეცნე, ავსულებთან როგორ შევრიგდე.

და თუ მოვედი მრწემსი ძმავი... ვარ მოიხედე,
მწამს ჩაგაფიქრებს მითაყაშში ძმა რომ გიწოდე,
თუ სულის სითბო, ჩემთვის ველარ გამოიმეტე
მიჯობს, ჰადესის მობურბურე ცეცხლში ვიწვოდე.



ლუხუშთან

მთიელ ძმებს

მისშობს მთები ბუნუნა,
ნადირობით დავშვრები,
მაღლე წავალ ლუხუშთან...
კლდეზე დავიშაშრებით.

ლეღეს ბალან-ბულანსი,
მრავალძარღვა, სამყურა,
ზედ არაყი... ბურასი
ერთ-ორ დღეში განგვკურნავს.

მოჩანს მთები საორბე...
შევიკარი თასმები,
დურაყები დაობლდნენ
იცლებიან მასრები.

გულქვაობას დავვწამებს
ნადირობის ქაღმერთი,
მოკლულ ფოთრის წამწამებს
დასდის სისხლი ნაღვენთი.

ისევ თოფმა იქუნა,
ცამ წარბები შეჰყარა,
მთებმა დაიბუნუნა,
მხრებზე თოვლი ეყარათ.

მნიბლავს მთები ბუნუნა,
არწივეთი, არჩვეთი,
ისევ წავალ ლუხუშთან
და კარგა ხანს დავრჩები.

წერილი მეგობარს

შატყვარ ა. კალანდიას

უნდოდათ კაცის სიკვდილი
და დაუყარეს ქორები,
იცით? ვინ იყვნენ ისინი...
აღბათ, ბინძური ღორები.



მე იმათ სისხლსაც ვერ დავლევ,
რომც თქვეან არისო ზედაზე...
მაგრამ შორს მაინც ვერ წავლენ,
აქ სომ ვართ ძმაო... მედა შენ.

შენ შედევრები დასატე,
მე ფიქრებს მოვრთავ რითმებით...
გავილამაზოთ სასატე...
ლეგენდებით და მითებით.

მე ვნახე შენი შედევრი...
გულს დაგა-დუგი გაჰქონდა,
წამების გზაზე შევდექი...
შენი ნახატი თან მქონდა.

ჩვენ ვერას გვავენებს ქორები...
ქორებს დიდებზე ყვებიან.
სოლო, ბინძური ღორები
ამ ქორებს გადაჰყვებიან.

ჩვენი სისხლი კი... ზედაზე,
შერჩება ჟამთა დინებას.
როს არ ვიქნებით მე და შენ,
ღვთის ტაძარს დაედინება.

ძვიზუნი წარსული დუმს

სულის გამოცდა მწადს,
შევენიზნები ტყეს.
ვიღებ წინაპრის წაღდს
და გავიწაფავ სელს.

ქვაზე შემოვდებ ქვას,
ძელზე შემოვდგამ ძელს,
ასე მივაწვდენ სმას...
პაპის სულსა და ძვლებს.

პაპის წისქვილმა ფქვას,
მარჯვედ მივუგდებ რუს.
და სადოლაბო ქვას
ავუწრიალებ სულს.

ქვებში წარსული დუმს,
სეშიც ვიპოვი კვალს,
ცრუ მწიგნობართა ბუმს,
ქვის ღაღადისი კლავს.



ციხე... ისევ არ აშენდა

თმა შევერცხლილ კაკასიონს
იპყრობს ციებ-ცხელება,
ნუთუ, უნდა დაგვაქციონ
მასწრობელა გველებმა.

იქნებ, ერი გადაშენდა...
ერთიც აღარ გადარჩა?
ციხე... ისევ არ აშენდა,
ზურაბი კი არა ჩანს.

ტარიგობა ვინ გასწიოს,
ვინ წვას ცეცხლის ენებმა,
სიზიფეს ქვა ვინ ასწიოს,
ვინ აკურთხონ ბერებმა.

ლოცვად შევდექ კაკასიონს,
აღბათ, უფალს ენება,
მაშ გასწიონ, მაშ გასწიონ!
ზეციურმა ცხენებმა.



კერკეტი კაკალი

დღეს არაფერი გამომდის,
მოუმკელია სამკალი...
ეპ, ურვაც ყელში ამომდის,
ურვა, კერკეტი კაკალი.

ვძლიე ურდონი არაბთა
და ბასიანიც ვაკურთხე,
ანლა კი, მტერი გალაღდა,
სიზანიც სულში მაფურთხებს.

ვწუნვარ, ვერაფერს გიშველი
დედავ, მზირალო დასავლეთს,
ჰა, სული ჩემი შიშველი,
როგორ გიშველო მასწავლე.

აზირუშ

მწუნრის წარმოსთქვი ლოცვები,
ჟამი განკითხვის მოვიდა,
თითქოს დღეს იყო, ოცნებით
ჩამოველ საღვთო ომიდან.

რა ჰყრია ფუქად ლოდინში,
იქნებ სჯობს გაღმა გავცურო,
შეყოვნებისთვის ბოდიში,
მზევ, დიაცვივით მაცდურო.

გადავეშვები აქერონტს,
განმბანს ბალზამში დინება,
სულო და გულო აფერუმ!
თუკი უფალმა ინება.


ძარის პარაკლისი

ვწევარ მეცხრე სართულზე,
ქარი მიხდის პარაკლისს,
გაბმით უკრავს მავთულზე,
მალე მიწას დამაყრის.

ვწევარ ჩემთვის, ვკანკალებ,
ალარ მისხნის დანა პირს,
მესაფლავე სარსარებს...
მარჯვედ იქნევს ძალაყინს.

ქარი ღმუის, ფარფატებს,
ქართან ბრძოლა მართლა ღირს,
სანამ ქრაქი პარპალებს,
ფრთებს შევასსამ ჩანაფიქრს.

ვისმენ მწუხრის პარაკლისს,
ქარი უკრავს მავთულზე,
ჟამი ტყვიას დამახლის,
მომკლავს მეცხრე სართულზე.



პარადოქსები

ხან ზღვაში ვისრჩობ თავს,
კიბორჩხალები მკბენს.
ხან ცხელი ტყვია მკლავს,
სიკვდილის ქარი სტვენს.

ხან გადმოვდგები ბანს
ცხრასართულიან კლდეს,
გონებით ვზომავ სრამს,
ვიცი, რომ ხელი მკრეს.

როცა ავხედავ ცას,
როცა გავხედავ ზერებს,
მარადისობა მწამს,
ვფიცავ სამშობლოს მზეს.



ნოქტიურნი

ვეძღვნი მეუღლეს

ვეუშერ კაბადონს,
აწვიმს რიკულებს,
ცივა ქალბატონს,
დადის, მიყურებს.

ჩემი გონება
ცაში ნავარდობს,
ვფანტავ ქონებას,
სული თავადობს.

ვისდი ძველ ვალებს,
ვათობ მიწურებს,
ვეტრფი მწვერვალებს,
ზეცას მიწნულებს.

აზრი იხუელებს,
რთველი დამატკობს,
ქალი იხუმრებს,
მზერით გამათბობს.

მუზა აღმაფრენს,
ვწვდები კაბადონს,
ლექსად ავაფრენ
სათნო ქალბატონს...

რწმენა არ მტოვებს,
სიმხნე არა მთმობს,
როცა დამტოვებს,
ვიცი დამათოვს.

ჭადრაკის დედოფალი

ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს

ამორძალთა გენებით
თუ მედეას შარბათით,
აიეტის ცხენებით
რბოდით შამათ-შამათით.

თქვენ სართ კოლხი ათენა
მკვიდრი ძველი ოდიშის,
ვინც აღამა-ათენა
გამარჯვების ლოდინში.

აღბათ ჭერეტდით ბასიანს,
საჭადრაკო დაფაზე.
იმკეთ, რაც ძვირფასია,
დღეს მსოფლიო გაფასებთ.



სათნოება

ექიმ ქალბატონებს ნინა მაქაცარიას, დოდო წურწუმბას.

არც სახელი... აღარც ფული,
მასსოვს რომ დავიჩივლე,
თქვენ გქონიათ ოქრო - გული...
დედა გადამირჩინეთ.

ჰიპოკრატეს წმინდა ფიცის
გაჩენილხართ ქომაგად...
მოწყალება ღმერთმა იცის,
გადაგისდით ორმაგად.

ალბათ, ზენამ დაგილოცათ
კოლხ დასტაქრებს გენები...
თუთარჩელამ დაგიკოცნათ
ჯადოსნური სელები.

სიტყვა რომ თქვით დათაფლული,
სევდა არ დამირჩინეთ,
ჯადო სელით, სათნო გულით
დედა გადამირჩინეთ.



ფიქრებით ლაღო ასათიანზე

ვით აფრენილი მთიდან არწივი,
სივრცეში ცურავს ციხის ნაწილი
და ღვთაებრივი ისმის ზარები
ქართული ყოფის თანამგზავრები.
თუმცა ანლო არს თურქთა სამანი
მზით იხიბლება იასამანი...
მოლზე ჩიტები ზიან, ნაზობენ
და ყვავილები ფიანდაზობენ.
გესმიანები, ქრისტეს ორია,
შენს აივანთან თრთის მაგნოლია,
ცისფერ ვაზაში ნაძვის რტოებით
აქ ისევ მოვლენ აგვისტოები...
ვერ იკავებენ ბადაგს არყები,
შენი დოსტები, შენი მაყრები...
თვალსაწიერზე მთა ჩანს მელოტი,
ვსარობ ძირძველი საქართველოთი.

ღმუის ჩქერალი, დუმან ლოდები,
აბანოთუბანს ვუასლოვდები,
აქ რა ხელი აქვს უბირს, უსწავლელს...
ზედ კლდეზე ვსედავ შოთა რუსთაველს.
თამარიონი ცისე-დარბაზიც
ვნახე, ვემთხვიე კრძალვით, თავაზით.
მთის ძირას კი დგას სახლი გალია,
მაგრამ, იქ ანლა სულ სხვა ქალია,
ლაღო დროებით... მელოდებიან
ირგვლივ რაც მთები და ლოდებია,
თეთრი ტაძარი, საბაზთუბანი...
შენი და ჩემი აბასთუმანი.

ქართული მანდილით

ქართველის დედისთვის ჩვეული კდემით
დაიარება დეიდა თინა,
ლადოს პალატის სულ ოდნავ ზევით
აქვს ძველი ბალი და მყუდრო ბინა.

ის გავიცანი ვარდობისთვეში,
შორიდან ჩანდა თამარის ცისე.
ბულბულის სტვენა ისმოდა ტყეში,
ჯერ კიდევ ბალი არ იყო მწიფე.

და მზეს გაქცეულ ნისლიან სევში
მყიფე ყინული სალტავდა ღელეს,
თინა დეიდა თბილ მოსასვევში
ქარს უმაღლავდა ნაჯათარ სელებს.

თვალეზე აჩნდა ცრემლები სიმწრის,
მომიბოდიშა, შვილივით მკოცნა.
ქართული ზეცის, ქართული მიწის
სულისშემძვრელი მასმინა ლოცვა.



საიდუმლო ძარტია

ახალგაზრდა ექიმს თუა წივწივაძეს

წლები გარბიან და გული მეწვის,
არ ვიცი სული რით დავიმშვიდო.
ზღაპრიდან მოხველ ასული ლერწმის...
სვებედნიერი მინდა გინილო.

თუ გიპყრობს ჟამი თინისგან ძერწვის,
ზღვა ასტრალურში ერთად ვიფრინოთ,
ასლა კი, ჩემს წინ სიღია ბეწვის
სულის სმობანი მსურს გაგიმხილო.

დამატარებდა შემოქმედს ბედი,
ხან სამოთხეში, ხან ტარტაროსში,
რადგან ცხოვრების ვერც ერთი გვერდი
ვერ ეტეოდა სასაფლაოში.

იყო ჯვარცმა და ხილვების ჯარი...
ფერიცვალება... მამა-უფალი,
შემოქმედება თვით მძიმე მსჯავრი
და შემოქმედი თავის უფალი.

დაშრეტილია წილხვედრი მზეც კი,
არც ია მწყალობს, აღარც ღიღილო,
მაგრამ სიმღერა ქარის და ლერწმის
ძალმძის, ერთხელაც დავიღიღინო.



თეთრი სერაფიმი


ქალბატონ ნანა სევსურიანს,
მადლიერების გრძნობით.

ჩემი ექიმი სათნო ქალია,
ამიტომ შეენის თეთრი ხალათი,
თითქოს ზღაპრული დედოფალია
ჰაეროვანი... მისებრ თვალმნათი.

მალე იქნება დილის შემოვლა,
განწყობას ვიჭერ და ველოდები,
ვით სერაფიმი, ვიცე შემოვა,
შემოჰყვებიან ანგელოსები.

შემომეველება ღამის ფიქრით,
შემდეგ, დამითვლის გულის ნაბიჯებს
და მეტყვის ჩუმად, მთრთოლი ფიფქით,
ლუციფერული სიბლი გაგიჟებს.

მომავონდება ჟამში ეს წამი...
იქნება თრობა ნაზი ფერებით,
ძილში შემოვა ქალი ლერწამი...
ცხადში ლექსებით მოვეფერები.



უფლისწულის საპატარალო

ნათია ფიროსმანაშვილს

შენ დედოფალი გახდები ნათი,
მზესაც დაჩრდილავ მწველი ღიმილით,
ჩიტბატონები, მწამს შენი ხათრით,
ტყეს აიკლებენ ყივილ-სივილით.

შეყვარებული შენს გამო ხელი
ლოცვად აღავლენს ტრფობის არიას,
გეტყვის, ძვირფასო მომეცი ხელი,
მეჯვარეებიც აქვე არიან.

და შენც შველივით სათნო და მთრთოლი,
ღამაზ უფლისწულს ცოლად გაჰყვები,
ვნებით აიკლებთ სარეცელს ორნი,
გამოთვრებიან თქვენი მაყრები.

ცერზე დადგება თამადა დევი...
იტყვის არისო ნათის მზეობა,
აშრიალდება ფიჭვების ტევრი,
ასმიანდება ოცხეს სეობა.

მუნღზე დადგება ჭაბუკი ათი,
ცხრას გააწბილებ, ერთის იქნები.
შენ პატარძალი გახდები ნათი...
ნეტარებაში დაიფიფქები...



სენტიმენტალური პანორამა

მანუშაკ „მანო“ რაფაელიანს

აბასთუმანი... მდიდრული პანო,
ჩვენზე მეოხი ფიჭვის ხეებით.
მთრთოლი ოცხეს პირს ქალწული მანო,
გრაციოზული მოსარხეებით.

თქვენ გაისარეთ დანო და მძანო,
რომ მიუსიეთ ტყეებს ირმები...
აქ იშვა ნათი, ლელა თუ მანო,
გით მთვარიანი ღამის ხილვები.

წელან ვიკითხე... რას ნიშნავს მანო,
თურმე ყოფილა ია-ყვაფილი,
წლები გარბიან და იმას ვნანობ,
შვლის ნაკვალევზე ველარ გავივლი.

მელანქოლიით მისდება თრობა,
აუტანელი გახდნენ დღეები...
ერთბაშად შეწყდა ქარიშხლის ქროლვა,
გარინდებულან ტყეში ხეები.

აბასთუმანი... ზღაპრული პანო...
კოსტად აკეთებს ჭინკა რევერანსს,
თურმე ოცხეს პირს ჩამოჰყვა მანო,
მე კი... ვთამაშობ ბოლო პრეფერანსს.

ასალი ზღაპარი

თეონა მიქელაძეს

თეონას რა ვუთხრა არ ვიცი,
ტანს იყრის თავადის ასული.
ორ ზამთარს, ორ ზაფხულს დავიცდი,
ის მაშინ გახდება ზრდასრული...

და შეძდეგ... და შეძდეგ, ვიცი მე,
ხელებში სათუთად ავიყვან,
ის ღვთიურ ლოცვებში იძინებს...
დავმოძღვრავ და სახლში წავიყვან.

ჩავეუწვენ ჩემს ლამაზ უფლისწულს,
რომ იშვას ასალი ზღაპარი
და წავალ უფალთან უმწიკვლო
პოეტი, მამა და მამარი.



ვინც შვენი მისებს

ნინო ტატალაშვილს

ეს ნიავერები
კოცნიან ნაზ კვირტებს,
ფერიას თვალები
ტკბილ სიზმრებს დაჰპირდნენ,
ეს იქნებ ქარიშხლის
საწყისი გზებია,
ამური არ იშლის
სიყვარულს გზნებიანს,
შეშართა ისარი...
მზე ნაღველს დაისევს,
ეს ბავშვი ის არის!
ვინც შვენი მისებს.

ფატი

გვქონდა საყდარი, მზე იყო ნატი,
ყამში ბევრი რამ დაგვიკარგია...
დღეს გავიცანი მწყაზარი ფატი
და ვთქვი, სიცოცხლე მაინც კარგია.

ნიკალამ ქალი ნატა და ნატა,
ღვინოს დუქანში სვამდა ნისიად.
ფატის შეშენის დედოფლის ფატა...
ფატი დედოფლის ტანტის ღირსია.



მსახიოზ ლანას

მოვეფერები ლანასა,
ლექსად ვთქვი ტრფობის არია,
სცენა არჩია ყანასა...
გადასარევი ქალია.

ქალია? იქნებ ქალწული
ან ალი-ქალი არისო,
იქნებ, ხალვათად ჩაცმული
იარს საცოლუ ქარისო.

მსახიობია, რა ვიცი,
ვინ არის მისი ეროსი...
ვაითუ ერთხმად გამიწყონენ
ქალები საქართველოსი.

თეთრი ანგელოზი

ლიკა კანდელაკს


ზენამ მომივლინა თეთრი ანგელოზი...
ტყეში უსიერში შაშვი ახშიანდა,
შოთას დროინდელი ვსახე ცა-ფირუზი,
თითქოს თამარ მეფე თვალწინ დაფრთიანდა.

იდგა თიბათვისა რიცხვი ოცდასამი,
გულზე აღმაფრენამ ცეცხლი წამიკიდა,
ბავშვმა საადგომო წმინდა ლოცვასავით
ჩემი მეგობარის ლექსი წამიკითხა.

ორ ზღვას მოეფერა ფიქრის ნაპირები.
თითქოს ოქროს ხანის დროშა აფრიალდა,
თითქოს ბასიანზე გასვლას ვაპირებდით,
თითქოს თამარ მეფე თვალწინ დაფრთიანდა,

ბალადა სიყვარულზე

მწუსრი შეჭრით იმედებს
ცრემლის ღვარცოფი დიოდა...
შენს ბაღში გადავისხედე,
მზე შენზე ამომდიოდა.
სევდას იებთან მიყვავდი,
ცოდვა დავიდე რამხელა,
შენ რომ საოცრად მიყვარდი,
იებს დავუწყე გამხელა.
და ამიტომდნენ იები,
სათნონი... შენი სადარი,
შეკითხებოდა მთიები,
ცისფერთვალეა სად არის,
გინდა? იებთან წაგყვან,
შევფიცოთ... ერთად ვიქნებით,
გულში სათუთად ჩაგიკრავ
შენი ლამაზი ფიქრებით.



ზესისარულის ცრემლი

სუებს ნაყოფი ესსა,
ო, როგორ თრთოდნენ, როგორ,
ფოთოლცვენაში მესმა,
ბიჭი მოძღვრავდა გოგოს.



სახლში წავიდეთ ცირა...
გაეილამაზოთ ბუდე,
გოგომაც გაუცინა,
წაშალა ყველა ზღუდე.

სმა ზეციური ესმათ,
უფლის გფენოდეთ მადლი,
ვენახს ცის ნაში ესნას,
მიწის არ დათმოთ ადლი.

პირსავსე იყოს ქვევრი...
ნაღდი გვირგვინი სვაფის,
ზესისარულის ცრემლი
შვენს საპატარძლო ყვავილს.

წმინდა ქორწილის ღამე
დაგბედებოდეთ ყველას,
მთვარე, მთიები და მე
გკოცნით, გლოცავთ და ვღელავთ.

პირველი პაემანი

მიდის სკოლაში ლამაზი ბავშვი
იმავ ბილიკით, ჩვენ რომ ვიარეთ,
თურინჯის ჯიღა უბზინავს თმაში,
ქარში ცისფერი კაბა ფრიალებს.
სული გაექცა ედემის ბაღში
ქნარი უკრავს და ქარი შრიალებს,
სიზმრად ნანახი ასდება ცხადში,
გულიც ჩიტვით დაიფრთხიალებს.
ტკეპნის ბილიკებს, ჩაწოლილს ბზაში,
შაში ათრთოლებს ძეძვის სვიარებს,
ტრფობით აღესილი ლამაზი ბავშვი
დღეს გაკვეთილზე დაიგვიანებს.



ლაპარია

წარმტაც დალის სეობაში,
სად კოდორი ფრთამაღია,
სევდას ვყავდი ტყვეობაში
მწედ გამოჩნდა ლაპარია.
გამიციანა... დამწვა ეშხით,
რა მოქნილი, რა მაღია,
უკვდავწყარო მასვა პეშხით,
აბა, ჩემი რა ბრალია.
შემდეგ დავრჩით მარტონი და
ეჰ, არც ისე მთავარია,
მარქვა თვისი ბატონი და
ველურ ვნებით გადაშრია.
ავამღერეთ წყლის წისქვილი,
ავიკელით მთა-ბარია,
მენატრება ის სიცილი,
მესზმრება ლაპარია.



თეოლინა

ფიქრის ზარი რეკავს,
გოგო სატრფოს ელის,
თეოლინა ცეკვავს,
თეოლინა მღერის.

თეოლინა ნატრობს,
თეოლინა ფიქრობს,
ის ოცნებებს არ თმობს,
წრფელ სიყვარულს ითხოვს.

თეოლინას არ ვცნობ,
შეიცვალა, იქნებ,
თეოლინა ანცობს,
გაქცევია ფიქრებს.

ოცნებების ასულს
აუსრულდა ნატვრა,
არ მისტირის წარსულს,
სიყვარულით დატკბა.



გამჭოლი მზერა

ძალი გავიასკეცე,
სასწაული რამ მოხდა.
მზერით კაბა დავსეტყვე...
ალი-ქალი ამოსტა.

გავაშიშვლე ფიქრებში,
მუზა - ზღვისფერთვალეა,
და ვინილე მზისფერში
ჩამოქნილი ღვთაება.
თრთოდნენ ვნების ბორცვები,
მზისებრ ოქროსსალეა,
ქალწულივით მორცხვები
ნანეს ჩემმა თვალეებმა.

ვასელებდი ქალის მკერდს,
სურვილს კაბაც დანებდა,
ლერწამივით ქალისკენ
ვნება მიმაქანებდა.

დაიძაბა რიტმები,
აშრილდნენ ვერსვები,
შეიცვალა რითმები,
შეიშალნენ ლექსები.

ვწუნვარ, ის დღე გავიდა,
ისე, კარგი რამ მოხდა,
მარჯნისფერი კაბიდან
ზღვის ფერია ამოსტა.

კაფე „ფიროსმანში“

ვზივარ ჩემთვის, ღვინოს ვსვამ,
ლექსებს ვამბობ ორ იმდენს,
კაფე „ნიკო ფიროსმანს“
ფერიები მოფრინდნენ.
ჩემი სახის ნაკვთებში
შემოდგომა დავლანდე,
იქნებ, მოვკვდე სამ დღეში,
თქვით, სად ფრენდით აქამდე.
მაფიცებდნენ ოდითგან
ჯვარზე ანდა სატებზე,
დაწინდული ვყოფილვარ
ცოდვილ ანდამატებზე.
ბაზალტოვან ფილაზე
ჯადოქრები დაქროდნენ,
ჭარბი წლების ჯინაზე
სურვილები არ მთმობდნენ.
პოეზიის გრიგალში
დაინვეწა ნაკვთები,
როკ-მუსიკის გრიალში
იცვლებოდა ტაქტები.
კრთოდა კაბის წიაღში
თეთრი აელვარება,
მკლავს სინორჩის ტრფიალში
ცოდვილ სულის ტარება.
საოცრების ხილვაში
მზერა როდი იღლება.
ჭარბი წლების კილვაში
შამპანური იღვრება.
ფიროსმანის კაფეში
ვსვი ბადაგი, ვილხინე...
ფერიების თვალეებში,
სათნობა ვიხილე.

ღამის სტუმარი

სადღაც უკრავდნენ მოცარტს,
მე გეახელით მთვრალი,
სითბოს მონატრულ მგოსანს,
ბავშვმა გამიღო კარი.

უცებ აეწყო სუფრა,
როგორც ჩონგურზე სიმი,
თვალები ჰქონდათ სუფთა,
თუმც უტყდებოდათ ძილი.

და შემიყვარდა ყველა,
არც ერთს არ ჰქონდა სინჯი,
უფალი ჰყავდათ მსსნელად,
სტუმრად - მგოსანი გიჟი.

ღამე ეშმები რბიან
და მე გრძნობებით მთვრალი,
იყო ძალიან გვიან,
მიმაცილებდა ქარი.



ქალი - მუსიკა

*„ქართველი ქალები განსაკუთრებული
სილამაზით გამოირჩევიან.“
ემანუელ კანტი*

დადის ქალაქში ლამაზი ქალი,
დაიარება და მერე როგორ...
თურმე ჰყოლია შვილები, ქმარი,
მე კი მეგონა, პატარა გოგო.

კდეპით მომაპყრო თვალი გიშერი -
და თუთარჩელაც ცაზე აცურდა,
ვნებამ უჩინა მკერდი შიშველი,
ტრფობის სიშმაგემ მთვარეც აცდუნა.

მყავს ჩახუტული მკერდზე ვით ქნარი,
ყელზეც ჩავკოცნე მალვით გოგონი,
სხვისი ცოლი ვარ, ჩურჩულებს ქალი,
ოსერთვალება... თანაც როგორი.

ოცნების ზღვაში დაცურავს ქალი,
ვით საოცარი მუსიკა, ტაღლა...
ვეჩურჩულები, მე ვარ ის ქარი...
შენებრთ ტრფიალში არ ვუწყი დაღლა.



ორი გულის საუფლო

ო, რა მყუდრო ბინა მაქვს,
ორი გულის საუფლო,
აბა, მეტი ვინა მყავს,
ღამეც შენთან ვსაუბრობ.

მხიბლავს მთვარის ნიშნობა,
მდორე ღელეს ღიღინი...
ამ ნაზ ფონზე იშლება
მომხიბლავი ღიმილი.

მაყრიონი იათა...
სუფრა მოღზე გაშლილი,
მათრობს ბანგი იელთა,
თან მდევს შენი აჩრდილი.

მართლა კარგი ბინა მაქვს,
ოცნებების საუფლო,
შენზე კარგი ვინა მყავს,
ღამე... შენთან ვსაუბრობ.



ჯადონური ხალატი

ოქროსფერ სსივთა ნაღვერდალს
მზე ბალანებში ასვევდა.
წყაროსთან თრთოდა თავნება
ქალის სურვილი და ვნება.
თვალს ჭრიდა ჯადო ხალატი,
სიფრიფანა და ხალვათი,
ქორფა კერტებზე ასსმული,
ვიწრო წელს გადანასკვეული.
ღილი შესსნოდა საკინძეს,
მზერით ხალები ავკინძე,
იქვე ვშივი სსნარტი ქარაგმა,
როგორც კალმასი არაგვმა...
ქალმა ეს როდი იწყინა,
მზის დარად გამოიბრწყინა,
თვალეებში ედგა ტაროსი,
სმაში ლიკლოკი წყაროსი.
თვით ქალი იყო შარბათი...
დღე - დიდი ვნების შაბათი.
ითაფლებოდნენ არყები
შეყვარებულთა მაცრები.
სიო არავის არ ცნობდა,
ჯადო ხალათში ანცობდა,
კოცნიდა ორთავ ბროწეულს,
ნეტარებისთვის მოწეულთ.
ბევრი რამ მოსდა წყაროსთან,
შინ წამოვედით და როცა
ზედ ჩვენს სარკმელთან აღუბაღს
სიომ ჩურჩული გაუბა,
ჭინკამაც მხარი აუბა,
მოგვისსენია აუგად
ქვეყნის ჭორები გამოცხვა,
ბუსაც რაღაცა წამოცდა.
თავნებამ ბევრი იცინა,
სიო რომ ჩამოიცილა.

გვქონდა თაყვანი იათა,
როცა ერთბაშად ინათა,
თავსედ მამლების ყივილზე
შემოგვეპარა დილის მზე,
ბრაზე ეკიდა ხალათი -
ჯადოასსნილი, ხალვათი...

დადის ძალაქში ათასი ჭორი

მესაღმებიან ქალი და კაცი,
ქალი, სიყრმიდან კარგად ნაცნობი,
ქათინაურზე არც ისე მწყრალი,
მასსოვს, ოდესღაც ერთად ვანცობდით.

ბედნიერია ახლა ის კაცი -
ცის ანგელოზთან ათევს ღამეებს.
სარკმელში ძვრება მარტვილი ქარი
და ქალს უყვება ათას რამეებს.

დარდების კოშკში ლოცულობს ქალი,
უხმობს უფლისწულს ნეტარ სიზმარში,
ლოგინში სვრინავს ქაჩალი ქმარი,
ქალიც იძინებს ცრემლის წვიმაში.

ღამის სამია თუ ოთხის ოცი,
ვინ უწყის... ალბათ ოთხიც იქნება,
ქალი სიზმარში უფლისწულს კოცნის,
თვით შემოქმედმა ასე ინება.

ასეთი განსაღვთ იმ კაცის ცოლი,
სხვა უზნეობა არ შემიტყვია,
დადის ძალაქში ათასი ჭორი,
თუმცა, ძალაქში რას არ იტყვიან.

კოსმიური ხმაები

„გათოშილი მარტობის“ ავტორს
ქალბატონ ეთერ ჯინჯოლიას

ვიმეორებ მოკრძალებით
ალო... ალო... ალო,
გამარჯობათ! თქვენ ბრძანდებით,
მშვენიერო ქალო?
მარტობა გათოშილი...
რად უწოდეთ თქვენს თავს?
ვიცი, რომ გყავთ ქალიშვილი,
ისიც ვიცი, თქვენ გგავთ.
მიიწვევით სევდის ტბაზე,
როგორც თეთრი გედი...
იკროლებით ლექსის სმაზე,
სხვა რა გნებავთ მეტი.
უსასრულო დამისთევა
თუ უგონო ფიცი...
სიყვარულის გაღმერთება
პოეტებმა ვიცით,
პოეზიის სიბლით დამწვართ
ვეძებთ ქურა-ქურა,
სისხლის ყივილს, სულის წანწალს,
ბოლო აღარ უჩანს,
მაგრამ მოვა წრფელი მუზა
და მოვიკლავთ სურვილს,
ეს ღრუბლები გრუზა-გრუზა
ჰგავს კოსმიურ ყურმილს,
და ეთერში გადის სმები
- ეა! ეა! ეა! -
მზის ამოსვლას ასე ვხვდებით,
დაბადების დღეა.

ფერთა ძორცილზა

დევის პეშეებით, ლომის არჩივი
ღვინო ბადაგი კვლავ დაილევა,
მოვა ტყაშმაფა დალაღგაშლილი
და სიყვარულით გადაირევა.

სამეფო ბაღში, ფერთა ქორწილზე,
ვით მთვარეული დადის წყლისდედა,
წუსელ მის ბაგეს კოცნა მოვწყვიტე,
დღეს ოჩოკოჩი გამირისხდება.

ფუჭი იქნება მისი ქადილი...
ღამაზ სიკვდილზე შიში მიქრება.
დაე, აღსრულდეს გულის წადილი,
ფრთები შეისხან ღამის ფიქრებმა.

დედიშობილა მომყავს ტყაშმაფა,
ღხინი ითავეს თავად ჭინკებმა,
გავფენ ღამეულ მოღზე შავ ნაბადს
და მივეცემი თავდავიწყებას.

ცოდვის მორევში ჩემი არჩივი -
ვნებათაღელვა არ დაილევა.
სიკვდილის მოსვლას სულაც არ ვჩივი,
ოღონდ, ტყაშმათა გადაირევა.



პოეტური ასოციაცია

ვიქტორიას

იქნებ არ ხარ მიწიერი,
მაგრამ ეს არ ნიშნავს,
რომ არ იყო ბიწიერი...
ისე, არა გიშავს.

ერთხელ შეცდნენ უბიწონი,
აღაპი და ევა,
შენ ევა ხარ, გულისსწორი...
მე ცდუნების ტყვე ვარ.

აღარ გჯერა? ჩაიხედე
შენს სულში და ნახავ,
ვნება როგორ აიძვდრე...
ახალ ცოდვებს სახავ.

ცოდვის თანამონაწილე
უსათუოდ მე ვარ.
შენსკენ ქარი მომაცილებს,
შენთან ერთად მზე ვარ.



ეიზორიული

ჩამოთოვა ვერცხლი...
ზამთარია მგონი,
მერამდენედ შევცდი,
არ შეცვლილან დრონი.

დაინატა შევლი...
გაზაფხულდა ისევ,
მოფერება შეენის
მოღერებულ კისერს.

გავიჭერი ქარში...
სევდას გავეყარე,
ოცნებათა ბაღში
ვნება მოვიპარე.

მაინც რა ვართ კაცნი,
არ ვიშურებთ ძალებს,
ვფიქრობთ როგორ გავწვდეთ
ამდენ ლამაზმანებს.

ვინ თქვა გვიანია
ვინმეს შეყვარება,
ტრფობა რია-რიად
სულში გვეპარება.

გულზე მიწყვი ვისევთ,
მივიწყებულ ფანდებს,
ვნებას გვინდა ისევ,
ტყვეობაში ვყავდეთ.

აღვებს

ტანწერწეტა აღვებს
ვინ მოწყვიტოს მზერა?!
აღტაცებას ავლენს
ჩემი გულისძგერა.

ირწეოდა აღვა
გაფრენილი მზისკენ,
მსურდა გვერდის ავლა,
მივდიოდი მისკენ.

აღვის აღი-კვალმა
გამიტყუა ტყისკენ,
გზა მომიჭრა აღმა
აღვა-დედოფლისკენ.

თუმცა აღი-ქალი
არ მაკლებდა აღერსს,
მე ჯიუტად მაინც
მიველტვოდი აღვებს.

ორწოხები განვვლე,
გავეპარე ნისლებს,
რა სჯობია აღვებს,
გაფრენილებს მზისკენ.

ცად აფრენილ აღვებს
ვერ მოვწყვიტე მზერა.
შეშურდება გამვლელს
ჩემი ბედისწერა.

გზის შვილები

მტევანოქროვანი ვაზი,
თავაყრილი ყანა,
ნიავეწვრილის ქროლვა ნაზი
ველაღ შემეყარა.
ცას ეკიდა ბროლის კოშკი,
შევწვდებოდი განა?
სევდას მისევს როგორც ოშკი
ხასული და ბანა.
სისხლი შხუის გამალებით,
მწადს გაფრენა ორბის.
ცეცხლოვანი დალალებით
აფროდიტე მორბის.
მოქნეული ალვის ტანით,
მზე თვალებით ირმის,
პოეზიის ქარიშხალი
თეთრ მინდორზე მიქრის.
შთამაგონა ელვამ ზეცით,
გშვი ქუსილი ოდის...
ნუთუ თავყვანია ცეცხლის
თარგამოსის მოდგმის.
იქნებ, ყივილია სისხლის
აიეტის ვერძის,
იქნებ, ამოსეთქვა რისხვის
თვით ეშმაკის კერძის.
თავთავოქროვანი ყანა,
ასულები ლაზის...
მზის სხივებად დაიდგარნენ
რიზესა თუ ფაზისს.
ეს სომ ღიმილია ჟამის,
გაბრწყინება გენის,
იქნებ, სხივნათელი არის
სსოვნის, დედა-ენის.

რადიკული მონოლოგი

ვლოცე ცა და მიწანი,
შორს ვიყავი წასული.
ნუთუ, ველარ მიცანი,
დაივიწყე წარსული.
მე სომ სადღაც მყობადში
ლოცვებს შევრჩი ოსერი...
იქნებ, ჩემს არყოფნაში
გაიჩინე სწორფერი.
სული ჩემი და ლექსი
გაწვრთნეს ქარიშხალებმა...
თუ გსურს ჩემი ალერსი,
მამცნონ შენმა თვალებმა.
აბა, სანამ წავსულვარ,
ქარვა ღვინო დამისხი,
თუ დაგცადა ავსულმა,
მზაკვრობისგან დაგისხნი.

ზღვაური

კარგია თვალღია რიჟრაჟი,
ოცნება... ზაფხულის საღამო,
ზღვის ქარი... მზის ქალი გიჟმაჟი,
ზღვისფერი თვალები - მალამო.
მოისერის მზის ქალი ძოწეულს,
ახდება ლამაზი სიზმარი...
ისილავ ორ მზისებერ ბროწეულს
და იტყვი... ჩემია ის ქალი.
გაგმსჭვალავს ზღვაური ფიქრები,
როს ოქროს ნაპირზე შედგები...
ვაი რომ, მუდამ არ იქნები,
შენ წასვალ და მოვა შემდგი.

მანაც ღალატი

*„ასე ხდება ქვეყანაზე - ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება,
და ვაი მას, ვის სიკვდილი სიცოცხლეშივე ავიწყდება“.*

გალაკტიონი

გამარჯობათ!..

თვალებს რატომ არ მისწორებთ? სომ არ გეშინიათ თქვენს თვალებში ქვეყნის ცოდვები ამოვიკითხო? მართალი გითხრათ, მეც არ მსიამოვნებს ვფლობდე ნიჭს, სხვა ადამიანის სულში წვდომისა, რამეთუ გაშიშვლებულ სულებს ზოგჯერ სასოწარკვეთამდეც მივუყვანივართ, მაგრამ რომელიმე მოვლენა თუ გულთან ახლოს მივიტანე, ღამის სიღვებში ვპოულობ მათ ახსნას და ეს ხდება განსაკუთრებით მთვარის დღეს.

მასსოვს, მე და ჩემი სიყრმის მეგობარი მივედით თქვენსას. იდგა მარიამობისთვის 23 რიცხვი და ისიც მასსოვს, რომ მზის დღეს უნდა ჩანაცვლებოდა მთვარის დღე. ჩვენ დიდი სიყვარულით მიგვიღო დარდებით დამწუხრებულმა გარდაცვლილი მეგობრის დედამ. თქვენც იქვე იმყოფებოდით, მაგრამ არ შემოსულხართ თქვენი მეუღლის ყოფილ ოთახში, სადაც განფენილი იყო ხატ-ჯვრები, თქვენი მეუღლის პირადი ნივთები და ფოტოსურათები. დაღუპული მეგობრის დედამ მოკრძალებული, მაგრამ ლამაზი სუფრა გაგვიწყო. ჩვენ სანთლები დავანთეთ, ღვინო წავუქციეთ, შესანდობარიც შევსვით... როგორც შეგვეძლო ვანუგეშეთ მწუხარე დედა და ოდნავ შეებამოგვრილს დავემშვიდობეთ. თქვენ კი არ გამოჩინილხართ, რატომღაც თავს გვარიდებდით, ვერ მივხვდი რატომ. თქვენმა საქციელმა დამაფიქრა და როცა დავემშვიდობე თანმხლებ მეგობარს, ჩემი ტვინის პასიური უჯრედებიც ვაიძულე სწრაფად და გამართულად ემოქმედათ, რათა ჩავწვდომოდი საიდუმლოს არსს. როცა ვერაფერს გავხვდი, ფიქრსაც შევეშვი და უმიზნოდ ვინტიალე სიყრმიდან ნაცნობ უბანში. ამასობაში მზესაც თავი დაუწვავს, უშველებელი თაღისი სუდარა გადაჰფარვია მთელ დედამიწას. შემდეგ კი, ალბათ, ღვთის ნებით, ერთბაშად აენთო ცის ნათუ-

რები და თუთარჩელამაც მისთვის ჩვეული შარავანდი დააჯანა კოლხურ მიწაზე.

მოვედი სახლში, წამოვწევი, სიგარეტს მოვუკიდე. ...ისევ სულისშემძვრელი ფიქრები, ისევ გაურკვეველობა, მოუსვენრობა... არც მანსოვს როდის და როგორ ჩავიძირე მთვარის დღისათვის ჩვეულ ნათელ ხილვებში:

საშინი ვუსხედით სუფრას, საშინივე სიყრმის მეგობარი - სწორედ შენი გარდაცვლილი მეუღლის ოთახში, ის ცოცხალი იყო, მაგრამ ცოტა უგუნებობა ეტყობოდა. დედამისი კი ერთ დროს ჩვეული ხალისითა და სითბოთი აღვისილი დაფუსფუსებდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში და თავზე გვევლებოდა. თითქოს საზეიმო განწყობა იყო და არც იყო განწყობა. ფანჯრიდან ჩანდა მზე, ბალახი და ყვავილები. ოთახში ანთებული კვლახტარი იწვოდა, კედლებზე ხატ-ჯვრები ეკიდა და თითქოს სალოცავად გვიწვევდა. იყო ღვის მადლი და არც იყო მადლი. თვალსაწიერზე ღრუბლის ერთი ქულაც არ ჩანდა და ასევე არ ჩანდით თქვენც. იქნებ ამიტომაც იყო სითბო და არც იყო სითბო? იყო ნდობა და არც იყო ნდობა? იქნებ იმ წუთში შეირყა რწმენა და იშვა შური, ღვარძლი და მტრობა. შეირყენა, წნეობა, ნიჭი, აზავთდა ჭორი, გაღვივდა იჭვი... უბრობა მანჩრობს, მაგრამ თქმაც მიჭირს. ვისხედით საშინი გაშლილ სუფრასთან. თქვენ არ იყავით და მანც იყავით, სწორედ ამიტომ გულს ღრღნიდა იჭვი... თანდაყოლილი... გულისშიერი. სუფრა კი იყო გაწყობილი უზადო... დედისშიერი. და დედა იყო ხატი და რწმენა, და დედა იყო თვით დედა-ენაც... იყვნენ მთარველი ანგელოსებიც...

- ცოლი სად არის?! - ეს იჭვის სმა, ზორვას მოითხოვს, გულქვა და ბრმა, - მძიმე გამოაქვს იჭვის განჩენი.

- ცოლი? - ცოლი შემოვა, აბა, სად წავა, ცოლი სომ ცოლ-ქმრულ მცნებების ყმაა... ეს სმა შემნდობი სიკეთის სმა.

- ეჰ! გულუბრყვილო სიკეთე! შენ მართლა გჯერა მისი აქ მოსვლის? აქ რომ ღამეა... იქ მისთვის დღეა... განა არ იცი? ყოველი ქალი, ლუციფერული ვნებების ტყვეა. ის აღარ მოვა,

უფსკრული ღრმაა... - ეს სმა გარდაცვლილ მეგობრის სმაა.

ოთახში ჩაქრა მზე-კელაპტარი, გაუჩინარდა წმინდა სატ-ჯვრები და მდუმარებამ დაისადგურა. უცებ კარს მიღმა მომე-სმა ჩქამი, სმები ძვრებოდნენ ჭუჭრუტანიდან და ჩემს გონებას აზრით ნაღმავდნენ... ეს მოთქმაც იყო და სამდურავიც, ვედრე-ბაც, ლოცვაც და აღსარებაც: ის მართალია, უფსკრული ღრ-მაა. თიბათვის ცამეტს, ორიოდ თვის წინ, ჩემთვის ავბედით, წყეულ ღამეში, ეშმაკის თვალწინ, ეშმაკების წილ, მე ზესკნე-ლიდან ქვესკნელს დავეშვი. ვეღარ მოვდივარ, თვალსაწიერზე არ ჩანს ნათელი, მე დავიღუპე... ეს ჩემი სმაა, ყველა ჩვენგანი ვნებების ყმაა... თუ განიკითხავთ, მკაცრად ნუ განსჯით მათ, ვინც უფსკრულთან ეულად დავრჩით. ალბათ, შევსვდებით შე-ნდობის ზღვართან. გასსოვდეთ! თქვენც რომ უფსკრულთან დგა-სართ.

რა მოსდა შემდეგ?... ახლა ვისსენებ: თურმე ამ სმაზე ვით მთვარეული წამოვმდგარვარ და ქარში გავსულვარ, ფი-ქრის რაშებით ზღვა ასტრალურში ქროლვით დავღლილვარ, თქვენთან ჩავსულვარ.

მიგრძენია სუნთქვა აკაცების... კვლავ აშრიადღა თუთა და ვერსვი. თქვენთან შესვედრამ გამომაფხიზლა, თითქოს ცივ წყალში ჩამედგას ფენი. თითქოს მთას მოსწყდა ზვაგი-მეწყერი და წარღვნის წინა გავარდა მენი.

ხილვები გაქრა. ვდგავართ პირისპირ და გული მტკივა, რომ გეკითხებით: რა მოსდა მაშინ? ორიოდ თვის წინ, თიბათვის ცამეტს... ღალატი?! - იქნებ სასოწარკვეთა? - თავდავიწყება?! იქნებ - ძალადობა? იქნებ, დრო-ჟამი სსოვნას ახუნებს და სსე-ულს იპყრობს განცდა ვნებისა, იქნებ შერისხვას არც იმსახუ-რებთ, იქნებ ღირსიც ხართ მოფერებისა... და თუ ასეა, მიტყვე-ბას გთსოვთ, - მოყევით, გისმენთ. თქვენ დუმილს არჩევთ? კეთილი. ისედაც ნათელია ყველაფერი. თვალები გამსელოთ: „მაინც ღალატი!..“

თურმე, სულები ყველაფერს გრძნობენ.


ასტრალურიდან სინამდვილეში

ვარსკვლავებმა დაიხია კალთა...
მეტეორმა გაიელვა წამს.
საფიქრალი ამ ქვეყნიურს გასცდა,
იმ ქვეყნისაც არაფერი მწამს.

ჩაიარა აღმაფრენის განცდამ,
მალე მაცნე ჩამორეკავს ზარს,
ტუჩ-ბაგედან სინანულით დამცდა,
მესაფლავე მომინიშნავს ზღვარს.

გვიანია, ველარაფერს შევცვლი,
მოჭრილია გასაველედი გზა...
რჩება მხოლოდ სიგარეტის ფერფლი
და ამ ფერფლზე იარება სხვა.

უცებ შეწყდა ბორიალი ქართან...
დევის წყაროს სხვა ვილაცა სვამს.
ჩემს მზერაში აღესრულა ცხრა მთა,
მომდგა წლები და ნაოჭებს სვამს.



მე და ლანდი


ჯერ-ჯერობით ვუმკლავდებით
აცრემლებულ მინორებს...
ასში ერთსელ მსოლოდ ერთი
დარდი გეძალავს, ღვინო გვრევს.

გული სკდება როცა ვისმენტ
მტრის ბანაკში მაჟორებს...
ჩვენ კი ისევ დრამებს ვისევთ,
გვაცვიებს და გვაჟრჟოლებს.

და ქურდულად მივუყვებით
მე და ლანდი შარაგზას,
ვსედავთ როგორ ვიღუპებით,
ყველამ კარი ჩარაზა...

მსოლოდ ძველი ტრაქტირების
თუ მიგვიღებს მაგადა...
მიუფხვდებით, ავტირდებით,
დავფიქრდებით რა გვინდა.

მე წავალ და ლანდი ჩემი,
ივლის ნაცნობ ქალაქში...
ღვინოს დალევს ძმობიჭებში
მგოსან რენეს მარანში.



ზიქრებით ტაოზა

ცრემლებს დამადენს თბოლი ოშვი
ძველი კედლების მუქი ბზარებით,
ნუგეშის მეტყვის კოლხური კოშვი,
გამაცვილებენ ნიავეარები...

და წავალ ადრე, მოსული გვიან,
დარდად გამყვება ოშვი, პარსალი...
აქ სომ ძვირფასი ლანდები ვლიან,
აქ დაღეწილა პაპის ფარსმალი.

აქ ასვენია წინაპართ ძვლები,
და გაქურდული ჟამით ჯვარები,
აქ ბალახობდნენ ჩემი ვერძები
და ბასიანთან მედგნენ ჯვარები.


ამას ვამბობ და დარდები მიპყრობს -
თანდაყოლილი, გულისშიერი.
სად გაქრა იგი სიქველე, - ვფიქრობ,
ვფიქრობ და ფიქრში ვსდები სნიერი.



არა დავეცნეთ

ჩვენ გესავთ, არა დავეცნეთ,
განვერნეთ ძალით სულისა...
შენ უწყი სათნოთმყოფელო
სიმხნე და მსჯავრი გულისა.

ევედრე უფალს ნეტარო,
დედაო ღვთისა, მარიამ!
რამეთუ მზის საუფლოში
სახიერებიც არიან.



მეხთატიხა

არც სიყვარული დიდი,
არც აღმაფრენა მწველი,
გატენილია მჭიდი,
უნდა დავცეცხლო ბნელი!
გავხელდი მთვარის შუქით,
მზაკვრებს ვუქნიე მანა...
რაც მაბადია გჩუქნით,
აღარ გეყოფათ განა?
არ მომრეგია ცოფი,
არ დამიკარგავს ძალა,
სცოდეთ, მესროლეთ თოფი,
სცადეთ - დამკარით დანა.
ოღონდ გიყვარდეთ შინდის
ეს მშობლიური ფერი
და თუ ჩამოწვა ბინდი
სასსლეტზე გქონდეთ სელი.
ჩქარა, აანთეთ შუქი...
ო! რა საშინლად ბნელა,
ბოლო სუნთქვასაც გჩუქნით,
რადგან მიყვარსართ ყველა.



ეპიტაფია

არ მჩვევია გოდება...
არც, გლოვა და წუხილი,
თქვენი იყოს წოდება...
ჩემი - სისხლის დუღილი.
უსასელო საფლავში
დაღპეს მტერთა გვამები,
მე დავიწვა სანძარში
ტრფობით განაწამები.
თრთოდეს ჩემი სსეული
ზღაპრულ აკაცებთან,
ფერფლად გადაქცეული
დამიტეროს მთიებმა.



აღსდგება ლაზარე

ბავშვები სარკეში
ხედავენ გაზაფხულს...
მე ვხედავ დარდებში
კაცს, ჟამით დაზაფხულს.

ბავშვისთვის სატია -
მზე, დედა, ვარდები.
წვიმს, თოვს თუ სვატია
გაურბით დარდები.

მე სატად მეგულის
ფრთამალი რაშები...
დავწურე ეს გული,
დავლოცე ბავშვები...

აწმყო თუ მერმისი,
კუთვნილი მთა-ბარი,
ქართლი თუ ეგრისი,
გლეხი თუ მთავარი...

და მინც გამწირეთ?
რა გნებავთ, რას მერჩით?
ნუ ებრძვით არწივებს,
ამაოდ დაშვრებით.

მზე - ოქროს საწმისი,
დააშრობს ბაზალეთს...
ეს არის საწყისი -
აღსდგება ლაზარე!



„ხალიბური ეონოლოგი“

ნუღარ მკითხავ, ვინა ხარო,
მკითხე, რატომ ვდარდობ,
სულიერო წინაპარო
საიდუმლოს განდობ.
იმ მაღლობზე ტაძარია
და სამრეკლო ერთი,
ყური უგდე რა ზარია,
იქ სახლობდა ღმერთი.
ამაყობდა ლაზარეთი
აქ ყოველმა იცის,
შორს არ იყო ბაზალეთი
და მოუკლეს ისიც.
ურვით გული დაიამა,
აჰყვა, წმინდა მთაზე.
ბუნებაბაც ცრემლი ღვარა,
იებს თოვდა გზაზე.
პანთეონის სამრეკლოდან
ისმა მწუნის ზარი,
მიდიოდა შავლეგო და
აცოლებდა ქარი.
ასე დარჩა მარტო ღმერთი
და იუდა ასი
პლაგიატი ავტორების
მწიგნობართა დასი.
საიდუმლო სერობაზე,
თურმე ყარეს კენჭი,
საუკუნის მკვლელობაზე
მათზე გაჩნდა ეჭვი.
იაგარქმინო რწმენის ტაძარს
შერჩა, ბუდე მერცხლის,
ის დაანთებს სულში ხანძარს
მაგრამ, არა ვერცხლის.
ვიცი, მკითხავ ვინა ხარო,
გეტყვი: ფოლადს ვადნობ,
მზე, მერმისის წინაპარო,
მთლად სიცოცხლეს განდობ.

„მზის დაბნელება“

გული მისტირის ზაფხულს,
სული მოუნძობს მნათობს
მწარე ფიქრებში გართულს,
უღვთოდ მაწვიმს და მათოვს.

მხმობს ვარძიის ბჭენი
თამარის მადლი ამკობს,
იწაშე რჯული ჩემი
ვიღაც ველური ამბობს.

გაშალეს უცხო სუფრა,
მე მასწავლიან კანონს,
ო! როგორ მიჭირს სუნთქვა,
ხოტბას ასხამენ ქარონს. . .

ყავას დაღევენ რძიანს,
დაარიგებენ ბანქოს. . .
ჩემი ფიქრები რბიან
ბასიანსა და შამქორს.

იანგრის ექვსში, დილით. . .
რეკდა განგაშის ზარი,
ცეცხლი ეკიდა თბილისს,
იცრემლებოდა მტკვარი.

ჩემო სისხლო და გენო,
კვლავ დამიბლდი გუშინ,,
ლამაზი საქართველო
ტყვეით დაცნრილეს გულში.

სული მისტირის ზაფხულს
სისხლი ღვარად სდის არწივს
მოგონებებში გართულს,
უღვთოდ მათოვს და მაწვიმს.

„აღერტის ტყეში“

მერე ზეცად აღევლინე არ გიგუეს მიწაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილ დედამიწაზე.
ზვიად გამსახურდია

აცრემლებული ანგელოზები
შენდობას თხოვდნენ დედა მარიამს,
იბურია და ძველი კოლხეთი
მტრებმა გადაწვეს ღამეს ქარიანს.

აღერტის ტყეში მოჰკლეს მესია. . .
ვერ გავუშკლავდით უბირ წარმართებს,
ფრესკებს ბილწავენ, ხატებს ესვრიან,
წმინდა ტაძარზე ხელი აღმართეს.

ცრემლი დიოდა დედა მარიამს
ცას მისწვდა ქართვლის დედის კივილი,
კოლხურ კოშკსა და ღამეს ქარიანს
გაბმით ესმოდათ ტყვიის წივილი.

უფალს ეახლა თვითონ მესია!
ომგადახდილი. . . ტყვიადახლილი!
მან აღასრულა წმინდა მისია,
ზეცაში სუფევს მწერადადლილი.



„მისტერია“

განმარტოება მინდა,
ფიქრები მომეძალა,
ოცნება გამიფრინდა,
უფალო! მომეც ძალა.

ისე ლოდინი მიწევს,
ნუთუ, ტანჯვა არ კმარა,
ყასიდად მაინც მივწვევ,
ჩქარა, ლოვინი ჩქარა.

თუ გადავურჩი სიკვდილს,
მოვლენ მეშვიდე ციდან. . .
ალარაფერი მიკვირს,
საკუკუნეა წვიმდა.

ერთფეროვნება არ მსურს,
ბედის გამოცდა მინდა,
შეგებრძოლები ავსულის
ჩემთან არს სულიწმინდა.

„ღაინი“

ნაძვის ტოტზე ზის, გულდამწვარი ჩიტი მზეწვია
სტვენს და მაფრთხილებს, მეგობარო, მტერი გვეწვია!
ჯვალოს პერანგზე დავისედე, სისხლი მაცნია
ეს სიზმარია? ღმერთო ჩემო! არა, ცნადია.

მამა პაპური ხმალი ჩემი უბრად მიგდია,
ფრინველთა ენას ველარა ფლობს ბრძენი მინდია,
ნუთუ, შევცოდე. . . ჩემი სისხლი როცა დავინდე
ღმერთი შეგვინდობს, მრგვალი მაგიდის ქართველ
რაინდებს.

„მწუნის ქორალი“

თრობის უინი მომიარს,
გწყველი შაგბნელ სამყაროს,
ეშმა უზის როიალს
ხოტბას ასხამს ტარტარონს.

ემარა სულის წამება,
ნეტიალი კარდაკარ,
მოვა ფერიცვალება,
ერთად ვივლით ქარდაქარ.

კართან ავი სული დგას,
მონდა ჟამთა ცვალება,
წამებაა სულისდგმა,
შეება. . . გარდაცვალება.

„ანა გაჰკივის ალნარკიასთან“

დარდები მტანჯავს ენით ართქმული,
ენგურის პირას სკვითები დგანან,
მტრებმა დალაშქრეს მიწა ქართული,
ალნარკიასთან გაჰკივის ანა. . .

მძლავრობს სიმღერა რუსულ თათრული,
მჭიდის გამოცვლა დამაგვიანდა,
კვლავ შეგვიბილწეს ენა ქართული
ენგურიანად. . . არავგვიანად.

ძმები ერთმანეთს ნუ ემუქრებით,
ნუ ყიდით მამულს. . . ბარაქიანსა,
მოგვიმრავლდება მამელუქები. . .
გაჰკივის ანა. . . ალნარკიასთან.

„ტრექლის მუსიკა“

სულს აღმოხდა გოდება,
გარდაიქმნა ლოდებად,
ჩამოიქნა ფრესკებად,
სიმღერებად, ლექსებად.

ღვთისმოშიშნი დაგლოცე,
დედა ენა დაგკოცნე,
დავუარე ვენახებს. . .
გუთნისდედა ვერ ვნახე.

ამერია გონება,
გააქვთ ჩვენი ქონება,
ცნრა ურემი სახარე. . .
ეშმა ზის და ხარხარებს.

„ხმა უღაბნოში“

ვისაც ვუყვარდი, უღვთოდ მომიკლეს,
თითქმის არ შეძრნა მომფერებელი. . .
ყოველ ნაბიჯზე ვზვდები მოქიშპეს,
ნიადაგ მასმეკვს შხამს ბელზებელი.

მაინც ვერ მომიკლეს, დეენა დამიწყეს,
ქარებს მიფუგდე ჩემი სხეული. . .
რწმენის ბილიკზე მოვკვდე, დაგმიწდე
სჯობს, ვინემ გაგხდე სულით სხეული.

გავსცქერი სივრცეს, იქ ჩემი ძმები. . .
განისვენებენ ლურჯ საგანეში,
დამანგრეველი ეს მიწისძვრები
საფლავს მითხრიან მშობელ მხარეში.

ცივი ზამთარი, ვატყობ, დამიდგა,
დამიტირებენ ჩუმად ვერხვები. . .
შადიმანებო. . . თქვენთან რა მინდა,
მე ჩემს მეგობრებს გადავგვგევი. ,

„პოლსური არია“

სულიერ ძმას კუსა ბუკიას

სამრეკლოს თაგზე ბარდები
თემშარაზე კი ნისლია. . .
რა ვქნათ თუ სიკვდილს ვბარდებით
ბარდებზე რჩეულთ სისხლია.

ცრემლად დაღვრილან დარდები
მიაქეთ მზისფერი ცხედარი,
დაჭრილიც წამოვარდები
ეს ხომ სამშობლოს მზე არის.

ჩვენი ჯიშის და ჯილაგის
არც ერთი აღარ დაინდეს,
მაგრამ ბრძოლები წინ არის,
აქ რა გამოლევს რაინდებს.

მხრებს აიყრიან ბაღლები
ქუჯი-გუბანის ჯიშისა,
ლხინში, ბრძოლაში ლაღები
ამღებნი ძმათა სისხლისა.

აღსრულდეს გულის ნადები,
მოგა მზისდარი მხედარი,
რომ წარიტაცოს დარდები,
რომ გააცოცხლოს ცხედარი.

ღვთით მირონცხებულ რაინდებს
ყალყზე ჰყავთ რაში ფრთაშალი,
ყველა მტრების სისხლს დაიდენს
მოგვიხმობს წმინდა გრააღი.



„სიზმარა“


ეძღვნება ტამიშთან ბრძოლაში დაღუპულ რეზო (სიზმარა) სესქურიას ნათელ ხსოვნას.

ჭალადიდს ღამის სიზმარმა
სისხლით შეღება აისი,
ტამიშს მოგვიკლეს „სიზმარა . . .
მწუხრის მუსიკა გაისმის.

მარტვილობს კოლხეთს იები. . .
ცირა დაზაფრა დაისმა,
ცას მოსწყდა ცისკრის მთიები
დედის გოდება გაისმა.

ვოი! ნანაგე, ნა-ნი-ნა,
ამისდა ღამის ზმანება,
ვოი! ნანაგე, ნა-ნი-ნა,
მკვდარი გიზილეს თვალებმა.


ვოი! ნანაგე, ნა-ნი-ნა,
რა გაგანია თმია,
გაისმის თმის „ნა-ნი-ნა
ლომი, მოკლულიც ლომია.



„დასევდილი დილა“

თამაზი ბაჩილაგას ხსოვნას

კიდევ ერთი დასევდილი დილა,
კიდევ ერთი, არშემდგარი დღე-
დამებედა ცრემლიანი კვირა. . .
ეჰ, დაგკარგე მეგობარი მე-
უცაბედად დამეწვია გუშინ,
ჩემს პატარებს უსახსოვრა მზე. . .
რა სატკივარს ატარებდა გულში,
სამწუნხაროდ დღეს გაგიგე მე-
ვინ შემოვა მისებურად ჩემთან,
თანამდგომი. . . ყველაფრისთვის მზად.
ცოტნეური თავდადება ჰშვენდა,
ემშაკები შემოჰყრია გზად.
გაუთვალავთ. . . მორევია ლური
მშვიდად აღარც უძინია წელს.
სხეულისგან განხარიდა სული
და ჯვარცმული უფალივით წევს.
კიდევ ერთი მარმარილოს ფილა,
იქვე ახლოს, მოლივლივე ზღვა.
კვლავ ვამაწნა აპრიმანმა სილა,
ამ მეგობარს ვერ შემიცვლის სსვა.
მერამდენე ჩადრიანი დილა.
მერამდენედ დათრგუნული მზე. . .
ძმებო, თქვენთან უსათუოდ მივალ.
დღეს თუ არა, ზვალ თუ არა, ზეგ.
მარტოდ შთენილს, თან მდევს ფიქრი ერთი,
თქვენ წახვედით, ცრემლს შემაწევს ვინ,
შემეწევა ალბათ, ისევე ღმერთი,
უანგარო სიყვარულის წილ.
რა თქმა უნდა, აღარ უწყის კაცმა,
განსაცდელი ჩასაფრულა სად.
ჩვენ მიწაზე დაგვებედა ჯვარცმა,
ხოლო, სულის ნეტარება ცად.




„ფაზისში უველმა გაინაგარდა“

11 წლის ნათია ნიკოლაგას ხსოვნას

ვით სერაფიმი ცისკენ მიიღტვის
ანგელოზური ეგ შენი სული
თერთმეტოდე ზაფხულს მიითვლის
ამ ქალმა მოკლა... პოეტი ერთი,
შენზე იტყვიან...
ნუთუ? ამ ქალში არ იყო ღმერთი.
აკითხავენ პოეტის საფლავს,
დალევენ ღვინოს...
კრძალვით იტყვიან მრავალჯერ ნათქვამს,
მშვიდად იძინოს...
და თუ, შენც მოხვალ მთრთოლი განცდებით,
ცრემლს დაღვრი მრავალს,
აახსილსფრებ ყოჩივარდებით
ნაადრევე საფლავს,
მაინც იტყვიან...
შეიწირათ პოეტი დენდი,
მაინც იტყვიან...
აღარ სწამდაო, ხატი და ღმერთი.

„ქოლგოიანი მათილდა“

აღმართს შეჰყვა მაესტრო
და უეცრად გაწვიმდა,
ამ შემთხვევას შეესწრო
ქოლგოიანი მათილდა.
გაუღიმა ხელოვანს
და შიგ შეიპატიჟა,
შმაგი ქარი მღეროდა,
ორი გენი გაგიჟდა.
დააწყვილეს ერთურთი,
წვიმამ ორთავ დალოცა,
მათთვის იყო ეს წუთი
ორი გულის გამოცდა.
კაცი, სულით პოეტი...
საოცრებას ელოდა,
მთვრალი ანით... ჰოეთი,
გულში ვნებით მღეროდა.
ხელოვანი ის არის,
ქალავ, ვინაც ჩაგოცნა
ნეტავ, ვიყო მისანი...
შევძლო შენი დამოძღვრა.
გზაში გპოვე მიზანი,
რა გიჟური ქროლვაა...
ნება-ძალი ღვთის არის,
გულში ამოჩქროლვაა.

„მონმარტრის - დედოფალს“

გუძღვნი ირმა პაპასკირს.


ქარის ჩურჩულზე მთრთოლი,
ამღერებული ქნარი...
ჩემი მეგობრის ცოლი,
გასაოცარი ქალი.
თუ, ერთხელ მაინც ნახეთ
დაგესიწმრებათ ალვა...
სანდომიანი სახე,
სერაფიმიული გავლა.
ქარია მისი ქმარი,
ჰყავთ ანგელოზი ორი,
დადის ქალაქში ქალი
ქარის ჩურჩულზე მთრთოლი.
გერსად შეხვდებით ისეთს,
რომც მოიართო კოლხა...
ის გაგიღიშებთ მზისებრ
თუ, ჩვენს „მონმარტრში“ მოხვალთ.
მეგობარი კი ჩემი,
ბედნიერია ჟამით,
ზღვა სათნოების მჩენი
მასთან რომ რჩება ღამით.
მასთან იღვიძებს დილით
როგორც, ცის ნამი მოლზე,
მიუყვებთან ბილიკს...
ღვთისგან კურთხეულს ორზე.

აპრილი 2001წ.



„ლურჯი ოცნება“

ჩვენ რომ ერთი გოგო გგყავდეს,
ღვთაებრივი ბავშვი
და ყველაფრით შენ რომ გგაგდეს
ვით გაჭრილი ვაშლი.
ქალო უმშვენიერესო.
სწვებზე უბედნიერესი
თუ იქნები მაშინ.
ჩვენ რომ, ერთი ბიჭიც გგყავდეს,
რბოდეს კვიცი რაშის...
სახით, ნიჭით, ქცევით მგაგდეს,
მგაგდეს თუნდაც სმაში.
ქალო უმშვენიერესო,
სწვებზე უსახიერესო...
რა მომკლავდა მაშინ.
ჩვენ რომ, ათი შვილი გგყავდეს,
ზღაპრულ სუფრას გავშლით.
ქალო უმშვენიერესო,
ჩვენზე უბედნიერესი,
ვინ იქნება მაშინ!.



„საუპეოღგოო კანცონეტა“

ჟამით დამწრალ ფოთლებს გვის,
მეთოვლიე ქარი.
თვალს ახარებს, ცოდვებს მგვრის,
ტანკენარი ქალი.

გონი ოდნავ მიქარავს,
მონვაგდება ფიქრი.
მოვა ჩემი წიქარა
ტკბილ ზღაპრეთში მივქრი.

სადაც ჩემი პირიმზე
სიყმაწვილე სახლობს.
ცვარს ახაპავს დილის მზე
იქვე ახლო-მანლოს.

უკვდავების წყაროსთან
ყელს მთილურს დალი,
აამზევებს საროსტანს...
ზედ დამრჩება თვალი.

გადავკოცნი ბილიკებს
ბავშვობიდან ხელი...
ჟამი გამაქილიკებს,
მომეცრება ხელი.

გავწბილდები დროებით
შეშეწევა ზენა,
მუზის ესკადრონებით
მოვა აღმაფრენა

დამეწევა დილის მზე,
მზე-თვალეების ნახვით,
მოვა ჩემი პირიმზე
საპატარძლო კაბით.

„სეპდიანი პონოლოგი“

სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?...

გალაკტიონი

არაფერს არ გეტყვი, ძვირფასო,
სიყვარულს სწვა ვინმე აგინსნის.
ვისაც აქვს დოვლათი... ის ფასობს,
მე ჭიქა არაყი დამიხსნის.

გულწრფელად დაგლოცაჲ, გადაგკრაჲ,
ცრემლები ჩადგება თვალებში,
თვალები გეტყვიან, რადა მკლაჲ,
და უცებ გაჴრები კარებში.

მინდა, რომ ერთი რამ იცოდე,
შენს სახელს ვატარებ ქარდაქარ.
მარტვილში... მარტვილი ვილოცებ
სადა ხარ, ძვირფასო, სადა ხარ.

არა ვარ მანე და პიკასო...
დაგნატო? ვაი, რომ არ ვიცი,
დამიხსნი არაყი, ძვირფასო,
დაგლოცაჲ, წაგალ და დაგიცდი.

„ასეც სღება“

გასვენებაზეც არ მოვა იგი,
თითქოს ჩვენს შორის არ იყო რამე,
დღე თუ დაცვა წესი და რიგი,
ცხარე ცრემლებით ატირებს ღამე.
გაახსენდება ყოველი წამი
და გადმოსცვივა თვალთავან ბროლი.
სულს აუთრთოლებს გულმკერდის ჩქამი
მაშინ ვიქნებით მხოლოდ ჩვენ ორნი.
მე სასაფლაოს მკვიდრი და იგი
ცრემლის ბალიშზე ელფიფით მწოლი.
ჩემსკენ წაუვა ფიქრების რიგი,
მაგრამ ჩემამდე იქნება შორი.

„ასე იყო, თურმე, უწინ და იქნება ასე“

ასე იყო, თურმე, უწინ და იქნება ასე,
მნათობები გაქრებიან, როს ჩამოწვიმს გზაზე.
სადღაც გემი აკივლდება, გავეშუბულ ზღვაზე
თუ უარპყო ქალმა ფიცია... გათხოვდება სსვაზე.

ნუთუ, აღარ მელირსება მოფერება ნიმფის...
ნუთუ, გამტენს უგვირგვინოდ უსასრული ფიქრი.
იქნებ, მტრედი დამებედოს, თეთრი, ვითარს ფიფქი
აღარ ვიცი საით, მაგრამ... მივქრი, მივქრი, მივქრი.

„ბეჭდის ირონია“

არ მეყლაპა ქუჩის მტკერი
მეც გავცლოდი ამ ქალაქს
იროგლივ შარი-შურობს მტერი
ვერ ვბოულობ ამხანაგს.
დამივიწყეს მზე ქალებმა
რაც გაიდეს მაკმარეს,
უცხო ხელი ეპარება
ნაცნობ კაბის მაქმანებს.
ხმაში ხრინწი გაშერია
გზაზე ქარი ქაქანებს
ვნვდები არსად არ მელიან
და გიჟივით ვხარხარებ.

„მონოლოგი სარკის წინ“

ვერცხლი დაუფანტია?
უფალს მხრებზე, კმობილი,
თუ, სიკვდილის ფანდია...
მაშინ, რაღას ცოდვილობ.
სახე წლებმა დაღარა
თუ, დროჟამის ქუჩილმა,
იქნებ, ბრძოლაშ დაგღალა,
იქნებ, სისხლის დუდილმა.
სძლიე დარდის ნიაღვარს,
ნათელს მოგფენს უფალი,
ცის კაბადონს მიაპყარ
მზერა თავისუფალი.
ნუ შედრკები, მგლისმუნღავ...
ძალი გაიასკვცე,
ზენამ ხმალი გიკურთხა,
ბოროტება აღკვეცე.

„შინჯან ყავაზე“

ფინჯან ყავაზე...
მუნასთან ერთად,
ვიჭერ აღმამფრენ
ფეიწვერეს ფერთა.

პარნასზე ვდგაგარ,
მზის გულის ფეთქვა,
ჯგარს ნაცმევს ვგაგარ
ვთქვი, რაც სხვამ ვერ თქვა.

ო, ფერთა გამა,
მუსიკა ლექსად,
შედგება დრამა
ვერ გპოვო ვერსად.

სიკვდილის მარშით
ღრუბელთა გროვა
შავ აფრებს გაშლის,
იქნება გლოვა...

სიმართლე, ჭორი,
შური და დავა,
გაფრენა შორი...
სული ცად წავა.

ვიღაცა იტყვის.
აღსრულდა კაცი
ტარიგი სიტყვის,
ღვთიური მრწამსის

ფინჯან ყავაზე...
შემდეგი მოვა,
იასამანზე...
კვირტობის დროა.



„ღებრძია“

სველ სილაზე ბავშვი ხაზავს წრეს,
მივალწიე მარილიან ზღვარს.
ზვიგენები ამიგებენ წესს,
თოლიები აკივლებენ ზღვას.

შუბისტარზე შემდგარია მზე,
ნატერფალით დაწინწკლულა გზა,
მაღე აღარ დამჭირდება მწე,
ჩემს ეზოში ატირდება ბზა.

„თეთრი ცხელიბა“

ჯოჯონეთის ქარია
თუ კოშმარი წამის,
ყველა კანიბალია,
ეს სტუმრები ღამის.

ტყვიას მიჯრით მესვრიან,
შხამს მასმევენ ჯამით,
სიმწრის ყვაფილებია
ეს ხილვები ღამის.

„ბედისწერა“

თუ ფიქრები დაგესია
და დაგჩემდა ლექსის წერა
ღვთაებრივი პოეზია
არის შენი ბედისწერა.
ლაჟვარდებში მოციაგე
სულის წილი ორწილია,
შენ ლექსების კოშკი აგე
თქვი ლექსების ქორწილია.
შენი სათნო გულის ძვერა
ანითა და ჰოეთია,
შენ თვითონ ხარ ბედისწერა
ღვთაებრივი პოეზია.

„გული დაისრულა სევდით“

გული დაისრულა სევდით
სნივი ჩაქრობიათ თვალებს.
ახლა მაინც ნულარ მყვედრით
მზერით აშიშვლებო ქალებს.
კარში გასვლას ველარ ვბუდავ,
ძალი წლებმა გამოძალეს.
სიზმრებშიაც ველარ ვხედავ
სულის შემძვრელ ამორძალეს.
მიაკივლებს სადღაც ქარი,
აღბათ, ისიც დაისევდა...
სხვა არავინ აქ არ არის,
ვინც ჩემს ტკივილს დაისევდა.

„კაცს უფალმა მიმართა“

ქედს გადახვალ ხეგია,
კაცს უფალმა მიმართა.
რწმენით დაურხევიათ
ზარი ეკლესიათა.
იქ იმდენი განძია
წლობით ველარ დაითვლი,
კლდეში ბრწყინავს ვარძია
და გარეჯში დაგითი,
დაბლა მწვანე ველია,
სამოსახლო იათა...
სხვებზე ტკბილად მღერიან
იათ-ნანას იმათთან,
წყაროსთვალი ხატია,
კელაპტარი მთიები,
გზები მოუნატიათ
ბზით და აკაცებით.
იქ რომ ლურჯი ცა არის,
ცა ვერ შეედარება.
ღვთაებრივი რაც არის
არ წარგნოცონ ქარებმა.

„რაც კარგია, კარგია!“

რაც კარგია, კარგია,
ჟამს შენჩება მარადის,
მაგრამ, მე რად მარგია,
თან მდეგს ცოდვა მარაბდის.
ბაზალეთი, ბორითი,
წიწამური, ხიბულა...
ძმები ვეღარ მოვრიგდით,
ზვაობს მტერი დიდგულა
ასე იყო, ასე არს
და თუ ასე იქნება,
ვინღა ჩივის ბასიანს...
ცხუმის მზეც ჩაგვიქრება.
რაც ცუდია, ისიც ნომ,
თაობებში ვადადის,
მიდის, ოღონდ უსისხლო
დღესაც ბრძოლა მარაბდის.
შაფინაბადა, ბორითი,
ხიბულა თუ მარაბდა,
იქნებ, ლაფი მორიგი
ჩამოგვრეცნოს არაგვმა.
რაც კარგია, კარგია!
არ მაქვს შიში არაფრის,
ჩემს ხსოვნაში მარნია,
დეგვიძინები არაგვის.

„დიდოსტატის პორტრეტი“

ერთ ტილოზე მნატვარს, დაღლილი
სახით ჰყავს გამოსახული დიდოსტატი
კონსტანტინე, ალბათ ესე უბნობდა
დიდოსტატი მნატვრისას.

გამოღმა სისხლის ტბა არის,
გაღმა ცრემლების მდინარე,
ვიყოთ ერთგულნი გრაალის
და მტრების მიმართ მძვინვარე.

სანამ ავუაში გაგვაქრობს,
მზე ჩაგუყენოთ ამ ნატებს,
დარდში გაგანგეგ თამბაქოს,
გულდარდიანი დამნატე.

სწორედ ისეთი, როგორიც
გვიჩანს სამშობლო სანატე,
მიუსაფარი, თბოლი...
სულით უდრეკი, დამნატე!.

„ჩემს ბოლბოთაზე“

ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის,
რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

რწმენით ურყევი ვგავარ შემოქმედს
ჩემი შელოცვა წრფელი ლექსია,
ფიქრის გორაზე აჰა! შემოვდექ
ცხოველი სიტყვის ვდგავარ მესია.
ფარისეველნი რისხვით გამოვლენ
და ბრბოც იხუვლებს... დასცხეთ როზგები,
მეშვიდე ციდან, ვიცი ჩამოვლენ
და წამიყვანენ ანგელოსები.
სახითაც ვგავარ ყოვლის შემოქმედს,
მზერა ნათელი თითქოს მისია,
ჩემს გოლგოთაზე შობით შემოვდექ,
რომ აღვასრულო წმინდა მისია.

„აპრილის ცრემლები“

უბეებს მიცრემლებს ჯვარცმული აპრილი,
ვინუტებ თაიგულს წამბანთა... იათა,
სასტიკი დღეების სიჭარბით დაღლილი,
მიყვებები ცისკობულს მერაბთან, ზვიადთან...
მტარგალთა თარეში ღვთისმშობლის მიწაზე,
წმინდანთა ჯვარცმით და აღდგომით დასრულდა,
ვილოცეთ, ვეწამეთ, უფალი ვიწამეთ,
ვერაფერს დაგვაკლებს მზაკვრობა ავსულთა.
წმინდანთა სახელით დიდ ფოთოლცვენამდე,
კაენს და იუდას გავიწვევ დუელში,
თუ სულის კიფილი ააღწევს ზენამდე,
ეს ჩემთვის იქნება ღვთიური ნუგეში.
ხილვებში თუ ვნახავ შინდის ხეს ტანაყრილს,
დამაშვრალ წამწამებს კურცხალი მოწყდება,
ბიკონებს ავუნთებ ტკბილ-მწარე ცხრა აპრილს
და ჩემი არჩივი სიკვდილიც მომწვდება.

„წიწამურთან“

წვივზე შედგა დამბანა...
სასხლეტს ხელს გამოჰკრავენ,
გზაზე ეტლი გამოჩნდა,
ერის სინდისს მოჰკლავენ.

უბედურნო, შეჩერდით!
იყო ხმობა ბრძენისა,
შაინც სცოდეს, ბრძენი კი...
უკვდავებას ეღიროსა.

მკერდზე მაზის ნაჭდევი,
დასაშრეტად გულისა,
ო, რა უღვთოდ დამჭერი
ტყვიავ, წიწამურისა.

ბოლოთქმა

წმიდისა მამისა-
ამბროსი ხელაიასი.

მწუნისფერია გარემო,
ცეცხლი ედება ლელიანს...
შენ ჩემო სევდანარევო
სულო ზეცაში გელიან.
გულო, ჯგარი რომ ატარე
მამულს ეკუთვნი გნებულო,
ხოლო, ღვთისმგებელ მტარვალებს
გქონდეთ, ეგ ჩემი სხეული!.

„ლევილიდან მთაწმინდად“

ქაქუცა ჩოლოყაშვილის

მოწყენილს გხედავ თაგადო,
ვერაფრით გშველი, მრცხვენია,
იქნებ, დედა გყავს ავადა,
იქნებ, შავლეგო ცხენია.

რამ დაგაფიქრა ამჯერად,
თვალი რას შეასწარიო,
ღმერთმა გიკურთხა მარჯვენა
მტრის შემპუსრავი მკლავით.

ეგ შენი დავითფერული,
ზედ შეკერდზე რომ გისვენია,
მსმენია იყო ველურთა
ძვლის მკენეტი, სისხლის მსმელია.

შავლეგოც აქვე ბალახობს,
გადმოუტორავს მორევი,
სწადია კვალად განახოთ
ცაში გაფრენა ქორებრი.

მწუნრმა რომ გაითავადა,
ეს როდი გამოძრჩენია.
როცა დედა მყავს ავადა
ლოცვაც შენებრი მჩვევია.

გერ ამოგედი დარდიდან...
ეს დარდი, სხვას ვის გაფანდო,
წმინდა მთაზე რომ ავდივარ
მსურს გულზე ხელი დაგადო.

მამულისათვის ვნებულხართ
შენ... მერაბი და ზვიადი,
ამდენ მნათობთა კრებულმა,
ნათელჰყოს უნდა წყვდიადი.

„ცრემლის საქართველოდან“

ქრისტესმეორ ძმებს ზვიადს და მერაბს

ცად სერობას გამართავენ,
ესე ბრძანებს უფალი!
ცას მცბიერნი არ მართავენ,
ცა არს თავისუფალი.

ცა- ნათელი, ცა-მართალი,
სახიერებს აარჩევს,
აღსრულდება სამართალი,
ავ-კარგს ღმერთი გაარჩევს.

თქვენ ზეცაში დაივანეთ,
ცის სიწმინდის გჯეროდათ,
ღვთის მტრედებმა ავიყვანეს
ცრემლის საქართველოდან.

ვერ მოგწვდებათ დაიმონი...
ღირსნო დიადემისა,
თვით სიკვდილი დაიმონეთ,
უკვდავება გეღირსათ!...

* * *

ზვიადს და მერაბს,
მზე მიჰყვა კვალად.
მათ მკვლელებს ვერაგთ
გაწყდომა გვარად.

ორთავე დიადს...
ღვთის მადლი ფარად,
მერაბს და ზვიადს,
დიდება მარად!!!

„შენ გიჟადლი“

ზვიად გამსახურდიას

ერისკაცი შენი დარი,
დღეს არაფინ შეგულება,
მადლი თუ არს, შენით არის,
შენ გვანანე ერთგულება.

ერის ჭირი შეიცანი,
შეიცხადეს ორგულებმა...
შუბნათელი შეიკარი,
სცადე მათი მორჯულება.

შენ იყავი ერთგულება
და ტარიგად შესაწირი,
ჯვარზე გაცვეს შეთქმულებმა,
საქართველო დღესაც ტირის.

ენა აღარ მიბრუნდება
სერობისას რა იწვინე,
გული წუნს და შეუბნება
რომ, იუდა დაიწვიე.

მეც იქ ვიდექ ბედოვლათი,
მეთქვა მისთვის, ჩაიწიე,
შენ მოგვმადლე სვე-დოვლათი
და აკვანიც დაგვიწიე.

შენი მადლით, შენი დარდით
როგორ ჰგავდი ჯვარცმულ ქრისტეს,
სატანებმა შენი ვარდი...
აიღეს და მიითვისეს.

თუ რამ შემრჩა, შენ გიჟადლი,
შენ მომკერძე ეს ბუნება,
საყუდარი ერთი ადლი
სწვავან არსად შეგულება.

* * *

ზვიადზე რომ აუგს იტყვის,
იმ ქართველის დედაც...
ყველგან მთქმელი ვარ ამ სიტყვის
ვინ რას შემომბედავს.

ზვიადიზე?! ზვიადიზე?!
ლეგენდები ითქმის,
ის დინებას კი არ მისდევს,
ღმერთთანაა თითქმის.

ღმერთმა სულგრძელ ზვიადიზე,
ყველაფერი იცის.
ვარსკვლავეთში შიბიჯებს
მნათობია ცისკრის.

ქართულ ცაზე იარს მზისებრ
ღვთაებრივი ფიქრით
დიდმოწამე ზვიადიზე -----
ლეგენდები ითქმის.

„ზნეობის რაინდს“

ზვიად გამსახურდიას

გაუტუნელი არ ყოფილა ეს საქართველო,
გაგვითახსინრეს მათხოვრებმა მთლად ქართველობა,
იქნებ ისეთიც გვირეგია დღეს რომ ქართველობს,
დაე მოჰმადლოს მაცხოვარმა მას ჯანმრთელობა.

თქვენ ზეცაში ხართ, მტვერს და ტალახს განრიდებული,
ვაი, რომ ამ დროს უფლის ცხეს ლაფში გვისვრიან,
კვალად დაგორნით ერთგული და მორიდებული,
ვცდილობ, განვაგო მაცხოვრისგან რაც მაკისრია.

მზე სამშობლოსთვის გვემა რაა, ცეცხლშიც დავიწვია,
ოღონდ, ქრისტიანს ნუ ვინილაჟ მზერა ნისლიანს,
ძალმიძს კარს მომხდგარ მტრის ჯინაზე ფიცი დავიცვია,
მე, ხატზე როდი, ტყვია მხოლოდ მტერზე მისვრია.

და თქვენ ეს უწყით, მოწამეთ, სულო ნათელო,
აღბათ, ამიტომ მემსუბუქა ზვედრი ყოველი,
სამშობლოს ბედზე აცრემლილო წმინდა სანთელო,
ვთხოვ, გამიბრწყინო, სხივჩამქრალი.... სვეტიცხოველი.

„რეკვიემი“

ზეციურ საქართველოში
დავანებულ სულიერ ძმებს,
სამშობლოსათვის თავდადებულ
რაინდებს.

აქ სამოთხის კიდეა,
გეენის ხანძარი,
ცა რჩეულთა კიბეა,
დედამიწა ტაძარი.
ო, რამდენი ცრემლია,
ცა დასკდება იელგებს,
მდუმარეთში ელიან
თვით სიკვდილზე ძლიერებს.
ჟამი ზორვას არ კმარობს
ურვა თჳ, რა დიდია
ჰოი, მამა-პაპანი
კაი ყმები მიდიან.
მიდიან და ბინდია
გარეშემო საზარი,
ცას ცრემლები ჰკიდია,
სულს-სამების ხანძარი.
ისმის მწუსრის მუსიკა,
სერაფიმთა გოდება,
მდუმარეთი უსიტყვო...
დგას გრანიტის ლოდებად
აქ ერთგულნი დადიან,
ორგულთ ცოდვა ამძიმებთ,
მოვა მზე და დარდიან...
ქალებს მიუსამძიმრებს.
მოვლენ ხსოვნის ქარები...
დაკოცნიან პატარებს
თბოლ ბავშთა თვალები
მამის მწერას ატარებს
და სიკვდილი კი არა,
უკვდავება იწყება,
განქარდება იარა...
მოვა არდავიწყება.
აქ სამოთხის კიდეა,
ერთხმად რეკავს ცხრა წარი,
ცა რჩეულთა კიბეა,
დედამიწა ტაძარი!...


„დღე კი ... არამზიანი“

მიჭირს ჩვენის გარჩევა
სხვათა ნაბიჯებიდან,
ვაი, მას, ვინც დარჩება
ბოლო ძმობიჭებიდან.
უსათუოდ მოიწყენს
წუთისოფლის სტუმარი,
ხსოვნის ქარებს დაიწვევს
პირუთენელი თუ არის.
იტყვის, არ განმეცადა
დღე უთქვენო დოსტებო,
ამიყვანეთ მეც ცადა
ფუძის ანგელოსებო.
მართლა დარდის მჩენია
დღე ეულთა ყოველი,
ხილვები დამჩვევია
აღვლენის დღეს მოველი.
ზიარებაც იქნება
დღე კი... არამზიანი.
მომკლას თქვენზე ფიქრებმა
თქვენი თანაზიარი.
ვაი მას, ვინც დარჩება
ბოლო, ძმობიჭებიდან,
მიჭირს ჩვენის გარჩევა
სხვათა ნაბიჯებიდან.



„სარკმთან“

ველარ ვიგუე შენი ჭადარა...
მღვრიე თვალები მაკრთობს, მათცებს.
ნუთუ, ასაკმა ისე დაგღარა
ძველი მიჯნურიც აღარ გაკოცებს.
ნუთუ, ყოველის გიწვევს დათმობა
და წუთისთფელს უბრად ელევო.
ნუთუ ერთხელაც აღარ დათბება
სასოწარკვეთას თუ მოერევი.
არ გენატრება? დრო გარდასული,
გზა გაბნეული ლაბირინთებად,
მზე პოეზიის თეთრი ასული
ფიქრის სიმზე რომ ავიფრინდება.
ნუთუ ვერაფერს ვერ დამპირდება
ამათების წღვარს გადასული,
ვის დაულოცე სერაფიტები
ან პოეზიის თეთრი ასული.
ველარ ვიგუე შენი ჭადარა...
მწერა დაღლილი ველარ ვიგუე-
ნუთუ, ავუჟამში სრბოლამ დაგღალა
და ყველაფრისგან პირი იბრუნე



INVEQTIVA ORACIO

მათი მისამართით თქმული,
რომლებმაც მოყვრობის ყადრო
არ იციან.

გინდათ მეც მოძკლათ? აღარ
მოგკვდები,
მე თქვენ, ლექსებით
დაგასამარებთ.
ვაი, თქვენ მოკვდავთ. გქვიათ
მოყვრები
და შხამი ჯამით შემომამარეთ.

თვალს მადვენებდით შემდეგ
შორიდან,
რომ, დაგესუქათ ჩემი თვალები,
მე უკვდავება მერგო შობიდან,
არ მეშინია ფერიცვალების.

მე, არ მოგკვდები, თქვენ ღვარძლი
მოგკლავთ,
სულეთს გაგკვებათ ჩემი
კურცნლები...
და ვიტყვი ესე: ვაი, თქვენ,
მოკვდავთ!
როდის ყოფილხართ ნეტავ,
ცოცნლები.

„უფლის ნებით“

უფლის ნება დართული მაქვს,
ვიღებ სახსე საფერფლეს,
ფფანტავ მეცხრე სართულიდან
ოცნებების ნამსხვებს.
მწველ ფიქრებში ვართული ვარ,
ცრემლი დასდის სამელნეს,
სილატაკეს ჩაწნული ვარ,
ვიცნობ ყველა ტაფერნებს.
დედა-ენა ქართული მაქვს,
უფალი მყავს იესო,
თითქოს ჯვარზე გაკრული ვარ,
ტანჯვით გადაშრიესო.
მრუშთა მფარველ ლეშთა ქალაქს...
გადავამსფრევ სამელნეს,
სიყალბეში ვამხელ მრავალს,
ვენსომები ტაფერნებს.

„რამდენ ვერცხლად გაყიდე“

ოდეს კარგი დრო იყო,
მეგობარი მიწოდე,
მწუნარებამ შემიპყრო,
ხელი არ გამიწოდე.
წელში გაგწყვეტს მერეხი,
მონგალ ჩემთან იცოდე,
არ ვიქნები მერყევი,
გკითხავ, რატომ შესცოდე,
თავს ყბედობით იმართლებ,
დიაცივით იტირებ,
ხელი თუ მოგიშართე,
ვიცი, ყოფას მიტირებ,
მაგრამ, როდი შეგცდები,
თქვენგან ბევრი ვისწავლე,
ფრთხილად ვიყო ვეცდები,
ისეც ვეგნე, ვეწამე,
ის მარჯვენა გამიხმა,
შენ რომ ძმურად ჩაგკიდე,
თქვი, რა ღმერთი გაგიწყრა,
რამდენ ვერცხლად გაამყიდე.

„რამ აზირია გზებში“

მენმა ისეთი რენა...
წელში გაწყვიტა მუნა.
სახლს ვერ მიაგნო გლენმა,
ბუდე ვერ ჰპოვა კრუნმა.
მხიარულს გხედავ, მიკვირს.
ვეჭვობ, ქართველი თუ ხარ.
თესავ და იმკი სიკვდილს,
მოყვასისადმი ყრუ ხარ.
ნუთუ, არა გყავს დედა...
რომ გითხრას: შვილო ცდები,
ღმერთმა არ დაგებდა?
ძმები, შვილები, დები...
როგორ არ გიპყრობს სევდა,
როცა ტირიან ბზები...
ნუთუ, მზე აღარ გსდევდა,
რამ აზირია გზები.

„მად- პოლიტიკოსებს“

მომავლისაკენ უკან!
კიროება გელით წინ.
რად გინდათ სხვისი ლუკმა,
გადაგვარების წილ.
კეთილშობილი ძაღლიც
სხვისგან არ იღებს პურს,
თქვენ ქლესაობა დაგლლით,
ეშმაკს მიყიდით სულს.
თქვენ ვერ მოიყვანთ აპრილს,
არც მოყვანილი გსურთ,
თქვენზე ლოცვებით დაღლილს
დანით გაუპობთ გულს.

„განვედ სატანა“

განვედ სატანა...
ჩემგან რა გინდა,
შენი ატანა
არ მსურს, არ მინდა.
მე მყავს უფალი,
გესმის? ზარები...

ღვთის საუფლოში
გავემეზავრები,
სადაც შენ ვეღარ
დამემეზავრები.
განვედ სატანა...
განვედ!

„ვტოვებ მშობლიურ ქალაქს“

ვტოვებ მშობლიურ ქალაქს,
გამოვინურავ კარებს.
რაც მაქვს გონებით დამაქვს,
სევდას ის გამიქარვებს.
თუ სასწაული მოხდა,
დაჰკრავთ განგაშის ზარებს.
მისვალთ ჩემეულ ქონთან
ნახავთ დაგმანულ კარებს.
შემდეგ მოყვებით ბოდვას,
წყვეული ვართო ჟამით,
მოინანიებთ ცოდვას,
ღმერთს გაინსენებთ წამით.
აქ დასაკარგი რა მაქვს,
გზაში მომისმობს ქარი,
ვტოვებ ცოდვილთა ქალაქს,
გამოვინურე კარი.

„მუშა“

მზემ სხივნი ღრუბლებში განქარგა.
ბილიკნი ჩაქუმფრეს ნისლებმა.
მზემაც და ბილიკმაც დაკარგა,
ჩვეული ნიბლი და ღირსება.

თქვენ ერის ბედ-იღბალს განქარგავთ,
და თქვენი ბედელი ივსება.
განაგრძეთ, ფასეულს რას კარგავთ;
თქვენ, როდის გქონიათ ღირსება.

ნომ ვუწყო, მუშანი ხართ მუნასი,
ვწუნვარ რომ ქართულად მეტყველნი,
ვინ გშობათ ასეთი უნამსნი...
ფუ! დედა ვატირე მე თქვენი!..

„გაგბასროთ ხმლები“

მრევლი აცდუნეს ფარისევლობით
და გამომწვევად გაფარჩნეს ფრთები.
ცრუ მცხეთელობით... ფაზისელობით,
თავს იწონებენ სამშობლოს მტრები.
რწმენა არ მოსდგამთ, თავს კი ადრიან
თევდორე მღვდელს თუ წამებულს მრავალს,
ხარ გვიგინებენ ცოტნე დადიანს,
ხან გვიგინებენ თვით მეფე თამარს.
თუშცა რას გერჩით, ბრალი ჩვენია,
როცა შვილები სცოდავენ ამდენს,
მათ განქიქებას არ გვიჩვენია?
ჩვენც საფარ-ბეგის მიგბამთ გამწრდელს?!
ნავსი ვატუნეს ფარისევლებმა...
ცრუ მწიგნობართა ჩამკსმის ხმები,
მცხეთელებმა თუ ფაზისელებმა,
დროთა, ჰო, დროთა! გაგბასროთ ხმლები!..

აქონარიდი ციკლიდან ახასთუმიანი

* * *

ზეკართ და არაზინდო
აწვართულხართ მხრებით ცამდე
სიწმინდენი არ გაზიდონ
ღმერთთან /ნმის მიწვდენა/ სცადეთ.

მოახსენეთ მამა-უფალს,
როგორც წმინდა აღსარება,
ნესტან ყველა ქართველს უყვარს,
ქაჯეთს მივალთ ასაკლებად.

„ზეპარის სიბლი“

მიველ, ვნახე აღობილი,
ზეკარი და არაზინდო,
ლოცვად დაგდექე კმაყოფილი
ძალმის მხრები ცად ავზიდო.

ჯადოსნურმა სპეკალებმა
ელვარებით გამოცეს.
იქვე ტყეში მზექალებმა,
მზეჭაბუკი გადაკოცნეს.

ვთქვი, სამოთხე აქ ყოფილა,
ჯოჯოხეთი გავიარე.
ღმერთო ტანჯვა მამყოფინე,
ტკივილები დამიამე.

მარტვილ სულის მწე-ქარებო,
მთლად მესხეთი დამიკოცნეთ,
ბროლის ცრემლით მზექალებო
გზა ღვთისაკენ დამილოცეთ.

კაფე „ოჯანსერი“-ს

ასოციაცია.

ციკლიდან- აბასთუმანი.

მორაკრაკებს შმაგი ოცნე,
მზეობს აბასთუმანი,
თბილი მზერით გადავკოცნე,
მთრთოლი საბაზთ-უბანი.

შეგსვი წყარო თავანკარა,
ჭირხლმა ჭიქა შენისლა,
სეტყვასავით დამაყარა
რწმენა გადარჩენისა.

ცას აგნედე... აღობილი-
არაზინდოს გაჰყურებს,
ვეფერები კმაყოფილი,
გვირილებს და სამყურებს.
თავპატივი არ მჭირდება,
აქ, მე, არ ვარ სტუმარი.
ლექსებივით დამიტკებება
ჩემი აბასთუმანი.

ბენეფისი... კაფეშია
რია-რია, ხალისი,

ეჰ, პოეტი რა დღეშია
იტყვის დიასახლისი.

და მეც ვეტყვი, ჩემო ლიაჲ,
მტკივა ციდა მამული.

ლოცვა-ლოცვით შემოვიარ
ცრემლით, გულდანამული.

აჰა! თასი, დამილოცე
ღვთაებრივი ეს ხედი,
დამიკოცნე შმაგი ოცნე...


დამილოცე მესხეთი...
და გამყვება ოჯახური
იდილია, ხალისი,

ხან მკაცრი, ხან მოთაფლული
მზერა დიასახლისის.

„რაფსოდია“

პატივისცემით ჭეშმარიტ ქართველს

გული ველარ იტევს სათქმელს,
ცრემლი ღვთაებრივი ცვივა,
ღმერთმა გაუმარჯოს ქართველს,
ვისაც ეს ცრმლები ტკივა.
ვინც არ დაამადლის ლუკმას...
ობოლს, უბოვარს და მშიერს,
ვისაც საქართველო უყვარს,
მშობელ დედასავით ძლიერ.
როგორ დაგამადლი სიტყვას...
ყოვლად სახიერს და ნათელს,
სხვათა განმკითხავის რისხვას,
ჩვენი ცოდვა-მადლის დამტევს.
ვისაც დაუნთია ცეცხლი...
სული რომ გაეთბო მცივანს,
ვერცხლზე გაყიდული ღმერთი
ვისაც უსაშველოდ ტკივა.
სხასაც აღარაფერს ვჟგედრი,
მცნების მოწიწება მმართვეს,
ღმერთო, დიდებულო... გვედრი,
შვება მოუვლინე ქართველს...
როგორ არ შევაწევ სიტყვას,
რწმენით გულანთებულ სანთელს...
მიყვარს, სიგიჟემდე მიყვარს,
ვინც ჯვარს... გოლგოთამდე ათრევს.



„პანაზია“

პატივისცემით, მშენებელი
ქალბატონ-სანდრა რულოვსს.

მზე დაგნათის შექცევებით გართულს,
ჰგავხარ ბნელში მოციაგე ნათელს.
ქართველები იფიწყებენ ქართულს,
შენ, ბაგედან მარგალიტებს აფრქვევ.

საქართველო მოიარე ლოცვით,
ღვთის ენაზე ამეტყველე ბაგე,
მადლს ეწიე ღვთაებრივი კოცნით,
ზეციური სრა-სასახლე აგე.

ქარაგანი გასცდენია ბათუმს,,
მინარეთზე გადმომდგარა მოლა,
ქართველები უარჰყოფენ ქართულს
და ხლებიან უცხო სიტყვის მონა.

მონობაში აღზევებულ მამლუქს,
სხეულს უნრაგს ეგვიპტური ქვიშა,
თვალს აკლია მოწყვეტილი მამულს,
უცხოეთში განიზნული სვინა...

შენ, ქართულად აამღერე ქნარი,
მარგალიტი გამოფინე მზეზე,
მოგწოდეს გზაში ზურგის ქარი,
ანგელოსნი შეგსეოდნენ მხრებზე.

დამილოცე საქართველო ციდა,
მტერი მისი, ამხილე და დაგმე,
ღვთისშობელი გადმოგნედავს ციდან,
თუ კი გული, სათნოებით დაგე.

„კენესის გული ჯვარცმული“

ამყვან გულის ტკივილი
უნიათო ბორჯიდან
მესმა ქარის კივილი,
ძველი ცინე-გოჯიდან.

ქუჯი უნობს ფარნავაზს,
ამბავს ვყვები ოდინდელს,
ზედ ატყვია ამ დარბაზს,
გაუვლია ჭყონდიდელს.

აქ ვხედავდი ანლანან,
სახე მწუნარ რაინდებს,
ვინც ნათელი გგანახა
არც ერთი არ დაინდეს.

ო! რა მენი დაგვეცა,
ო! რა სისხლი დაიქცა,
ვარ შევძელით დაგვეცვა
და ბერმუნა წაიქცა.

როგორც ჩემი წარსული
ბედუკულმართ ტათთან,
კენესის გული ჯვარცმული
მშათა სასაფლაოსთან.

ჯვარცმას თან სდევს აღდგომა,
ეს როდია სიანლე,
მწამს ბერმუნაც აღწდგება
თუ უფალი ვიანლეთ.

განქარდება წუხილი...
ღვთაებრივი ბორჯიდან
ცარგვალს შესძრავს ქუხილი
ჩემი ცინე-გოჯიდან.

„მთვარის მოტაცება“

მესიზმრა მოუკლავთ გუბაზი,
დაობენ აქტ და ფარტაძი,
გვეწვია ავბედი სტუმარი,
ცნედრებით სახსეა დარბაზი.
მომიკლეს ათასი გულადი,
სად არის წარსული დიდება,
მეც მომწვდა მკვლელობა გუბაზის
მზე იწვის და სულში ბინდდება.
ჩემში რომ წმინდანთა სისხლია
და მკერდზე ნაჭდევი არაბთა...
ამიტომ ნიადაგ მესვრიან
ფსოუსთან, ჭოროხთან, არაგვთან...
მოგკვკვეთეს ძუძუმტე აფხაზი
სკვითები ლაშქრავენ დარიალს
სატანა კოლხეთის კართან ზის
და ვუნძობ დიდ ცოტნე დადიანს.

„წინ საქართველო!“

ძილი უშური განაგდეთ,
ჩამოიბერტყეთ მტვერი...
ლომებრ იომეთ მანამდე
სანამ არ შედრკეს მტერი.

ფიცხლად მიუსტით ბასიანს,
რწმენით უმტვრიეთ კარი...
მტრის ურდოს ას ათასიანს
დავითფერული ჰკარით.

დიდი ლაშქრობა გამართეთ
ყარსიდან ბასიანამდე
მომწვდურს ისეთი დამართეთ
რაც არ უნილავთ მანამდე.

ფაფარაშლილი რაშებით,
თვალი დაადგით ქორებნი.
მაშინ იქნებით ვაჟები,
ვაჟები სადიდგორენი.

„ძილს უარი“

მზით გამთბარი მთვარიანი ღამე,
მათრობელა სურნელია ვარდის.
მოდის მუზა, აბა, თქვით რამე,
არ მეშვება, დადის, დადის, დადის...
ისე ხშირად იარება სტუმრად,
სტუმარიც, კი, არ ეთქმევა ალბათ,
ზოგჯერ ისე ჩამოჯდება უბრად,
მეც ზეციდან ჩამომიყვანს დაბლა.
უცნაურად შემომინდა ერთხელ,
თუ არ ვცდები ვარეთ რბოდა ქარი,
გულმოსულმა აღიყური ვფერთხე,
გაამტვრია მონჯღრეული კარი.
მთელი წელი არ მოსულა შემდეგ,
მეც სხვა საქმე ვამჯობინე ლოდინს.
რთველი იყო, ქვევრის თავზე შევდექი,
გავინდე, გაბუსხული მოდის.
ძილს უარი უთხარიო კაცო,
იწვნიელ შენი ერის დარდი...
დრო არისო, ამა სოფელს გამცნოთ,
როგორ ჭკნება ღვთაებრივი ვარდი.

„ასე მგონია“

მზე, მაგნოლია, მე... მარტოდ-მარტო,
გაფრენილია შავი მერცხლები,
ასე მგონია, არ ვიცი რატომ,
მწუნრის ლოცვებში დავიფერცხლები.
რა ბედი ერგო ძმაკაცს, რა ბედი,
ღიმილის ბიჭად დარჩა, წავიდა...
ნეტავი იმას, მე კი, დაგბერდი,
თავს ვეკითხები: - მე აქ, რა მინდა?!
მზე შემოდგომის, შემოდის ამ დროს,
ნეტავ თუ არის სადმე აპრილი,
გამხუნებია კეპი და პალტო
ნახოსუმარი... სამხრე აყრილი.
ეჰ, ისე ვატყობ, დრო ფუჭად გავა...
და ჩუმაღ წავა, სიტყვის მაესტრო...
ჰო, კიდევ კარგი, მოხუცი მამა
ძის განქიქებას ველარ მოესწრო.
დავრჩი ნაპირზე მე მარტოდ-მარტო,
სულის შემძვრელი მძალავს ფიქრები
ასე მგონია, არ ვიცი რატომ,
მწუნრის ლოცვებში დავიფიქრები

„ყველგან არს ღმერთი“

მოყვასმა ბოღმა მესროლა გუშინ
და ქორალივით ჩამეჭდო გულში;
მიკვირს საერთოდ როგორ გადავარჩი,

ეშმაკმა ძმურად ჩამკიდა ხელი,
მომბანა წყლული, მაპკურა ცრემლი.
ეშმაკეულთან მაინც არ დავარჩი,

მოგედი თქვენთან ღვთიური ლოცვით,
მადლმოფენილი და მკვლევლებს გეოცნით,
შემოპარულებს უფლის ტაძარში.

ვდგავარ თქვენს შორის ღვთისშვილი მორცხვი,
თქვენ არ შეცვლილხართ სულით და ხორცით,
თქვენ ხომ ქრისტესაც მოკლავთ აკვანში.

მაკრობს ეს აზრი დღისით თუ ღამით
და სისხლი იწყებს გულმკერდში ბღაველს,
გამოსავალი ნეტავ სად არის?...

ვერ ამიხსნია დილემა ერთი:
თუკი ეშმაკშიც იღვიძებს ღმერთი
არის კი! ქვეყნად ვინმე უღმერთო?

წარმოსანგაში მაცხოვარს ვხედავ,
ვხედავ ღვთიშობელს... გვერდიგვერდ სხედან
და მპასუხობენ: ყველგან არს ღმერთი.
ჰამენ!



„ვიდრე ღამათოვდეს“

შეგონი სიმარტოვეს...
თითქოს გავიწირე
მუზა პრიმადონა
სტუმრად დავიწვიე.

სულის ბიკონები
წლობით გაყინულან,
გლოცე მიყოლებით
ვინც არ გაყიდულა.

დაშრა მზის სამქლნე,
სისხლი დაიწურა,
რაც მკლავს და მალეღვებს
პწკრებში ჩაიწურა.

თმობის ბოლო წამი
რამდენ რამეს იტევს,
ძმა თუ გარეწარი
ყველა ერთად გიტევს.

წლობით მონაგარი
თხემლის მარხილია,
ლექსი ონაგარი
ჩემი მახვილია.

ბრბომ რომც იღრიალოს:
ჯვარზე გააკარით!...
ჩემებრ იღბლიანებს
კრავი დააკალოთ.

გულთეთრ კაბადონზე
ლურჯას დავაჭენებ,
ვიდრე დამათოვდეს
ჯვარცმა დამამშვენებს.

1997წ

„აგაჰმე!!!“

დიდი პატივისცემით ბატ-
ელიზბარ ჯაკელიძეს

ღმრთის მუმობელები გეზრდება თვალწინ,
მხნეობა გმართებს ჯვარცმული ერთ,
არ დაგიფარავს უფალი აწი,
რადგან სატანურ საფარველს ფერობ.
რამ დაგაფიწყა წინაპართ ღვაწლი,
რამ დაგიშრიტა ძალი და სიმხნე?!
ვიდაც მათხოვრულ ლუკმა-პურს გაწვდის,
უფალი ერთხელ მაინც თუ იხმე.
არადა გმართებს გიყვარდეს იგი,
აბორიგენო ღმრთისმშობლის მიწის,
რაც უარჰყავი წესი და რიგი,
აგაჰმე! ჩემი მამული იწვის!...
ეს ბღაფილია აზაგერ ხარის,
ადიდვორება წინაპართ სისხლის,
ეს ხომ დრტვინვაა მთისა და ბარის,
მეზარე მაცნე სოდომურ რისხვის.
აგაჰმე! ჩვენი მამული იწვის!...
გული არ გტკივა? ჯვარცმული ერთ,
ნუთუ, არა ვდის ცრემლები სიმწრის?!
ღმერთო! არ ძალმძის რომ დაგიჯერო.



„გამოცანა“

თურმე, ერთ დროს იყო დიდი,
შემდეგ დაპატარავდა,
მოიგონეს ქმობის ხიდი...
ყველა, მიწას ჰპარავდა.

ვისაც ხელი გაუწოდა,
ყველამ, ზურგი აქცია.
დამპყრობელიც კი უწოდა,
წამოუწყეთ აქცია.

ორი ტოტი ჩამოაჭრეს,
ქვეშაგებად დაიგეს.
შემდეგ, გულიც ამოაჭრეს.
სადესერტოდ წაიღეს.

გონება თუ, საღად გიჭრის,
გამოცანას გაიგებ,
თუ ხარ, ჩვენებური ბიჭი...
მისთვის, სისწლსაც გაიღებ.



„სისხლის ყივილი“

პატარა ვარ, ნაშეიერი კოლხის,
ღვთაებრივი ანგელოზი მქვია,
გადაუწვავთ წინაპართა ქონი...
ნაფოტები ცხუმის ზღვასთან ჰყრია.
გავიზრდები, ღვთის შეწევნით მალე,
მძიმე მერვო, საჯილდათ ლოდი.
აფხაზეთო დაგიკოცნი თვალებს...
მალე ბოლო მოეღება ლოდინს.
თუმცა ღვდის ცრემლებიდან გიცნობ,
მეც, ამ ცრემლებს დაგატარებ გულში
მერეკელა დამეებმა მიძმო,
საოცარი ხილვა მქონდა გუშინ.
არზაყანი... დაუჭრიათ სკვითებს,
მწედ, ძუძუმტე თარაშ ემსგარს ელის,
თუთარჩელა ღვთიურ სანთელს გვინთებს
ცხუმისაკენ გზა არისო ძნელი.
მანც მოვალთ წინაპართა მიწავ,
იშრიალეთ თურინჯებო... ბზებო,
როცა ტირის სათანჯო და რიწა,
თქვენებრ ვწუნვართ ჩვენც, აფხაზო ძმებო.
შეფრიგდებით ღვთის შეწევნით მალე,
ძმები ერთი სისხლისა და მოღვმის.
აფხაზეთო დაგიკოცნით თვალებს...
ღვთაებრივი აღმაფრენა მოდის.



„მონატრება“

ედგნება-გაგრელ ლავრენტი (ლავრიკ)
შენგელაიას და ჩემს აფხაზ ძმებს.

გამარჯობა მეგობარო შენი,
გეფერები მძიმე წლებით დაღლილს,
ძველებურად ჩამომართვი ხელი,
შეშეგებე შენზე ლოცვად დაღვრილს

დამანახე მოლოდინის ცრემლი,
ჩვენი ძმობის საწინდრად რომ გაგყვა,
რა ხანია ამ ნაპირზე გელი
და შენც ალბათ შელოდები გაღმა.


აღარ მინდა თბოლივით დამრჩე,
ერთად ვჭყდოთ გამარჯვება მტერზე.
დედაშენის მოქსოვილი „კაშნე“ ,
ვით თილისმა მახვევია ყელზე.

მათბობს შენი ნაჩუქარი ქუდი
და ასევე ხელთათმანი თბილი,
ახლა, როცა ამინდია ცუდი...
ნავსს გავტეხ და ძმურად შემოვივლი.

მომენატრა სოხუმი და გაგრა,
ჩვენებური ჩახუტება ძმური.
მე ჩამოვალ, თქვენც დამიხვდით მაგრად,
მოვიკვეთოთ უკეთური მდგმური.

მოვიკვეთოთ! ერთი მაგის დედაც!...
დავარისხოთ ღვთაბრივი ზარი,
ის უღმერთო, ამდენს როგორ ბედავს
ჩვენს ძმობაში რომ შემოაქვს ბზარი.

ზარი რეკავს მეგობარო, ზარი!...
და მეც წლობით, ცრემლში გაწოვ კალამს,
ჩვენ ძმობაში, არ ყოფილა ბზარი
სალამს გიძღვნი, მეგობარო, სალამს!...



„უორი გზა“

ცხრა წყარო და ორი ზღვა,
ცხრაპთა დარდის ღრუბელი.
დამებედა შორი გზა,
ვეღარ გამოვბრუნდები.
წაში დამრჩა სულ ერთი...
წავალ, აღარ მცალია,
ჩამისუტებს სულეთში,
ვახო მაქაცარია.
ატირდება სადღაც გზა,
მოვლენ ხევისბერები.
ცრემლს დაღვრიან გზა და გზა,
ჩემი მხეიძეები.
მოვლენ ბულიები და
ძმები იზორიები,
ბალათურიები და
ბერი ლაზარიები.
მეოცნებე შობიდან
ვის, რას დაფუშავებდი,
ლოცვით მოვლენ შორიდან
ტკბილი გარუნაგები.
აკივლდება ორი და...
ლექის ორი პწკარედი;
ძმათამკვლევი თმიდან,
პირნათელი წავედი.
ზეციური თალიდან
სულს უხმობენ ზარები,
კი ვიფიქრე დაღლიდა
გულს ამდენი ბზარები.
ქრება ჩემი ქარიშმა
და თუ, დაფიდუბები,
ყური უგდეთ ქარის ხმას,
ლექსად დაგიბრუნდებით.



„ლიბრეტო“


წრფელი პოეზია... ღამე ნათენები,
მფარველ ანგელოზთან, კრძალვით მივიტანე.
წმინდა აღსარებას ესე ვაპირებდი
რადგან უთქმელობა ვეღარ ავიტანე.

ვეღარ ავიტანე უამის ცბიერება...
ოდეს ჯვარს გააკრეს ჩემი მაცხოვარი
ქვეყნის საგალალოდ გვძლიეს მცბიერებმა,
ტახტზე აიყვანეს ვიღაც მათხოვარი.

ქველი წმინდანების საფერ ამ დარბაზებს...
რწმენის უარყოფის ცეცხლი გასჩენია,
ისევ გაგვიცვალეს ქრისტე ბარაბაზე
ჯვარცმის ნაკვალევი მკერდზე მამჩნევია.

წრფელი პოეზია... ღამე ნათენები,
მე, თქვენს სამსჯავროზე მაინც გავიტანე,
რადგან წმინდა ბრძოლას ესე ვაპირებდი...
თქვენც რომ მიორგულეთ, ვეღარ ავიტანე.

ვეღარ ავიტანე, ბილწოა პირფერობა,
შური, ანგარება... ვეღარ ავიტანე,
თუმცა, აღარა აქვს უკვე მნიშვნელობა
მე, ხომ, ერთგულობით... ჩემი გავიტანე.



„ცით მოვლენილო“

დას ქრისტესმიერს,
ნატო ზარქუა-მიქავას

ცით მოვლენილი ჩემი და...
მზეებრ ჩამოჰყვა აისებს,
ღვთის სალოცაგში შევიდა
ცის ანგელოსებს დაისევს.
თუ დამეწია ცერბერი
თვალებს ცრემლებით დაისერს,
გაუბაცდება ელფერი
ვით შემოდგომის დაისებს.
ლოცვად დადგება ჩემი და ...
მოშირჩენს ჟამთა ნაისრევს,
ვით ღვთაებრივი თემიდა
ავ-ჟამსაც აამაისებს.
მირონცხებული ჩემი და ...
მზეებრ ამზევდა მზიანეთს,
გულქვა დემონებს დევნიდა
ათევდა ღამეს ყიაშეთს.
ცით მოვლენილი ჩემი და ...
რწმენით აღავსებს აისებს,
ლაპისლაზური მთებიდან
ლოცავს სამშობლოს, ნაისრევს.

5 დვინობისთვე -2002 წელი

„ღაუჯლოველი“

გუძღვნი- ბესო მიქავას

ძმაო ჩემო, რაგვა ხარ.
გესიზმრება? წარსული,
სამი ვაჟის მამა ხარ,
სულს გაიმეხს ასული.
გენაცვალე სადაც ხარ,
თანამდევნი დარდებით
მტერი ზღვარს თუ გადასცდა,
ძმები, ერთად დაგდგებით.
გიცი, ახლაც იქა ხარ,
მტარვალს მტრულად უდგები,
რადგან გვარად მიქა ხარ,
უფალს ვერ განუდგები.
სახიერო რაინდო,
გშვენივს ტყავი ვეფხისა,
კვლავად აღარ დაინდო,
ნაშიერი შელისა.
მსურს ხარივით ავყვირდე,
ჟამი გვიდგას საზარი.
მარქვი, თუ არ გაყიდეს,
საქართველო სად არის.
ჩვენდა ჭირად გაისმის
სატანისთა ორგია ...
ნეტავ, ციდან რა ისმის,
როცა, წუხს გეორგია
ხომ არ გქონდა წილგები,
მაცნე, ავი ჟამისა,
ვის დარჩება წილგედრი
მიწა, მარიაშისა.
ძმაო, სანამ გნახავდე,
მესიზმრება წარსული.
სააღდგომო მარხვამდე
ჯაჭვით შევკრათ ავსული

„მზით და სათაფლიათი

არც ღვინო, არც ხშიადი,
მთვრალი ანით-ჰოეთი...
მზით და სათაფლიათი
ილოცება პოეტი.

გაუყიდეს მამული...
ღვთისმშობელის წილხვედრი,
რწმენა ქრისტიანული
თუ გაქვს გაიწირები.


ზვრები დასეტყვილია...
იტყვი? გაიროზგები,
გარდასულს მისტირიან
ფუძის ანგელოზები.


მოკლეს წმინდა ილია...
ღვთისმომში ზვიადი,
ზეცა გადაირია
და გამეფდა წყვდიადი.

ჰაი-ჰარად ნაშობებს
თურმე წილი ეყარათ,
რაშოვდა და რაშოვდა
აირია ქვეყანა.

ვითომ ყველა გმირია
ჭიქა არყის დოსტები,
მართლა გასაკვირია
ჟამის პარადოქსები.

მთვრალი ანით-ჰოეთი,
არც ღვინო... არც ხშიადი,
ჟამს შერჩება პოეტი
მზით და სათაფლიათი.






დედაო ღმრთისა

გილოცავ მარიამობას,
დედაო ღმრთისა მარიამ.
გაწყურები?... ქარი ამოვა,
გამოიხედავ დარია.
მწამს შენი სულის ნათელი...
ბნელებთ ათინათია,
შენი ნაკურთხი სანთელი...
რწმენის კელაბტრად ანთია.
შენი წილხვედრი საგანე...
ღვთაებრივ თმებს ვერ შორნა,
მომხვდურმა ჰპოვა სამარე,
ის კი საწუთროს შემორნა.
თუმცა, ბრძოლები წინ არის,
ღვარძლით საფსეა მორევი...
შენ უკეთ უწყვი ვინ არის
ქართლოსიანთა მომრევი.
ნულარ მინსენებ ბაზალეთს,
წიწამურსა და ნიბულას,
მაინც აღსდგება ლაზარე...
სახიერი და დიდგულა.
კარგიც გვყავს, სათაკილოცა,
სულწარწყმედილნიც არიან,
მარიამობას გილოცავ!
დედაო ღმრთისა, მარიამ.

დედა - საქართველოს

ფიცი ვქონდა დადებული,
მითაჟაში გადიოდა,
ღვთის წინაშე ვალდებული,
სანთლად ენთე ამბიონთან.
დაგყვა ცრემლი თანაგრძობის,
არა ცრემლი მდაბითა,
შენ სიცოცხლეს განაგრძობდი,
ქრისტე იშვა! ალი-ლოდა!
ჟამში დიდხანს მარტვილობდი,
სულში რწმენის ქარი რბოდა,
აცრემლილი არ ტიროდი,
რიდით უშმაც გაავიროდა.
ხიდი იყო ჩატენილი,
სნივნათელი ჩადიოდა,
შენ იდექი ქარტეხილში...
ცას მირონი დასდიოდა.
გვშენდა მადლი გადმოღვრილი,
ზეციური სოფლისაო,
შენ ხარ, დედა, ვალმონდილი,
სწორი ღმრთის მშობელისაო!





„დიდება უფალს“

საზოგადოება ვერ ითმენს ადამიანს,
რომელიც მას არ ჰგავს.

გალაკტიონი.

ღუბ-ღუბ, ღუბ-ღუბ,
ღუბ-ღუბ, ღუბ-ღუბ...
მეხშიანება სიცოცხლის ძრაგა,
მილსადენებში სისხლი ჩაუქობს,
უფალმა უწყის, ვინ საით წავა
და ქარი სანთელს... ვის სად ჩაუქობს.
წუთისოფელი ხიდია ბეწვის
და წამიერი თაგდავიწყება,
დამბედებია კალამი ლერწმის,
ყოფელი დილა ლოცვით იწყება.
მე რომ, თქვენს შორის არაფის ვგაგარ,
მსჯაგრიც ეგაა და ნეტარებაც,
რადგან ბუნებით სულმოკლე არ ვარ,
მმართველს პირნათლად მსჯაგრის ტარება.
ჟამი მომიფლენს განსაცდელს მრავალს,
მოშურნეთაგან დავიკორტნები,
ჩემი თონთვალაც მოვა და წავალ,
ძლევის კუნძულზე დავიბორცვები...
ღუბ-ღუბ, ღუბ-ღუბ,
ღუბ-ღუბ, ღუბ-ღუბ...
მილსადენებში რწმენა ჩაუქობს,
დიდება უფალს!

სარჩემი

სისხლით დაგწერე ყოველი პწკარი -----	3
ორი მზე -----	14
თეთნულდის მონოლოგი -----	15
მოძღვარს -----	16
დილის სახარება -----	17
ნატებთან -----	18
უკდავებაში დაგელოდები -----	19
ქართული მართონი -----	19
ნეტავ თუ მოვლენ -----	20
ნადვლიანი აკორდები -----	21
პარადოქსი -----	22
ქაშუეთს შური შარობდა -----	23
აჭარული ესკიზები -----	24
შემშლის შავბედი თაობა -----	25
ვამპირთა ქორთ -----	26
სისხლის სამელნე -----	27
ბაზალეთისკენ -----	28
ყვავილებით აწერია -----	29
დამწყდარი სიმები -----	30
მოწამებრივი ფერიცვალობა -----	31
ხმობა -----	32
ძმათა სასუფეგელი -----	33
უბრად შეხვდი -----	34
აწვიმდა სიონს, აწვიმდა არმაზს -----	35
დავით პაპა -----	36
რასხი რაშები -----	37
თქვენებრ ვილოცებ -----	37
დიდოსტატის საფლაგთან -----	38
ნათლის სვეტი -----	39
სერაფიმული -----	40

ოდა პირველ ქალბატონს -----	41
წერილი ოლიგო დეიდას -----	42
ბორითის ექო -----	43
როგორ მინდა მოიხედო -----	44
თამთა -----	45
ვერ გაგუფრთხილდით -----	46
გრაალით შთაგონებულნი -----	47
ნაღვლიანი ინტერმეცო -----	48
არ გესმით?! -----	49
ავი სიზმარი -----	50
მირონცხებული იარე -----	51
წარსულის ნანგრევებთან -----	52
რას იზამს ქარი -----	53
ოღონდ შენ არა -----	54
იმ ღამეს ქარიანს -----	55
არა დღეს, არა ხვალ -----	56
გზაი ძღვევისაი -----	57
შელოცვა -----	58
ლაშბადა -----	59
ასეთს მიხილაგო აგანსცენაზე -----	60
ქარის პოემა -----	60
ბეწვის ხიდზე -----	61
გამობრუნება -----	62
ვარ მოიმედე -----	63
ლუხუმთან -----	64
წერილი მეგობარს -----	65
ქვებში წარსული დუმს -----	66
ცინე ისევ არ აშენდა -----	67
კერკეტი კაკალი -----	68
აფერუმ -----	68
ქარის პარაკლისი -----	69
პარადოქსები -----	70
ნოქტიურნი -----	71

ჭადრაკის დედოფალი -----	72
სათნობა -----	73
ფიქრებით ლადო ასათიანზე -----	74
ქართული მანდილით -----	75
საიდუმლო ქარტია -----	76
თეთრი სერაფიმი -----	77
უფლისწულის საპატარძლო -----	78
სენტიმენტალური პანორამა -----	79
ახალი ზღაპარი -----	80
ვინც შვენივს მაისებს -----	81
ფატი -----	81
მსახიობ ლანას -----	82
თეთრი ანგელოზი -----	82
ბალადა სიყვარულზე -----	83
ზესინარულის ცრემლი -----	84
პირველი პაემანი -----	85
ლაშარია -----	86
თეოდინა -----	87
გამჭოლი მზერა -----	88
კაფე ფიროსმანში -----	89
ღამის სტუმარი -----	90
ქალი მუსიკა -----	91
ორი გულის საუფლო -----	92
ჯადოსნური ხალათი -----	93
დადის ქალაქში ათასი ჭორი -----	94
კოსმიური ხმები -----	95
ფერთა ქორწილი -----	96
პოეტური ასოციაცია -----	97
ეიფორიული -----	98
ალვებს -----	99
მზის შვილები -----	100
რაინდული მონოლოგი -----	101
ზღვაური -----	101

მაინც ღალატი -----	102
ასტრალურიდან სინამდვილეში -----	105
მე და ლანდი -----	106
ფიქრებით ტაოზე -----	107
არა დავეცნეთ -----	108
მენტატენა -----	109
ეპიტაფია -----	110
აღსდექ ლაზარე -----	111
ხალიბური მონოლოგი -----	112
მზის დაბნელება -----	113
ალერტის ტყეში -----	114
მისტერია -----	115
დაისი -----	115
მწუნის ქორალი -----	116
ანა გაჰკივის აღნარკიასთან -----	116
ცრემლის მუსიკა -----	117
ხმა უდაბნოში -----	117
კოლხური არია -----	118
სიზმარა -----	119
დასევდილი დილა -----	120
ფაზისში შევლმა გაინაგარდა -----	121
მეტანია -----	122
დედაჩემის საყვარელი ვაღსი -----	123
აცრემლილი კელაპტრები -----	124
აპოკალიფსი -----	124
ცოცხლად დასამარება -----	125
ცისფერ კუბოში -----	126
არგათენების დამე, -----	127
ეჰ, გალაკტიონ -----	128
ექსპრომტი -----	128
მზე ბალდანინზე -----	129
ნუ მკლავთ ათასჯერ -----	130
ბიძაჩემის ამხანაგს -----	130

გადაძახილი -----	131
დაფნის გვირგვინით -----	132
წერილი ძმისადმი -----	133
191-ე მუხლი -----	134
იაფანა -----	135
ნინობა -----	135
შობა -----	136
საუნჯე -----	136
თამუნია -----	137
ნათელს ეწიე -----	137
მხურვალე საღაში ბადელებს -----	138
მზეთვალეობა სამი წლის თეონა მხეიძეს -----	139
ბჭენი შეაზანზარე ორი წლის უტა მხეიძეს -----	140
ჟამის პრომეთეს -----	141
თუ მამულს დასჭირდა -----	141
თუთარჩელას დაწინდული -----	142
პასტორალი -----	142
ხიბლი პირველი სიყვარულისა -----	143
ღვთიური კოცნა -----	144
კოლხეთი -----	144
მედეას ხიბლი -----	145
ფაზისის აკადემია -----	146
ბრწყინს მოწამეთა -----	147
როგორც ლოცვანი -----	148
ბენი -----	149
ღმერთი განგვსჯის -----	149
თმობა არ მისწავლია -----	150
ძმური მოფერებით -----	151
ეჰ, რა დრო იყო -----	152
ვეფხისტყაოსანი ქვერივი -----	153
ქრისტეს რაინდებს -----	154
ბოღვერას მონოლოგი -----	154
ცოტნე -----	155

ბავშვი მარადიული -----	156
მშობლიური სეკდა -----	157
ამონარიდი ციკლიდან ფაზისის კოლორიტები -----	158
გამოცხადება -----	159
ექსპრესია -----	160
პასუხი შენიშვნაზე -----	161
ძველ-ქართული ღზინი -----	162
ოცნების ფრთებით -----	163
სერენადა -----	163
ბალერინა -----	164
იქ ისხდნენ ორნი -----	165
სამთრინეში -----	165
DANKE FRAU DANKE -----	166
ნანო -----	167
სერაფიტას ასული -----	167
რაც კი ლამაზია -----	168
ამ კოშკის მზე ხარ -----	169
კარუსელი -----	169
ღერწამქალა -----	170
ექსკლუზივი ან სეგსურული ეტიუდები -----	170
ფანტაზია -----	171
დრონი მეფობენ -----	172
ღამის ქარი -----	173
დაგვიკრეფ ღამაზე ყოჩივარდებს -----	174
ქალი ოცნება და ნატი -----	174
ქარიადა -----	175
ირინოლა -----	175
არ დაგიწყება -----	176
აპოთეოზი -----	177
ვნების არია -----	177
მერე რა -----	178
ხორცშესხმული სიონი -----	179
ხონა დინა -----	179

მზე ბზინვარებს -----	180
სენტენცია -----	180
შენზე იტყვიან -----	181
ქოლგიანი მატილდა -----	181
მონმარტრის დედოფალს -----	182
ღურჯი ოცნება -----	183
საშემოდგომო კანცონეტა -----	184
სევდიანი მონოლოგი -----	185
ასეც ხდება -----	185
ასე იყო თურმე უწინ -----	186
ბედის ირონია -----	186
მონოლოგი სარკესთან -----	186
ფინჯან ყავაზე -----	187
დებრესია -----	188
თეთრი ცხელება -----	188
ბედისწერა -----	188
გული დაისრულა სევდით -----	189
კაცს უფალმა მიმართა -----	189
რაც კარგია კარგია -----	190
დიდოსტატის პოტრეტი -----	190
ჩემს გოლგოთაზე -----	191
აპრილის ცრემლები -----	191
წიწამურთან -----	192
ბოლოთქმა -----	192
ლევილიდან მთაწმინდამდე -----	193
ცრემლის საქართველოდან -----	194
შენ გიმაღლი -----	195
ზნეობის რაინდს -----	196
რეკვიემი -----	197
დღე კი ... არამზიანი -----	198
სარკესთან -----	199
INVEQTIVA ORACIO -----	200
უფლის ნებით -----	200

რამდენ ვერცხლად გამყიდე -----	201
რამ ავირია გზები -----	201
გაი პოლიტიკოსებს -----	202
განვედ სატანა -----	202
გტოვებ მშობლიურ ქალაქს -----	202
მუმლნი -----	203
გაგზასროთ ხმლები -----	203
ამონარიდი ციკლიდან აბასთუმანი -----	204
ზეკარის ხიბლი -----	204
კაფე ოჯახური-ს ასოციაცია -----	205
რაფსოღია -----	206
პანაგია -----	207
კენესის გული ჯვარცმულნი -----	208
მთვარის მოტაცება -----	209
წინ საქართველო -----	209
ძილს უარი -----	210
ასე მგონია -----	210
ყველგან არს ღმერთი -----	211
ვიდრე დამათოვდეს -----	212
ავაჰმე -----	213
გამოცანა -----	214
სისნლის ყივილი -----	215
მონატრება -----	216
შორი გზა -----	217
ლიბრეტო -----	218
ცით მოვლენილო -----	219
დაუჯდომელი -----	220
მწით და სათაფლიათი -----	221
დედაო ღმრთისა -----	222
დედა საქართველოს -----	223
დიდება უფალს -----	224